



ენობრივი პოლიტიკა საქართველოში: სიტუაციის ანალიზი და კვლევის შედეგები

სამოქალაქო
ინტეგრაციის და
ეროვნებათმორისი
ურთიერთობების
ცენტრი

თბილისი 2023

**ენობრივი პოლიტიკა საქართველოში:
სიტუაციის ანალიზი და კვლევის შედეგები**



პუბლიკაცია მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ, საქართველოს გაეროს ასოციაციის, USAID-ის ერთიანობა მრავალფეროვნებაშია პროგრამის ფარგლებში. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრს“ და არ უნდა აღიქმებოდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ოფიციალურ პოზიციად.

სარჩევი

შესავალი	5
თავი 1	6
ზოგადი მიმოხილვა /ენობრივი სიტუაციისა და კანონმდებლობის მიმოხილვა საქართველოში.....	6
საქართველოს მოსახლეობა მშობლიური ენის ფლობის მიხედვით	7
სახელმწიფო ენის ფლობა საქართველოში.....	10
ენობრივი პოლიტიკის კანონმდებლობა / არსებული სამართლებრივი ჩარჩოს აღწერა და ანალიზი.....	11
ენობრივი რეგულირება სამოქალაქო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.....	12
ენობრივი რეგულირება მასმედიის სფეროში	15
ენობრივი რეგულირება ეკონომიკური საქმიანობისა და რეკლამის სფეროში.....	16
ენობრივი რეგულირება კულტურისა და განათლების სფეროში	18
ენობრივი რეგულირება ინფორმატიკის, ტექნოლოგიებისა და მეცნიერების სფეროში	20
ენობრივი რეგულირება სამართალწარმოების სფეროში	20
თავი 2	24
ენობრივი პოლიტიკა სტრატეგიულ დოკუმენტებში.....	24
მონაცემები და მონაცემთა ანალიზი.....	25
აღწერა - დოკუმენტების რაოდენობრივი ლინგვისტური ანალიზი	26
ინტერპრეტაცია / არსებული თუ შექმნილი დისკურსები.....	29
რეკომენდაციები	49
გამოყენებული ლიტერატურა.....	50
თავი 3	52
ენობრივი პოლიტიკა ადრეულ, სკოლამდელ და ზოგად განათლებაში	52
3.1. სკოლამდელი განათლება	54
ბილინგვური სკოლამდელი საპილოტე პროგრამა	61
3.2. ზოგადი განათლება	66
საკანონმდებლო რეგულირება ზოგად განათლებაში.....	66
მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და მისი მოთხოვნები ენობრივი კუთხით.....	67
მასწავლებლის სქემა და მისი ცვლილებების დინამიკა, არაქართულენოვანთათვის განსხვავებული რეჟიმები, ენებთან დაკავშირებული საკითხები სქემაში და მათი ცვლილებების დინამიკა	68
3.2.2. ზოგად განათლებაში არსებული ენობრივი სიტუაცია.....	70
ზოგადი განათლება/არსებული ენობრივი სიტუაციის აღწერა.....	71
ბილინგვური საპილოტე სკოლები.....	73

ენობრივი პოლიტიკა ეროვნულ სასწავლო გეგმაში სამი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ანალიზის საფუძველზე	76
მასწავლებელთა მონაცემები და არსებული რესურსები.....	84
ზოგადი მონაცემები მასწავლებლების შესახებ	84
ქართული (მშობლიური) ენის და ლიტერატურის მასწავლებლები	87
ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები.....	88
არაქართულენოვანი სკოლების მშობლიური ენის მასწავლებლები (ეროვნული უმცირესობების ენები)	93
უცხო, როგორც მეორე და მესამე ენის არჩევანი და სწავლა-სწავლების შესაძლებლობები	96
მიგნებები	108
ზოგადი განათლების საფეხურზე ენობრივი პოლიტიკისთვის გამოვლენილი გამოწვევები და შესაბამისი დასკვნები	109
გამოყენებული ლიტერატურა.....	116
თავი 4	118
ენობრივი პოლიტიკა უმაღლეს განათლებაში	118
შესავალი	119
უნივერსიტეტის პოლიტიკის დოკუმენტების თემატური ანალიზი	119
ენობრივი პოლიტიკა კვლევის მიმართულებით.....	120
ენობრივი პოლიტიკა სწავლების მიმართულებით	127
ენობრივი პოლიტიკა მართვის/ადმინისტრირების მიმართულებით	147
მიგნებები	148
რეკომენდაციები.....	150
გამოყენებული ლიტერატურა.....	153

შესავალი

ენობრივი პოლიტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით. ენობრივი პოლიტიკა და დაგეგმვა ამავე დროს მნიშვნელოვანი სფეროა სოციალური თუ საგანმანათლებლო კვლევებისთვის (ბლოკი და კორონა, 2018). ენობრივ პოლიტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური საკითხები, რომელთა გადაჭრაც სწორედ მისი კარგად დაგეგმვისა და განხორციელების შედეგადაა შესაძლებელი; მაგალითად, ენობრივი პოლიტიკა დაკავშირებულია თანასწორობის, უმცირესობათა უფლებების დაცვის, სამოქალაქო ინტეგრაციის, ევროატლანტიკური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის, განათლების ინტერნაციონალიზაციის, კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნების, კონფლიქტების პრევენციისა და გადაჭრის, ტექნოლოგიური განვითარებისა და დიגיტალიზაციის მნიშვნელოვან საკითხებთან.

ენობრივი პოლიტიკის საკითხები კიდევ უფრო აქტუალური გახდა სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიღების შემდგომ, რომლის საფუძველზეც რეგულირდება ენობრივი პოლიტიკა, ისევე, როგორც გაჩნდა ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების სამთავრობო სტრუქტურული ერთეული - სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სახით. აღსანიშნავია, რომ კანონის მიღების შემდგომ, 2021 წელს დამტკიცდა 2021-2030 წლების სახელმწიფო ენის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი ხდება არსებული ენობრივი პოლიტიკის შეფასება, კვლევა და ანალიზი და მის დასაგეგმად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება - განსაკუთრებით ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი ინტეგრაციისა და ქვეყნის ევროინტეგრაციის კონტექსტში. წარმოდგენილი კვლევის მიზანაც სწორედ ამ თვალსაზრისით პოლიტიკის შესწავლა, მისი გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება და ამ რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირებაა. აღნიშნული კვლევა აქცენტს გააკეთებს არსებულ ენობრივ პოლიტიკაზე და უდიდესი ფოკუსით ენობრივ პოლიტიკაზე განათლებაში.


თავი 1

ზოგადი მიმოხილვა / ენობრივი
სიტუაციისა და კანონმდებლობის
მიმოხილვა საქართველოში

საქართველოს მოსახლეობა მშობლიური ენის ფლობის მიხედვით


საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით, გამოიკვეთა საქართველოში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ჯგუფები მშობლიური ენის ფლობის მიხედვით. აღწერის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 87,6%-ისთვის მშობლიურ ენას ქართული წარმოადგენს, 6, 20%-ისთვის მშობლიური ენა აზერბაიჯანულია, 3,9%- სომხური, ხოლო 1,24%-ისთვის რუსული ენა, ხოლო სხვა ენები 1,1%-ის მშობლიურ ენას წარმოადგენს.

დიაგრამა #1.1. საქართველოს მოსახლეობა მშობლიური ენის ფლობის მიხედვით



პროცენტულად მოსახლეობის გადანაწილება მშობლიური ენის მიხედვით, ქვემოთ, დიაგრამაში #1.2 არის მოცემული:


დიაგრამა #1. 2. საქართველოს მოსახლეობის გადანაწილება მშობლიური ენის მიხედვით



უნდა აღნიშნოს, რომ მოსახლეობის აღწერის მონაცემებში არ არის ჩაშლილი მონაცემი ქართველური ენების - მეგრულის, ლაზურისა და სვანურის მატარებლების შესახებ.


ამავე აღწერის მიხედვით, საქართველოს მხოლოდ ერთი რეგიონია, სადაც მშობლიურ ენაზე მოსარგებლეთა უმრავლესობა არ არის ქართული ენის მატარებელი. ეს რეგიონია სამცხე-ჯავახეთი, სადაც მოსახლეობის 50%-ზე მეტისთვის მშობლიურ ენას სომხური წარმოადგენს.

დიაგრამა #1.3. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოსახლეობის გადანაწილება მშობლიური ენის მიხედვით



ქვემო ქართლი მეორე რეგიონია, სადაც უმცირესობათა მშობლიური ენა დიდი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი, თუმცა ქვემო ქართლის რეგიონში მოსახლეობის 52%-ისთვის ქართული ენაა მშობლიური, ხოლო 48%-ისთვის - უმცირესობათა ენები, მათ შორის - აზერბაიჯანული ენა რეგიონის მოსახლეობის 42 %-ისთვისაა მშობლიური:


დიაგრამა #1.4. ქვემო ქართლის რეგიონში მოსახლეობის გადანაწილება მშობლიური ენის მიხედვით



მიხედვით

კახეთის რეგიონისთვისაც დამახასიათებელია ენობრივი მრავალფეროვნება. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობისთვის მშობლიური ენა ქართულია, გვხვდება დასახლებები, სადაც აზერბაიჯანულენოვანი, ვაინახური ენის ქისტური დიალექტის მატარებლები, ასევე - ოსურენოვანი მოსახლეობაა წარმოდგენილი. ქვემოთ მოცემულ გრაფიკში კახეთის ლინგვისტური მრავალფეროვნების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის რეგიონში ორი მნიშვნელოვანი ჯგუფია წარმოდგენილი უდიური და ბაცბური ენების სახით, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი: გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ენებისა და საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნების კონტექსტში.

დიაგრამა #1.5. კახეთის რეგიონში მოსახლეობის გადანაწილება მშობლიური ენის მიხედვით



ენობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა საქართველოს დედაქალაქიც. თბილისში რეგისტრირებული 1 108 717 მოსახლიდან 82%-ისთვის მშობლიური ენა ქართულია, თუმცა არის სომხური, რუსული და აზერბაიჯანული ენების მატარებელი მოსახლეობაც. დეტალური ინფორმაცია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილშია მოცემული.

ცხრილი #1.1. თბილისის მოსახლეობის რაოდენობა მშობლიური ენის მიხედვით


მდებარეობა	სულ	ქართულ	აფხაზურ	ოსურ	აზერბაიჯანულ	რუსულ	სხვა	არ მიუთითა
თბილისი	1108717	1014079	96	1281	14640	25993	15086	42

საქართველოს სხვა რეგიონებში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის ქართულია მშობლიური ენა.

სახელმწიფო ენის ფლობა საქართველოში

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერა გვაძლევს ინფორმაციას საქართველოს მოქალაქეების მიერ სახელმწიფო ენის ფლობის შესახებ. მთლიანი საქართველოს მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის შინამეურნეობების 91%-ის ყველა წევრი საუბრობს ქართულ ენაზე. ისეთი შინამეურნეობის რაოდენობა, რომელთა არცერთი წევრი არ საუბრობს ქართულ ენაზე, მოსახლეობის საერთო რაოდენობის 5%-ს შეადგენს, ხოლო 4%-ია ისეთი, სადაც შინამეურნეობის ერთი წევრი მაინც საუბრობს სახელმწიფო ენაზე:

დიაგრამა #1.6. შინამეურნეობების პროცენტული განაწილება ოჯახის წევრთა მიერ სახელმწიფო ენის ფლობიდან გამომდინარე




საქართველოს საერთო მონაცემების გარდა, საინტერესოა სახელმწიფო ენის ფლობის თვალსაზრისით რეგიონალურ ჭრილში არსებული ვითარება. ამ მხრივ საქართველოს ყველა რეგიონის აბსოლუტური უმრავლესობა საუბრობს ქართულ ენაზე, გამონაკლისია ორი რეგიონი - ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების სახით.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შინამეურნეობების 28%-ში ოჯახის ვერცერთი წევრი ვერ საუბრობს სახელმწიფო ენაზე, ხოლო 15%-ში ოჯახის ერთი წევრი მაინც საუბრობს ქართულად. შინამეურნეობები, რომლებშიც ყველა წევრი საუბრობს ქართულ ენაზე, რეგიონის 57%-ს შეადგენს.

დიაგრამა #1.7. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შინამეურნეობების გადანაწილება ოჯახის წევრთა მიერ სახელმწიფო ენის ფლობიდან გამომდინარე


სამცხე-ჯავახეთი



ქვემო ქართლის რეგიონში შინამეურნეობების 31 %-ში ოჯახის ვერცერთი წევრი ვერ საუბრობს სახელმწიფო ენაზე, ხოლო 11%-ში ოჯახის ერთი წევრი მაინც საუბრობს ქართულად. შინამეურნეობები, რომლებშიც ყველა წევრი საუბრობს ქართულ ენაზე რეგიონის შინამეურნეობების საერთო რაოდენობის 58%-ს შეადგენს.

დიაგრამა #1.8. ქვემო ქართლის რეგიონში შინამეურნეობების გადანაწილება ოჯახის წევრთა მიერ სახელმწიფო ენის ფლობიდან გამომდინარე

ქვემო ქართლი



ენობრივი პოლიტიკის კანონმდებლობა / არსებული სამართლებრივი ჩარჩოს აღწერა და ანალიზი

ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლით, რომლის თანახმადაც, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ოფიციალური საქმისწარმოების ენა ქართულია, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე - აფხაზური, ქართულთან ერთად.

სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო თავის ყველა ფუნქციას სახელმწიფო ასრულებს, იცავს მას და განსაზღვრავს მისი, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირებისა და განვითარების პოლიტიკას (პრეამბულა).

აღსანიშნავია, რომ ენობრივი ასპექტები გაფანტულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში; ამავე დროს, ენობრივი პოლიტიკის ასპექტები რეგულირდება სპეციალური კანონითაც, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წელს მიიღო. ჯერ კიდევ 2001 წელს იყო მცდელობა, შექმნილიყო ცალკე კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, თუმცა ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. მხოლოდ 14 წლის შემდეგ, 2015 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“, რომელმაც თავი მოუყარა და გააერთიანა ენობრივი პოლიტიკის მარეგულირებელი ცალკე კანონები, განსაკუთრებით სახელმწიფო ენის, ქართული ენის, ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს კანონმდებლობა სხვადასხვა კანონმდებლობითა თუ კანონქვემდებარე აქტებით არეგულირებს სხვადასხვა სფეროში ენობრივ პოლიტიკას, მათ შორის - სახელმწიფო ენების - ქართულისა და აფხაზურის, საქართველოში განსახლებული დიდი და მცირე რაოდენობის ეთნიკური ჯგუფების ენების, ქართველური ენებისა და უცხოური ენების ფუნქციონირების საკითხებს. ამ მითითებული ენების ფუნქციონირება სხვადასხვა სფეროში არ არის დეტალურად გაწერილი და რეგულირებული, თუმცა, სხვადასხვა მიმართულებით მაინც გვხვდება ენობრივი პოლიტიკის გარკვეული კონტურები. შიდა კანონმდებლობის გარდა, მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც არეგულირებს ენობრივ საკითხებს და რომელთაც საქართველო შეუერთდა 1999 წელს. 2005 წელს საქართველომ მოახდინა ევროსაბჭოს 1995 წლის ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება. საქართველოს ევროპის საბჭოს წინაშე ასევე აღებული აქვს ვალდებულება, რომ მოახდენს 1993 წლის უმცირესობათა და რეგიონული ენების ქარტიის რატიფიცირებას, თუმცა, დღემდე ამ კანონის რატიფიცირება არ მომხდარა.

საქართველოში არსებულ ენობრივ ჯგუფებთან (სახელმწიფო ენა / ენები, უმცირესობათა ენები, უცხოური ენები...) მიმართებით გარკვეული საკანონმდებლო რეგულაციები არსებობს განათლების სფეროში; რაც უაღრესად მნიშვნელოვანი მდგენელია ზოგადად ენობრივი პოლიტიკის ხედვაში; შესაბამისად, ენობრივი პოლიტიკის მიმოხილვაში განათლების მიმართულებას განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა, თუმცა განათლების მიმართულებასთან ერთად საკანონმდებლო რეგულირების თვალსაზრისით ამ თავში მიმოვიხილავთ ენობრივ პოლიტიკას შემდეგი მიმართულებებით:

- (1) სამოქალაქო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება;
- (2) მასმედია;
- (3) ეკონომიკური საქმიანობა და სარეკლამო ბიზნესი;
- (4) განათლება; და კულტურა
- (5) ინფორმატიკის, ტექნოლოგიებისა და მეცნიერების სფერო;
- (6) სამართალწარმოების პროცესი.

ენობრივი რეგულირება სამოქალაქო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ

ცხოვრებაში

სამოქალაქო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში საკანონმდებლო რეგულირება ხდება როგორც სხვადასხვა ორგანული კანონით, აგრეთვე სპეციალური კანონით სახელმწიფო ენის შესახებ, გარდა ამისა, საქართველო მიერთებულია საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

სამოქალაქო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მონაწილეობის ენობრივი რეგულირება ძირითადად ეხება სახელმწიფო ენების (ქართული, აფხაზური) ფუნქციონირების საკითხებს, თუმცა, გარკვეულწილად, უმცირესობათა ენების ფუნქციონირების არეალსაც მოიცავს და ამ ენებთან მიმართებით არსებული პოლიტიკის ელემენტები იკვეთება, თუმცა, გამოკვეთილი სტრატეგია ამ მიმართულებით ჯერჯერობით არ შემუშავებულია.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის სამუშაო ენა ქართულია (სახელმწიფო ენა).

„მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქე და/ან მოქალაქეობის არმქონე პირი უფლებამოსილია, საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე შეიტანოს განაცხადი, თუ ის აკმაყოფილებს რამდენიმე მოთხოვნას; ამ მოთხოვნათა შორისაა სახელმწიფო ენის ფლობა (საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ, მუხლი 15).

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სახელმწიფო სამსახური და საჯარო სამსახური ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ენაზე – ქართულად, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე – აფხაზურად (საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, მუხლი 5).

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამსახური საქართველოში ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. საჯარო მოხელე ვალდებულია, ფლობდეს სახელმწიფო ენას (მუხლი 15); ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები, სტაჟიორები და უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე პირები, ასევე, ვალდებულნი არიან, ფლობდნენ სახელმწიფო ენას (საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, მუხლი 16, 16¹, 84²).

ამავე კანონის 27-ე მუხლი განსაზღვრავს საჯარო სამსახურში მოხელის მიღების წესს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ენის ფლობა აუცილებელია პირის საჯარო სამსახურში დასასაქმებლად (საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, მუხლი 27). 30-ე მუხლის თანახმად კი საჯარო მოხელეთა სერტიფიცირება წარმოებს მხოლოდ სახელმწიფო ენაზე. საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 98-ე მუხლის პირველ პუნქტის ძველი რედაქციის მიხედვით, სახელმწიფო ენის არცოდნა შესაძლებელია გახდეს საჯარო მოხელის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი. თუმცა, არსებულ რედაქციაში ეს მოთხოვნა ამოღებულია კანონიდან (საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, მუხლი 30).

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-14 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული წარმოების ენა სახელმწიფო დაწესებულებებში ქართულია, ხოლო აფხაზეთში - ქართულთან ერთად - აფხაზური ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 14).

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამუშაო და საქმის წარმოების ენაა სახელმწიფო

ენა (ქართული), ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აგრეთვე აფხაზური ენა (საქართველოს კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, მუხლი 9).

2015 წელს მიღებული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ განსაზღვრავს „ეროვნული უმცირესობების ენის“ ცნებას და მისი გამოყენების შესაძლებლობას იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც კომპაქტურად არიან განსახლებულნი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. კერძოდ, კანონის მიხედვით, იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობები კომპაქტურად არიან განსახლებულნი, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილნი არიან, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული უმცირესობისათვის მიკუთვნებული პირის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე წარდგენილი განცხადების, საჩივრის, მასზე გაცემული პასუხის თარგმნა განახორციელონ. თუმცა, ოფიციალური ძალა მხოლოდ შესაბამისი ტექსტის დედანს აქვს (კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, მუხლი 11).

ამავე კანონით გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების ეროვნული უმცირესობის ენაზე თარგმნა იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ. ამასთანავე, ოფიციალური ძალა მხოლოდ შესაბამისი ტექსტის დედანს აქვს (კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, მუხლი 12).

საარჩევნო კოდექსი და სახელმწიფო ენის შესახებ კანონი არეგულირებენ არჩევნების, პლებისციტის და რეფერენდუმის პროცესში ენების გამოყენების საკითხებს. საქართველოს საარჩევნო კოდექსის პირვანდელი ვერსიის 92-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტში არჩეული პირი ვალდებულია, ფლობდეს სახელმწიფო ენას. ამჟამად ეს მოთხოვნა ამოღებულია, თუმცა, 158-ე მუხლის მიხედვით, სავალდებულოა, არჩევნებში წარდგენილი პარტიული სიის წევრმა იცოდეს სახელმწიფო ენა. იგივე ეხება საკრებულოს წევრობის მაჟორიტარ კანდიდატს (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 159). საარჩევნო კოდექსის მე-10, მე-12, მე-20 მუხლების თანახმად, ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი უნდა ფლობდეს ქართულ ენას.

2003 წლის საარჩევნო კოდექსში მიღებული დამატებების მიხედვით, კოდექსის 51-ე მუხლში აღნიშნულია, რომ საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება სახელმწიფო ენაზე, ხოლო რეგიონებში, სადაც ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას, საჭიროების შემთხვევაში ამ მოქალაქეთათვის გასაგებ ენაზე. 2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისათვის საქართველოს საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება (საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 1293-ე მუხლი, მე-18 პუნქტი), რომლის მიხედვითაც, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაევალა, უზრუნველყო ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში (ახალქალაქი, ნინოწმინდა, მარნეული და გარდაბანი) ამომრჩეველთა სიაში საკუთარი თავის გადასამოწმებლად ამომრჩეველთა ერთიანი სიის და საარჩევნო ბიულეტენების თარგმნა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

სამოქალაქო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ენობრივი პოლიტიკის სრულფასოვნად გატარებისთვის გასათვალისწინებელია ორი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელთა გადაჭრა საკანონმდებლო დონეზეა შესაძლებელი:

(1) სახელმწიფო ენის ცოდნის მოთხოვნის აღსრულების შეუძლებლობა (იგულისხმება ენის ფლობის დონის განმსაზღვრელი ინსტრუმენტის არარსებობა; ასევე - კანონის აღსასრულებლად შემუშავებული საკანონმდებლო ბაზის არარსებობა);

(2) არჩევით პოლიტიკურ თანამდებობებზე (ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე) სახელმწიფო ენის ფლობის მოთხოვნა კანდიდატებისთვის ზღუდავს მათი, როგორც საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებას, აირჩიონ და იყვნენ არჩეულნი არჩევით ორგანოებში.

ენობრივი რეგულირება მასმედიის სფეროში

მასმედიის სფეროს ძირითადად არეგულირებს საქართველოს კანონი მაუწყებლის შესახებ.

მაუწყებლის შესახებ კანონში საინტერესო რეგულაციებია მოცემული:

38¹ მუხლის თანახმად, საქართველოში ავტორიზებულმა საერთო ეროვნული მაუწყებლობის განმახორციელებელმა ტელემაუწყებელმა სამაუწყებლო ბადეში პროგრამები საქართველოს სახელმწიფო ენაზე უნდა განათავსოს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით ან/და კომისიის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა. ამავე მუხლის მიხედვით, საქართველოში ავტორიზებულმა საერთო ადგილობრივი მაუწყებლობის განმახორციელებელმა ტელემაუწყებელმა სამაუწყებლო ბადეში, მათ შორის, საუკეთესო დროს, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები საქართველოს სახელმწიფო ენაზეც უნდა განათავსოს.

საქართველოში ავტორიზებულმა საუნივერსიტეტო მაუწყებლობის განმახორციელებელმა ტელემაუწყებლებმა სამაუწყებლო ბადეში პროგრამები საქართველოს სახელმწიფო ენაზე უნდა განათავსოს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით ან/და კომისიის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.

51¹ მუხლი არეგულირებს ფილმების დუბლირების წესს:

1. არასახელმწიფო ენაზე წარმოებული ფილმი მაუწყებლის ეთერში უნდა განთავსდეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ენაზე დუბლირებული, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

2. კომისია უფლებამოსილია, დადგენილებით განსაზღვროს საერთო და სპეციალიზებულ მაუწყებელთა ვალდებულება, ყოველკვირეულ სამაუწყებლო ბადეში განათავსონ არასახელმწიფო ენაზე წარმოებული ფილმი (გარდა სერიალისა) პირველადი წარმოების ენაზე (ენებზე), საქართველოს სახელმწიფო ენაზე დუბლირების გარეშე, სუბტიტრებით საქართველოს სახელმწიფო ენაზე. კომისიის დადგენილებით აგრეთვე განისაზღვრება საერთო და სპეციალიზებულ მაუწყებელთა ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების წესი.

კერძო სატელევიზიო კომპანიებისგან განსხვავებით, მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი საზოგადოებრივ მაუწყებელს ვალდებულებს, პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი თავისებურებანი.

43-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, ასახოს რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობას და ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას და ამისთვის აღნიშნული მიმართულებით უნდა მოამზადოს და ეთერში განათავსოს მედია-პროდუქცია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას და სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, მათ შესახებ და მათ მიერ მომზადებული პროგრამები.

ენობრივი რეგულირება ეკონომიკური საქმიანობისა და რეკლამის სფეროში

ეკონომიკური საქმიანობის, კერძოდ კი საქონლის რეკლამირებისას ენასთან დაკავშირებით გარკვეულ მოთხოვნებს ადგენს საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ. ამ კანონის 4.2-ე მუხლის მიხედვით, რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე. კანონი 'მეწარმეთა შესახებ' არ ადგენს რაიმე ვალდებულებას საწარმოთა სახელწოდების შერჩევას. უფრო მეტიც, კანონის 6.5-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების ან კოოპერატივის საფირმო სახელწოდება შეიძლება იყოს ფანტაზიის ნაყოფი.

კანონის მე-4 მუხლის თანახმად, რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე.

კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სურვილის შემთხვევაში იგი შეიძლება შესრულდეს აგრეთვე უცხოურ ენაზე. უცხოურენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას.

უცხოური ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას.

ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი.

ამავე მუხლის მიხედვით, რეკლამაში ენობრივი ნორმების დაცვის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ეკონომიკური რეგულაციების თვალსაზრისით, საინტერესოა 29-ე მუხლი, რომელიც ეხება მომხმარებლის უფლებას, მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე, რომლის მიხედვითაც, მომხმარებელს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე. ამასთან, სახელმწიფო ენის არცოდნა არ შეიძლება გახდეს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის მოტივი.

რეკლამის შესახებ სახელმწიფო ენასთან მიმართებით გარკვეული მოთხოვნები და ვალდებულებებია შეჯამებული სახელმწიფო ენის შესახებ კანონის 24-ე - 29-ე მუხლებში.

ეკონომიკურ საქმიანობასთან და რეკლამასთან კავშირშია სახელმწიფო ენის შესახებ კანონის 24-ე მუხლი, რომელიც საჯარო ინფორმირების ენას ეხება.

საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასათაურო წარწერის, პლაკატის, აბრის, აფიშის, რეკლამის, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტი სახელმწიფო ენაზე სრულდება. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია შეიძლება მიეთითოს არასახელმწიფო ენაზეც, ხოლო იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, – აგრეთვე ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე.

მუხლი 25. განსაზღვრავს საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილ წარწერათა წარმოდგენისა და განლაგების წესს; კერძოდ, საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი წარწერის სახელმწიფო ენაზე წარმოდგენა სავალდებულოა; საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი წარწერის არასახელმწიფო ენაზე (მათ შორის, ეროვნული უმცირესობის ენაზე) წარმოდგენის წესს შეიმუშავებს და ამტკიცებს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ოფიციალური სახელწოდების სახელმწიფო და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით).

საინტერესოა ოფიციალური სახელწოდების ქართულ, აფხაზურ და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემის წესები: ქართული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), აფხაზური ტექსტი – ცენტრში, ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით).

კანონის 25-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულისგან განსხვავებულ შემთხვევაში სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტის წინ (მარცხნივ ან ზევით) თავსდება. არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტის სახელმწიფო ენაზე შესრულებულ ტექსტთან ერთად გამოყენებისას არასახელმწიფო ენოვანი ტექსტის შრიფტი სახელმწიფო ენოვანი ტექსტის შრიფტზე დიდი არ უნდა იყოს (სახელმწიფო ენის კანონი, მუხლი 25).

სახელმწიფო ენის შესახებ კანონის 26-ე მუხლი ეხება საცნობარო მასალის ენას:

1. სახელმწიფო ორგანოს, ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიერ საქართველოში გასავრცელებლად საცნობარო მასალა, როგორც წესი, სახელმწიფო ენაზე გამოიცემა (ქვეყნდება).

2. არასახელმწიფოენოვან საცნობარო მასალას უნდა ახლდეს თარგმანი სახელმწიფო ენაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მასალა მხოლოდ არასახელმწიფოენოვანი მომხმარებლისთვისაა გათვალისწინებული.

(სახელმწიფო ენის შესახებ კანონი, მუხლი 26).

ენობრივი რეგულირება კულტურისა და განათლების სფეროში

სახელმწიფო ენის შესახებ კანონის 32-ე მუხლი არეგულირებს კულტურის სფეროში ენის გამოყენებას; ამ მუხლის თანახმად, სახელმწიფო ენის განვითარებისა და სრულფასოვანი ფუნქციონირების მიზნით, სახელმწიფო ხელს შეუწყობს:

- ა) სხვა ენაზე არსებული მხატვრული, სამეცნიერო, პოლიტიკური და სხვა ლიტერატურის სახელმწიფო ენაზე თარგმნასა და გამოცემას;
- ბ) აუდიოვიზუალური ნაწარმოების სახელმწიფო ენაზე თარგმნასა და საჯაროდ გადაცემას.

სახელმწიფო ენის შესახებ კანონი არეგულირებს სახელმწიფო ენის ცოდნასთან და მის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს:

- ა) სახელმწიფოენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტით;
- ბ) საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი არასახელმწიფოენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტით;
- გ) სახელმწიფო ენის გამოცდის ჩაბარების მოწმობით¹.

(სახელმწიფო ენის კანონი, მუხლი 32).

სახელმწიფო ენის შესახებ კანონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განათლების სფეროში სახელმწიფო ენის გამოცდას (ტესტირებას); სახელმწიფო ენაში გამოცდის ჩატარების წესს არეგულირებს კანონის 34-ე მუხლი:

1. სახელმწიფო ენის გამოცდის ჩატარების წესს სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან შეთანხმებით შეიმუშავენ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
2. სახელმწიფო ენის გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.
3. სახელმწიფო ენის გამოცდის შედეგის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სახელმწიფო ენის ცოდნასთან დაკავშირებულ

¹ აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად არსებული ვალდებულებისა, სახელმწიფოში ჯერ კიდევ არ შემუშავებულა სახელმწიფო ენის გამოცდის ერთიანი სისტემა, რომელიც განსაზღვრავს პირის ენის ფლობის დონეს ქართულ ენაში; ტესტირების სისტემის შემუშავებაზე მუშაობა დაწყებულია და პირველი გამოცდის ჩატარება დაგეგმილია 2024 წელს (ქართული ენის ფლობის დონეთა 2020 წელს დამტკიცებული სტანდარტის საფუძველზე).

მოთხოვნასთან პირის შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტს (მოწმობას) გასცემს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.

(სახელმწიფო ენის კანონი, მუხლი 34)..

კანონის 37-ე მუხლი ეხება სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების გარანტიებს. ამ მიზნით 2016 წლიდან შეიქმნა სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, რომელიც სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო ენის ერთიან პროგრამას².

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (ამჟამად - სტრატეგიის) განხორციელებას უზრუნველყოფენ საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოები.

37-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა ითვალისწინებს:

ა) სახელმწიფო ენის შესწავლის მსურველთა ინტერესების მაქსიმალურ უზრუნველყოფას; სახელმწიფო ენის სწავლებისა და ენობრივი კულტურის ამაღლების მიზნით მეთოდური და სასწავლო რესურსების მომზადებას; სახელმწიფო ენის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად სწავლებას; ენობრივ უმცირესობათა ჯგუფებში ბილინგვური სწავლების დანერგვას;

ბ) სახელმწიფო ენის სტრუქტურის, ისტორიისა და ფუნქციონირების თავისებურებათა თანამიმდევრულ კვლევას; თანამედროვე ქართულის ერთიან ლექსიკოგრაფიულ უზრუნველყოფას; ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და ტერმინოლოგიური სტანდარტების სრული კორპუსის მომზადებას;

გ) სახელმწიფო ენის სრულ ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას; ენობრივი მონაცემების (ტექსტების) თანამედროვე, სრულყოფილი ციფრული ბაზების შექმნას; საძიებო, ანალიზურ-ოპერატიული და მთარგმნელობითი კომპიუტერული პროგრამების მომზადებას (სახელმწიფო ენის კანონი, მუხლი 37)..

უმცირესობათა ენების შესახებ მნიშვნელოვანი ჩანაწერია - კონსტიტუციის 38-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე, განავითაროს თავისი კულტურა, ისარგებლოს დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 38).

უმცირესობათა ენების თემას სახელმწიფო ენის შესახებ კანონის რამდენიმე მუხლი ეძღვნება: კანონის მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სახელმწიფო ენაზე მიღებას. ამავე მუხლის მიხედვით, განათლების არასახელმწიფო და ეროვნული უმცირესობის ენებზე მიღების საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, მუხლი 7).

საინტერესოა კანონის 23-ე პუნქტი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ორგანოს, მუნიციპალიტეტის ორგანოს ოფიციალური სახელწოდება იქმნება და გამოიყენება სახელმწიფო ენაზე. ეს სახელწოდება სახელმწიფო ენასთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთ არასახელმწიფო ენაზეც, ხოლო იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის

² 2020 წლიდან შეიცვალა ეს ვალდებულება და ერთიანი პროგრამა ჩანაცვლდა „ერთიანი სტრატეგიით“.

წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, – აგრეთვე ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე (საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, მუხლი 23).

ენობრივი რეგულირება ინფორმატიკის, ტექნოლოგიებისა და მეცნიერების სფეროში

სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკითხებს მეცნიერების სფეროში სახელმწიფო ენის შესახებ კანონის 30-ე მუხლი არეგულირებს:

1. ქართულენოვან უმაღლეს საგანმანათლებლო (სამეცნიერო) დაწესებულებაში აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომის წარდგენა და მისი საჯაროდ დაცვა ხდება სახელმწიფო ენაზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.
2. სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებაში მეცნიერული კვლევის შედეგები, როგორც წესი, ფორმდება და ვრცელდება სახელმწიფო ენაზე.
3. საქართველოს ტერიტორიაზე სამეცნიერო კვლევის შედეგების არასახელმწიფო ენაზე გამოქვეყნების შემთხვევაში მათ უნდა ახლდეს რეზიუმე სახელმწიფო ენაზე.
4. ტექნიკურ დოკუმენტაციაში, აგრეთვე საქმის წარმოებაში გამოიყენება ერთიანი ტერმინოლოგია. ტერმინოლოგიის დადგენისა და გამოყენების ნორმებს განსაზღვრავს სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისია (სახელმწიფო ენის კანონი, მუხლი 30).

სახელმწიფო ენის შესახებ კანონის 31-ე მუხლი არეგულირებს ქართული ენის ფუნქციონირების საკითხებს ინფორმატიკის სფეროში. კერძოდ, სახელმწიფო ხელს უწყობს საინფორმაციო ტექნოლოგიებში ქართული ენის სრულფასოვან გამოყენებას. ამავე მუხლის თანახმად, კომპიუტერული (ელექტრონული) ტექნიკა, რომელსაც სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოები, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები იყენებენ, ტექსტის სახელმწიფო ენაზე შესრულების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.

ენობრივი რეგულირება სამართალწარმოების სფეროში

საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი ენობრივი საკითხები სამართალწარმოების სფეროში; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 და 94-ე მუხლების თანახმად, იმ ბრალდებულის, ეჭვიტანილის ან პროცესის სხვა მონაწილისთვის, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მომსახურება; სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე თარჯიმნის შრომის ანაზღაურებას სახელმწიფო უზრუნველყოფს.

კოდექსის 297-ე მუხლის თანახმად, დაკითხვის ჩასატარებლად, თუ დამკითხავმა დაადგინა, რომ დასაკითხმა არ იცის სამართალწარმოების ენა, ეჭვიტანილს/ბრალდებულს დაენიშნება თარჯიმანი. მე-17 მუხლის შესაბამისად, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მისთვის გადასაცემი საგამოძიებო და სასამართლო დოკუმენტები უნდა ითარგმნოს მის მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე.

კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიღებისას ადმინისტრაციამ მას წერილობითი ფორმით მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ

ენაზე უნდა გააცნოს მისი უფლებები და მისდამი მოსამსახურეების მოპყრობის წესები, ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესები, დისციპლინური და სხვა სახის მოთხოვნები. თარჯიმნის მონაწილეობა გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსითაც; კერძოდ, მე-9.4 და 53.1 მუხლების თანახმად, თარჯიმნის მომსახურების საზღაური გადაიხდება იმ მხარის მიერ, ვის საწინააღმდეგოდ იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, დაწესებულებებში ადმინისტრაციული წარმოების ენა ქართული, ხოლო აფხაზეთში - ასევე აფხაზეთი, ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირის ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობისას, პირს, რომელმაც განცხადება ან სხვა დოკუმენტი წარადგინა არასახელმწიფო ენაზე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიეცემა ვადა დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის წარმოსადგენად; ამასთან, კოდექსით დადგენილი ვადები დაცულად ითვლება (მუხლი 73), თუმცა სახელმწიფო ენაზე თარგმანის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება დაინტერესებულ მხარეს და შესაბამისად თარგმანისთვის განკუთვნილი ღირებულების ანაზღაურება ხდება დაინტერესებული მხარის მიერ.

2016 წლიდან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (2018 წლის ივნისიდან კი სპეციალური პენიტენციური სამსახურის) ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ხელმისაწვდომია ბრალდებულ / მსჯავრდებულთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული და ბეჭდური ვერსიები, მათ შორის სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. ასევე, პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა შესახლების დროს უზრუნველყოფილია მათი ინფორმირება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სათარჯიმნო მომსახურებით. ამავდროულად, მიმდინარეობს მომზადება/გადამზადება სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების როგორც ანტიდისკრიმინაციული რეგულაციების, ისე ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებებისა და მათთან მოპყრობის სპეციფიკის საკითხებზე. 23 2019 წლიდან პენიტენციურ დაწესებულებებში მაუწყებლობს 20 სატელევიზიო არხი, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე.

სახელისა და გვარის შეცვლის საკითხებს არეგულირებს „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის IX თავი. ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებით სახელისა და გვარის ჩაწერასთან დაკავშირებით აღნიშნული კანონმდებლობა რაიმე სახის გამონაკლისს არ ითვალისწინებს. უცხოური (ეროვნულ უმცირესობათა) სახელები და გვარები იწერება ისე, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული მათ ენაზე გამოთქმის წესები, მაგრამ არ არსებობს კონკრეტული სამართლებრივი აქტი, რომელიც ზუსტად დაარეგულირებდა ამ საკითხს. მაგალითად, განსაზღვრავდა, თუ როგორ უნდა ჩაიწეროს ქართული ასოებით რომელიმე ენაზე კონკრეტული ბგერა, რაც რიგ პრობლემებს იწვევს პრაქტიკაში, თუმცა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მაქსიმალურად ხდება მოქალაქის ინტერესების გათვალისწინება³.

დასკვნა

³ 2019 წლიდან სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა დაიწყო მუშაობა სხვადასხვა ენიდან ტრანსლიტერაციის საკითხებზე. 2020-2023 წლებში განისაზღვრა და დამტკიცდა ინგლისურიდან, გერმანულიდან, ფრანგულიდან, იაპონურიდან, ჩინურიდან, რუსულიდან, უკრაინულიდან ტრანსლიტერაციის წესები.

საქართველო მრავალენოვანი ქვეყანაა. მოსახლეობის უმრავლესობა საუბრობს ქართულ ენაზე (ასევე - მონათესავე ქართველურ ენებზე - მეგრულსა და სვანურზე, რომელთაც აერთიანებთ საერთო სალიტერატურო ენა); ენობრივი უმცირესობების (16 %) დიდი ნაწილი ვერ ფლობს / დაბალ დონეზე ფლობს სახელმწიფო ენას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ორი რეგიონი: ქვემო ქართლი (აზერბაიჯანულენოვანი უმცირესობა) და სამცხე-ჯავახეთი (სომხურენოვანი უმცირესობა). სახელმწიფო ენის ფლობის თვალსაზრისით, ამ რეგიონებში დღემდე საკმაოდ მძიმე ვითარებაა.

ენობრივი პოლიტიკა საქართველოში სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებით რეგულირდება სხვადასხვა სფეროში, მათ შორის - სახელმწიფო ენების - ქართულისა და აფხაზურის, ასევე - საქართველოში განსახლებული დიდი და მცირე რაოდენობის ეთნიკური ჯგუფების ენების, ქართველური ენებისა და უცხოური ენების ფუნქციონირების საკითხებს. ამ მითითებული ენების ფუნქციონირება სხვადასხვა სფეროში არ არის დეტალურად გაწერილი და რეგულირებული, თუმცა, სხვადასხვა მიმართულებით მაინც გვხვდება ენობრივი პოლიტიკის გარკვეული კონტურები. ცალკე პრობლემაა აღნიშნული კანონმდებლობის იმპლემენტაციის საკითხი; ის, თუ რამდენად სრულდება კანონით განსაზღვრული მოთხოვნები / ვალდებულებები. უნდა ითქვას ისიც, რომ უკანასკნელ პერიოდამდე საქართველოში არ არსებობდა ენობრივი პოლიტიკის მარეგულირებელი ცალკე კანონი.

2015 წელს მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო ენის შესახებ.

სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიღების შემდგომ ენობრივი პოლიტიკის საკითხებზე მსჯელობა კიდევ უფრო აქტუალური გახდა. ჩამოყალიბდა და ფუნქციონირება დაიწყო ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების სამთავრობო სტრუქტურულმა ერთეულმა - სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სახით. კანონის მიღებიდან 6 წლის შემდეგ, 2021 წელს, დამტკიცდა 2021-2030 წლების სახელმწიფო ენის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა არასისტემურობა და არსებული პოლიტიკის აღსრულების ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო მექანიზმების მოუქნელობა.

საზოგადოდ, ენობრივი პოლიტიკა ქვეყნის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მდგენელია; ქვეყნის ენობრივი პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პოლიტიკასთან და ამ კონტექსტიდან გამომდინარეობს. საქართველოს რეალობაშიც ენობრივი პოლიტიკა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისთვის და, შესაბამისად, კომპლექსურ და ერთიან მიდგომას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ ენობრივი საკითხები ძალიან ხშირად ზედმეტად პოლიტიზებულია, რაც ხელს უშლის ხშირ შემთხვევაში ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას. 2001 წელს იყო მცდელობა, მიეღოთ ერთიანი კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, თუმცა, ეს კანონპროექტი ვერ გავიდა; „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონპროექტის ჩავარდნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი სწორედ საკითხის ზედმეტად პოლიტიზება იყო. შესაბამისად, 2015 წლამდე ვერ ხერხდებოდა ენობრივი საკითხების სამართლებრივად სრულყოფილად რეგულირება და მისი შემდგომი იმპლემენტაცია.

მნიშვნელოვანი ხარვეზია ენობრივი პოლიტიკის სისტემური გააზრება და ხედვის ერთგვარი სივიწროვე: ენობრივი პოლიტიკა დღესდღეობით მხოლოდ ორი მიმართულებითაა

წარმოდგენილი: ა) სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერება; ბ) უმცირესობათა ენების პოპულარიზაცია და დაცვა. აღნიშნული მიდგომა ნიველირებას უკეთებს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესს და, ფაქტობრივად, არ ასახავს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური პოლიტიკის მოთხოვნებს. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ 2 მიმართულების ფარგლებშიც სათანადოდ არ არის გააზრებული მთელი რიგი საკითხები.

გამოყენებული ლიტერატურა

ბლოკი და კორონა, 2018

ევროსაბჭოს 1995 წლის ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

კანონი მაუწყებლობის შესახებ

კანონი რეკლამის შესახებ

კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, 2015

საარჩევნო კოდექსი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს კონსტიტუცია

სახელმწიფო ენის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021-2030 წლების

საჯარო სამსახურის შესახებ კანონი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

უმცირესობათა და რეგიონული ენების ქარტია, 1993

თავი 2

ენობრივი პოლიტიკა სტრატეგიულ დოკუმენტებში

შესავალი

ენობრივი პოლიტიკის დისკურსული ანალიზი საკმაოდ ფართოდ გავრცელებული მიდგომაა კვლევებსა და სტრატეგიული და პოლიტიკური დოკუმენტების ანალიზის კონტექსტში. კვლევის ფარგლებში განვახორციელეთ სამი სტრატეგიული დოკუმენტის ურთიერთდაკავშირება არსებულ კონტექსტში; შევეცადეთ დაგვეჭიროს ის არსებითი და ამ დოკუმენტების მიერ შექმნილი დისკურსები, რომლებიც გამოიკვეთა და რაც ჩაჯდება ენასთან მიმართებით არსებულ სამ ორიენტაციაში: ენა, როგორც რესურსი, ენა, როგორც უფლება და ენა, როგორც პრობლემა (რუიზი, 1984). კრიტიკული დისკურსანალიზის მეთოდის გამოყენებით მოხდა მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიების შესწავლა და ანალიზი. ეს გახლავთ ძალიან ფართოდ გავრცელებული მიდგომა. დისკურსის თეორიის განვითარება (საიდანაც წარმოიქმნება CDA) ლინგვისტური ცვლილების გავლენით მოხდა. ლინგვისტური ცვლილება (linguistic turn) ხაზს უსვამს ენის ბუნებას და იმას, თუ როგორ აძლიერებს ენის გაგება სოციალური ფენომენების გააზრებას. კრიტიკული დისკურსის ანალიზი ასევე ხაზს უსვამს კონტექსტის გათვალისწინებას ანალიზისას. კრიტიკული დისკურსული ანალიზი, დისკურსების გამომჟღავნებით, აშიშვლებს ძალაუფლების არათანაბარი ურთიერთობების რეპროდუცირების გზებს. კრიტიკული პერსპექტივის გათვალისწინებით, ეს მიდგომა კრიტიკის პრიზმაში განიხილავს სტატუსკვოს ან ძალაუფლებას გაძლიერებას რომელიმე ჯგუფის სასარგებლოდ და ცდილობს, უზრუნველყოს ცვლილებები.

ენასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული ხედვები, რომლებიც გავლენას ახდენს ენობრივ პოლიტიკაზე. რუიზი (1984) გვთავაზობს სამ განსხვავებულ ხედვას ენასთან დაკავშირებით: (1) ენა, როგორც პრობლემა; (2) ენა, როგორც უფლება; (3) ენა, როგორც რესურსი. ენა, როგორც პრობლემა განიხილება ინდივიდუალურ და სახელმწიფო დონეებზე. ამ ხედვით, ენა განაპირობებს გარკვეულ გამოწვევებს, პრობლემებს და სიძნელეებს. მაგალითად, მშობლიური ენა და ბილინგვიზმი ამ მიდგომით დანახულია, როგორც პრობლემა კოგნიტური განვითარებისა და აკადემიური ჩამორჩენის თვალსაზრისით.

სახელმწიფოს დონეზე კონკრეტული ენა შესაძლოა იყოს აღქმული ქვეყნის ერთიანობის რღვევის საფრთხესთან, სეპარატიზმთან და კონფლიქტებთან ამ ხედვის შესაბამისად, ენობრივი უმცირესობები და ენობრივი მრავალფეროვნება იწვევს ნაკლებ საზოგადოებრივ ინტეგრაციას და ამ პრობლემის მოგვარება კი შესაძლებელია ენობრივი უმცირესობების უმრავლესობასთან ასიმილირების გზით (ბეიკერი, 2006/2010 თარგმანი ტაბატაძე). ენა, როგორც უფლების მიდგომის მიხედვით მშობლიური ენის ფლობა თუ სხვა ენის დაუფლება განიხილება, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება (კუმინსი, 1999; ბეიკერი, 2006/2010 თარგმანი ტაბატაძე). ენისადმი მესამე ხედვა ენას განიხილავს, როგორც რესურსს ინდივიდუალურ, საზოგადოებრივ და სახელმწიფო დონეზე. ინტელექტუალური, კულტურული, ეკონომიკური, სოციალური, განვითარებისთვის (ბეიკერი, 2006/2010 თარგმანი ტაბატაძე). სწორედ ამ სამი ხედვის ფარგლებში იქნება განხილული სტრატეგიულ დოკუმენტებში ენობრივი პოლიტიკის ხედვები.

მონაცემები და მონაცემთა ანალიზი

კვლევისთვის მონაცემებს წარმოადგენს სამი სტრატეგიული დოკუმენტი, რომლებიც შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ 2021-2022 წლებში. ეს დოკუმენტებია: (1) სახელმწიფო ენის სტრატეგია 2021-2030; (2), განათლებისა და მეცნიერების განვითარების ერთიანი სტრატეგია 2022-2030; (3) თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგია 2021-2030. სწორედ ამ სამ სტრატეგიაზე დაყრდნობით მოხდა მონაცემების და ენობრივი პოლიტიკის ანალიზი.

ანალიზი სამ მიმართულებას მოიცავდა:

- 1) **აღწერა** - გულისხმობს დოკუმენტების ლინგვისტურ ანალიზს რაოდენობრივი თვალსაზრისით;
- 2) **ინტერპრეტაცია** - გულისხმობს არსებულ ტექსტებში გაბატონებული ან პროდუცირებული დისკურსების იდენტიფიცირებას ენებთან მიმართებით ჩვენ მიერ აღებული თეორიული ჩარჩოს მიხედვით: (ა) ენა, როგორც რესურსი; (ბ) ენა, როგორც პრობლემა და გ) ენა, როგორც უფლება;
- 3) **ანალიზი და დისკუსია** - არსებულ თეორიებზე დაყრდნობით ჩვენი ინტერპრეტაციების და მიგნებების ახსნა.

აღწერა - დოკუმენტების რაოდენობრივი ლინგვისტური ანალიზი

კვლევის პირველ ეტაპზე განვახორციელეთ იმ ტერმინების იდენტიფიცირება, რომლებიც უკავშირდება საქართველოში არსებულ ლინგვისტურ ფონს და აგრეთვე თეორიულ ჩარჩოდ განსაზღვრული დისკურსების მიმართულებებს - ენა, როგორც რესურსი ან როგორც უფლება და ენა, როგორც პრობლემა. ამ თვალსაზრისით, ენობრივი პოლიტიკის სამეცნიერო და პოლიტიკური ტექსტებიდან 64 ტერმინი და სიტყვა გამოიყო და მათი სიხშირეები დადგინდა ზემოთ ნახსენებ სამ სტრატეგიულ დოკუმენტში.

ტექსტების სიხშირულმა ანალიზმა გამოავლინა მკვეთრი ფოკუსი სახელმწიფო და ქართულ ენაზე დოკუმენტებში. მარტივი სიხშირული ანალიზიც კი თვალნათელს ხდის დოკუმენტების სულისკვეთებას და ენების იერარქიას.

პროცესთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინი ინტეგრაციაა, აგრეთვე ხშირია ცნება ენის გამოყენება, რაც ხაზს უსვამს სამივე დოკუმენტის სულისკვეთებას სახელმწიფო ენის სწავლებისა და გავრცელების გზით უმცირესობების დომინანტ ჯგუფთან ინტეგრირებას. ხშირად გვხვდება პროცესებთან მიმართებით ენის სწავლა/სწავლება, რაც, ერთი და იგივე კონოტაციით სამივე დოკუმენტში გამოყენებული. შედარებით ნაკლებად, თუმცა გვხვდება უფლებების დაცვის კონტექსტში პროცესების აღწერის სიხშირე. ქვემოთ დეტალურად გთავაზობთ შერჩეულ ტერმინებს და მათი გამოყენების სიხშირეებს სამივე სტრატეგიულ დოკუმენტში:

ცხრილი #2.1. ენებთან დაკავშირებული ტერმინების სიხშირე სტრატეგიულ დოკუმენტებში

	სახელმწიფო ენის სტრატეგია	სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია	განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია - 2022-2030
სახელმწიფო ენა	335	62	9

უმცირესობების უმცირესობათა) ენა (/ენები)	/ 18	6	5
მშობლიური ენა	13	12	3
უცხოური ენა	5	0	1
მეორე ენა	10	3	0
ქართული / ქართული ენა	339 / 146	52 / 33	5
აფხაზური/აფხაზური ენა	(115) 70	2 / 2	1 / 1
ოსური/ოსური ენა	0	3 / 3	0
აზერბაიჯანული/ აზერბაიჯანული ენა	3 (2)	18 (11)	2
რუსული/ რუსული ენა	4 (3)	8 (6)	2
ინგლისური/ინგლისური ენა	12 (12)	1 (1)	5
ბაცბური/ბაცბური ენა (წოვათუშური)	2	3	0
უდიური/ უდიური ენა	1	1	0
ჩეჩნური / ჩეჩნური ენა	1	1	0
ქართულენოვანი	30	37	2
რუსულენოვანი	0	1	0
სომხურენოვანი	0	7	0
აზერბაიჯანულენოვანი	0	10	0
აფხაზურენოვანი	1	0	0
არაქართულენოვანი	11	28	3
მეგრული/მეგრული ენა	8	0	0
სვანური/სვანური ენა	3	0	0

ცხრილი #2.2.. ენობრივ განათლებასთან დაკავშირებული ტერმინების სიხშირე სტრატეგიულ დოკუმენტებში

მრავალენოვანი	6	0	0
მრავალენოვნება	2	0	0
მრავალფეროვნება	24	28	6
მულტილინგვიზმი	0	0	1
მულტილინგვური განათლება	6	1	0
ბილინგვიზმი	0	0	0
ბილინგვური განათლება	4	1	1

ენისა და საგნის ინტეგრირ	0	0	0
მშობლიური ენის შენარჩუნება	1	1	0
ქართველური ენები	43	0	0
ენობრივი უფლებები	5	0	0
უფლებების დაცვა	2	5	0
უფლებები	18	37	10
უფლება	11	36	19
მშობლიური ენა, როგორც	2	1	0
უმცირესობათა ენა, როგორც	0	0	1
მეგრული ენის შენარჩუნება	1	0	0
სვანური ენის შენარჩუნება	1	0	0
ენის შენარჩუნება	1	0	0
ინტეგრაცია	36	113	13
ენის ცოდნა	0	15	1
ენის სწავლა (სწავლება)	57	26	8
სახელმწიფო ენის ფლობა	17	0	3
სახელმწიფო ენაზე განათლება	0	0	0
სახელმწიფო ენის განვითარება	1	0	0
ინგლისურის ცოდნა	0	0	0
ინგლისურის ფლობა (მხოლოდ ინგლისური ენის სწავლება)	0	0	0 (3)
ინგლისური	12	1	5
უცხოური ენის ცოდნა	0	0	0
უცხოური ენის ფლობა	3	0	0
უცხოური ენის განვითარება (სწავლება)	2	0	(1)
მულტილინგვიზმი, როგორც	0	0	0
სახელმწიფო ენა, როგორც	2	0	0
უმცირესობათა ენა, როგორც	0	0	0
ერთენოვანი განათლება	2	0	0
ქართულენოვანი განათლება (სწავლება)	0	0	2

კომუნიკაციის საშუალება (საკომუნიკაციო საშუალება)	2	3	1
ეროვნებათშორისი ურთიერთობების საშუალება	0	0	0
გაქართულება	1	0	0
უმცირესობათა სკოლები	0	0	1
არაქართულენოვანი სკოლები	3	3	0

ინტერპრეტაცია / არსებული თუ შექმნილი დისკურსები

ენა, როგორც საჭიროების ანალიზიდან გამომდინარე, არსებული რესურსი

ენის, როგორც რესურსის განხილვა ყველა განხილულ დოკუმენტში ძირითადად სახელმწიფო ენის კონტექსტში ხდება. სახელმწიფო ენა არის სწორედ ის ენა, რომლის ცოდნა, სწავლა, განვითარება, პოპულარიზაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურს როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის. სამივე სტრატეგია ნაკლებად საუბრობს სხვა ენებზე, როგორც რესურსზე. მხოლოდ იშვიათ კონტექსტში უმცირესობათა ენა შეიძლება იქნეს გამოყენებული, როგორც სახელმწიფოს ხელში რესურსი საკუთარი მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის. შევეცდებით ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული დისკურსები წარმოგიდგინოთ შესაბამისი დებულების მაგალითებით, სადაც თვალსაჩინო იქნება ამ დისკურსების არსებობა:

დისკურსი: ენა - სახელმწიფო ენა, როგორც უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის ინსტრუმენტი

აღნიშნული დისკურსი ფართოდ არის ხაზგასმული განხილულ სამივე დოკუმენტში. ყველაზე ხშირად ამ თვალსაზრისით, დოკუმენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიაში გვხვდება, რომელშიც სპეციალური თავიდან გამომდინარე: *სახელმწიფო ენა, როგორც ინტეგრაციის ინსტრუმენტი* და სწორედ ამ კონტექსტში აქვს განხილული სახელმწიფო ენის საკითხები; ეს სულისკვეთებაა მთელი დოკუმენტის გამჭოლი ხაზია:

სახელმწიფო ენის არცოდნა მნიშვნელოვნად აფერხებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ამავდროულად, გარკვეულწილად ხელს უშლის ერთმანეთის კულტურის, ტრადიციების გაზიარებას და მიმდებლობას. შესაბამისად, სტრატეგია სახელმწიფო ენას განიხილავს, როგორც სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს.

შესაბამისად, ინტერვენცია მიმართულია ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლებისა და გამოყენების გაძლიერებისკენ. (თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია, გვ 16).

სახელმწიფო ენის ცოდნა ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი წინაპირობა და აუცილებელი ფაქტორია ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გაძლიერებისა და მრავალეთნიკური საზოგადოების სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის. (თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია, გვ 16; გვ 40).

შესაბამისად, წინამდებარე სტრატეგიის პირველი პრიორიტეტი - სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად გულისხმობს სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერებას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებისა და საჯარო სივრცეში გამოყენების მხარდაჭერის გზით. გაგრძელდება სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა, რომელიც დამკვიდრებულ პრაქტიკასთან და მიმდინარე პროგრამებთან მიმართებით უფრო მეტად მასშტაბური, პრაგმატული, განგრძობითი, სტანდარტიზებული და წახალისებაზე ორიენტირებული იქნება როგორც ფორმალურ, ასევე ზრდასრულთა და არაფორმალური განათლების ნაწილში (თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია, გვ 41).

სახელმწიფო ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის ახალი მიდგომების დასაწერად. სტრატეგიის ფარგლებში განსაზღვრული თითოეული ამოცანა ემსახურება სახელმწიფო ენის სწავლებას ინტეგრაციის პერსპექტივიდან გამომდინარე (თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია, გვ 41).

თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიის სულისკვეთება გაზიარებულია სხვა ორ დოკუმენტშიც, განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია შედარებით იშვიათ შემთხვევებში, საუბრობს ენობრივ პოლიტიკაზე განათლებაში და ყოველთვის სახელმწიფო ენის შესწავლის, როგორც ინტეგრაციის ინსტრუმენტის კონტექსტში:

მთავრობისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება სახელმწიფო ენის სწავლების და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა არადომინანტი ეთნიკური ჯგუფებისთვის და მათი სრულყოფილი სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა (განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, გვ. 48).

რაც შეეხება სახელმწიფო ენის სტრატეგიას, მასში სახელმწიფო ენებთან მიმართებით ბევრი დისკურსია გატარებული, რაზეც დეტალურად ვისაუბრებთ, მაგრამ ერთ-ერთი ფოკუსი მასში სახელმწიფო ენის, როგორც ინტეგრაციის ინსტრუმენტად გამოყენებაა და ამ მიმართულებაზე საუბრისას ენის სტრატეგია რეფერირებს სწორედ თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიას: სახელმწიფო ენის სტრატეგიაში ვკითხულობთ:

ამ მიმართულებით სტრატეგიის მიზნებია: 1. სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ... სტრატეგიის სამიზნე ჯგუფია ეთნიკური უმცირესობები. საქართველოს მოქალაქეების ამ ნაწილის ინტეგრაცია ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნამდვილად არის სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი გამოწვევა. სახელმწიფო ენის სტრატეგია კონცენტრირებულია საქართველოს თითოეული მოქალაქის, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების ენობრივი უფლებების დაცვაზე და, შესაბამისად, მისი მიზანი იკვეთება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიის ამ ნაწილთან (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ. 15).

დისკურსი: სახელმწიფო ენა, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის გარანტი

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონტექსტი, რომელიც სამივე განსახილველ დოკუმენტში გვხვდება: ენა აღქმულია, როგორც მნიშვნელოვანი რესურსი, გახლავთ სახელმწიფო ენა და მისი ფუნქციონირების არეალის გაფართოება და გაკონტროლება. სახელმწიფო ენა და მისი ფუნქციონირება ყველა დონეზე - როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ, აგრეთვე საგანმანათლებლო, სოციალურ, ტოპონიმებისა და დასახელებების სფეროში, ინფორმაციის

მიღების საშუალებებში და ა.შ სტრატეგიების მიერ აღქმულია, როგორც მნიშვნელოვანი ამოცანა სახელმწიფოს ფუნქციონირების, პოლიტიკური და სამოქალაქო სტაბილურობის გარანტიისთვის. სახელმწიფო ენა დანახულია, როგორც სახელმწიფოს ფუნქციონირების გარანტია და ამიტომ სახელმწიფო ენის გამოყენებაზე წესდება საჯარო სტრუქტურებში მონიტორინგი და ზედამხედველობა:

მონიტორინგი განხორციელდება საჯარო სექტორში საქმისწარმოების სახელმწიფო ენაზე წარმართვის, სარეკლამო აზრებზე, დაწესებულებებზე წარწერების, დასახელებების სახელწოდებების და საგზაო მარშრუტებსა და მანიშნებლებზე ქართული დამწერლობის გამოყენების მიზნით. შეფასების განხორციელების შემდგომ, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ გატარდება დამხმარე ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით სახელმწიფო ენის სრულფასოვან ფუნქციონირებას. (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ 42-43).

უშუალოდ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონები არის სახელმწიფო ენის, ისევე როგორც თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიის პირდაპირი სამიზნე და სახელმწიფო ენის ფუნქციონირება და გამოყენებაზე ზედამხედველობა ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა, რომელიც იდენტურად მეორდება ორივე სტრატეგიულ დოკუმენტში.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ფუნქციონირების მხარდაჭერა და გამოყენების ზედამხედველობა (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ 43).

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ფუნქციონირების მხარდაჭერა და გამოყენების ზედამხედველობა. თითოეული მიზანი და შესაბამისი ამოცანა სახელმწიფო ენის ფუნქციონირების გაძლიერებას ემსახურება, რომელიც მიიღწევა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ შესასრულებელი აქტივობების განხორციელების გზით ...სახელმწიფო ენის სტრატეგია). ... სახელმწიფო ენის არასრულფასოვანი ფუნქციონირება არის მთავარი პრობლემა, რომელიც იკვეთება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მისი გამოყენების ხარისხისა და პირობების ანალიზის საფუძველზე. ენის სტრატეგია გვ 19... ის, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა მნიშვნელოვანი ფაქტორია მოქალაქეებისათვის, დასტურდება 2021 წელს „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევის „საქართველოს მომავლის“ თანახმად, გამოკითხულთა სრულ უმრავლესობას ენა ეროვნული იდენტობის მნიშვნელოვან ატრიბუტად მიაჩნია (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ 20).

ენის არცოდნა გამოწვევდაა შეფასებული განათლების სტრატეგიის დოკუმენტში. ამ დოკუმენტის მიხედვით, ერთ შემთხვევაში გამოწვევდაა დასახლებული კონკრეტული მოქალაქეების აქტიური მოქალაქეობის, საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების რეალიზების თვალსაზრისით, თუმცა მეორე შემთხვევაში დასახლებულია, როგორც გამოწვევა ზოგადად ქვეყნისთვის ენის არ ცოდნით არსებულ გამოწვევებზე იდენტურად საუბრობს სამივე დოკუმენტი:

ცხრილი #2.3. ამონარიდები სტრატეგიული დოკუმენტებიდან ენის არ ცოდნის, როგორც გამოწვევის

სახელმწიფო ენის სტრატეგია	სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია	განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია
იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც არ იციან სახელმწიფო ენა, მაინც დიდია – სომხების 44% და აზერბაიჯანელების 74% ისევე ვერ ფლობს ქართულს სრულფასოვნად (მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014, გვ 31).	2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, სახელმწიფო ენას არაქართულ ენოვანი მოსახლეობის მხოლოდ 30.99% ფლობდა. ამასთან, 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით,	მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სახელმწიფო ენის სრულფასოვნად ფლობის საკითხი. იმ პირთა წილი, რომლებიც ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას ეთნიკურად

	<p>ეთნიკურად სომეხი მოქალაქეების 44,5% და ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეების 73,9% თავისუფლად არ ფლობდა ქართულ ენას . (განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, გვ 16).</p>	<p>სომეხ მოქალაქეებში 44%-ს, ხოლო ეთნიკურად აზერბაიჯანელებს შორის 74%-ს შეადგენს (საქსტატი, 2014; განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, გვ .27).</p>
--	---	---

წარმოდგენილ კონტექსტებში, როცა სახელმწიფო ენის არცოდნა დასახელებულია როგორც სახელმწიფოს პრობლემად და გამოწვევად სტრატეგიულ დოკუმენტებში და, მეორე მხრივ, ხაზგასმულია სახელმწიფო ენის გამოყენებაზე სახელმწიფო იძულების მექანიზმები, ტექსტობრივი და კონტექსტუალური მდგომარეობა თვალსაჩინოს ხდის სახელმწიფოს ხედვას სახელმწიფო ენის მიმართ - როგორც რესურსისა პოლიტიკური სტაბილურობისა და შიდა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

დისკურსი: სახელმწიფო ენა, როგორც რესურსი სხვადასხვა ჯგუფს შორის კომუნიკაციისა და სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ, პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოში, რუსულმა ენამ თანდათან დაკარგა სხვადასხვა ეთნოსს შორის კომუნიკაციის ერთადერთი სტატუსი (პავლენკო, 2008, ტაბატაძე, გაბუნია და ოძელი, 2008, გაბუნია და გოჩიტაშვილი, 2019). საქართველოში სხვადასხვა ეთნოსს შორის კომუნიკაციის ინსტრუმენტი სახელმწიფო ენა უნდა გამხდარიყო, თუმცა სტრატეგიულ დოკუმენტებში ამ მიმართულებით სახელმწიფო ენის, როგორც რესურსის შესაძლებლობა ხაზგასმული არ არის. მხოლოდ სახელმწიფო ენის სტრატეგიაშია ირიბად ამ მიმართულებით მინიშნება: „საქართველო მრავალენოვანი და მრავალენოვანი ქვეყანაა და სახელმწიფო ენის ფუნქციონირება განიხილება სწორედ ამ მოცემულობის გათვალისწინებით“ (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ.63), თუმცა მკვეთრი ხაზგასმა; თუმცა, შესაბამისი სტრატეგიული ხედვები ამ თვალსაზრისით არცერთ დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი.

სახელმწიფო ენის სტრატეგიასა და თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიებში სახელმწიფო ენის რესურსი, როგორც მოსახლეობასთან ურთიერთობის, სერვისების მიწოდების, ინფორმაციის გავრცელების საშუალება, უფრო კარგად არის წარმოჩენილი და ამ თვალსაზრისით უფრო იკვეთება სახელმწიფოს ხედვა, რომ მშობლიურ ენასთან ერთად სახელმწიფო ენა იყოს მოსახლეობასთან ურთიერთობის ინსტრუმენტი, მაგალითისთვის წარმოგიდგინთ მოკლე ამონარიდებს სტრატეგიული დოკუმენტებიდან, რომელთა მსგავსი უხვად მოიპოვება ზემოთ მითითებულ ორ სტრატეგიულ დოკუმენტში:

აღნიშნული ენობრივი უფლებები (სახელმწიფო ენაზე ინფორმაციის მიღების უფლება და შესაძლებლობა, მშობლიურ ენაზე ინფორმაციის მიღების უფლება და შესაძლებლობა) და სხვ.... ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა – ხარისხიანი სამედიცინო დახმარება და ხელმისაწვდომი მედიკამენტები და ვაქცინები, რაც თავისთავად უკავშირდება სამედიცინო მომსახურების მიღებას სახელმწიფო ენაზე (მედიკამენტების, ვაქცინებისა თუ სხვა მომსახურების) (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ 68-69).

დისკურსი: უმცირესობათა ენა როგორც რესურსი კომუნიკაციისა და სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად

ენა, როგორც რესურსი, ყველა დოკუმენტში განხილულია მხოლოდ სახელმწიფო ენასთან მიმართებით; ერთადერთი შემთხვევა, როცა უმცირესობათა ენები წარმოდგენილია, როგორც რესურსი, გახლავთ ინფორმაციის მიღების კონტექსტი. მშობლიური ენა წარმოდგენილია, როგორც მნიშვნელოვანი რესურსი, ერთი მხრივ, მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მისაღებად ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, ისევე, როგორც სახელმწიფო სერვისების შესახებ, მეორე მხრივ სახელმწიფოსთვის სტაბილურობისა და განვითარების კონტექსტში: მაგალითად, პანდემიის პერიოდში მისი გავრცელების თავიდან ასარიდებლად, ან ქვეყნის პოლიტიკური განვითარების პროცესში მოსახლეობის მხარდაჭერის მისაღებად. ეს დისკურსი სამი განხილული დოკუმენტიდან მხოლოდ თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიის დოკუმენტში იკვეთება. სახელმწიფო ენისა და განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიები ამ კუთხით არ წარმოაჩენს მშობლიური ენის მნიშვნელობას და მის განვითარებას განათლების სექტორში:

საქართველოს მთავრობა, ანალიზებს რა 2020 წლის განმავლობაში COVID-19-ის პანდემიით წარმოქმნილ გამოწვევებს სხვადასხვა სფეროში, საშუალო და გრძელვადიანი პოლიტიკის დაგეგმვისას, სხვა საკითხებთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობს ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებს. მაქსიმალური ძალისხმევა იქნება მიმართული ეთნიკური უმცირესობებისათვის, სახელმწიფო ენაზე და უმცირესობების მშობლიურ ენებზე ინფორმაციის მიწოდებისა და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების უზრუნველყოფის მხარდაჭერის მიმართულებით, განხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები და კარდაკარ კამპანიები ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, გაგრძელდება ახალ საჭიროებებთან ადაპტირებული საინფორმაციო მასალების ალტერნატიული გზებით გავრცელება, სოციალურ-ეკონომიკური დახმარების მიზნით სხვადასხვა შეჭირვებული სოციალური ჯგუფებისთვის საკვები და ჰიგიენური პროდუქტებით უზრუნველყოფა. (თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია, გვ 52-53);

COVID-19-ის პანდემიით წარმოქმნილმა გამოწვევებმა კიდევ უფრო აქტუალური გახადა ეთნიკური უმცირესობების ცნობიერების ამაღლების საკითხი, მათთვის ინფორმაციის, როგორც სახელმწიფო, ისე მშობლიურ ენაზე ალტერნატიული გზებით მიწოდების საჭიროება. ასევე, მედიაწიგნიერების ამაღლებისა და დეზინფორმაციის პრევენციისთვის მიზნობრივი პროგრამების განხორციელება, რეგიონების ინტერნეტიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიებთან წვდომის გაუმჯობესება (თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია, გვ 30).

ამასთანავე, ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური სოციალიზაციისა და ზოგადად სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანია მათთვის მშობლიურ/გასაგებ ენებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ერთიან საინფორმაციო სივრცეში ჩართვა (თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია, გვ 49).

საინფორმაციო უზრუნველყოფის გაძლიერების კუთხით დაგეგმილია საინფორმაციო გადაცემები და პროგრამები ეთნიკური უმცირესობების ენებზე: მშობლიურ ენაზე ვებპორტალებისა და ინფორმაციის თარგმანი, არაქართულენოვანი მედიის მხარდაჭერა და პროექტები, ტრენინგები მედია-მუშაკების პროფესიული გაძლიერებისთვის. კარდაკარ კამპანიები ადამიანის უფლებებზე, სახელმწიფო სერვისებზე, ასევე საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის სიკეთებისა და მიმდინარე პროცესის შესახებ (თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია, გვ 50);

აღნიშნული ინსტიტუცია ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით წამყვანი აქტორია, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო გადაცემის ტრანსლირებას ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. ასევე საზოგადოებრივი მაუწყებელი უზრუნველყოფს ვებპორტალის - www.1tv.ge-ის შვიდ ენაზე (ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, ინგლისური და რუსული) ფუნქციონირებას (თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია, გვ 31).

დისკურსი: სახელმწიფო ენა როგორც წარმატებისა და კარიერული წინსვლის საფუძველი

სახელმწიფო ენა, როგორც რესურსი, განხილულია სტრატეგიულ დოკუმენტებში არა მხოლოდ სახელმწიფო ან საზოგადოების ინტერესების კონტექსტში, არამედ ინდივიდუალური შესაძლებლობების გაზრდის ფარგლებშიც. სამივე სტრატეგიულ დოკუმენტში, ინდივიდუალური წარმატებისა და განვითარებისთვის სწორედ სახელმწიფო ენის მნიშვნელობა იკვეთება და ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან რესურსად წარმოჩინდება. ქვემოთ ცხრილის სახით წარმოვადგენთ სამივე დოკუმენტიდან ამონარიდებს ამ თვალსაზრისით არსებული ჩანაწერების შესახებ, რაც ამყარებს არსებულ დისკურსს სახელმწიფო ენის მნიშვნელობის შესახებ ინდივიდუალური წარმატების, განვითარებისა თუ კარიერული ზრდის კონტექსტში:

ცხრილი #2.4 ამონარიდები სტრატეგიული დოკუმენტებიდან ენის როგორც რესურსის შესახებ კარიერული წარმატების კონტექსტში.

სახელმწიფო ენის სტრატეგია	სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია	განათლების და მეცნიერების სტრატეგია
<p>ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირების სისტემა ეფუძნება დღეს მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოს. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს (განსაკუთრებით, საჯარო სამსახურში დასაქმებისას, ან განათლების მისაღებად), ქართული ენის ცოდნა აუცილებლობად მიაჩნია, ქართული ენა ვერ ფუნქციონირებს სათანადოდ (გვ.70).</p>	<p>-ისეთი პროგრამები და აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა ასაკის ადამიანებს სახელმწიფო ენის შესწავლაში, პროფესიული ლექსიკის დაუფლებაში, საკლასო ოთახის გარეთ, რეალურ სივრცეში ქართული ენის გამოყენებასა და მათ პროფესიულ სივრცეში ინტეგრაციაში, ერთობლივი პროექტების განხორციელებაში (გვ 42);</p> <p>საჯარო სისტემაში დასაქმებული პირებისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის მიზნით შესაბამისი პროგრამები. ქართული ენის შესწავლის მოტივაციის გასაზრდელად მუშაობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართება, კერძოდ: სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, წარმატებით დასაქმების პერსპექტივებისა და პროფესიული კავშირების უზრუნველყოფისთვის ენის ცოდნის მნიშვნელობის გაცნობიერება, ენის შესწავლის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და სხვა (გვ 42).</p>	<p>გამოწვევად რჩება სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფლობის და გამოყენების საკითხი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს როგორც მათ ჩართულობას განათლების ნებისმიერ საფეხურზე, ისე ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის მიღებას, დასაქმებასა და სხვა სერვისებით სარგებლობას (გვ 28).</p>

დისკურსი: ქართული ენა, როგორც მეცნიერების და განვითარების შესაძლებლობა

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, სადაც ენა დანახულია, როგორც რესურსი განვითარებისა და კეთილდღეობისთვის გახლავთ ქართული ენა მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში. ქართული ენის გამოყენება ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოსაყალიბებლად, ტექნოლოგიური ენაში დასამკვიდრებლად და სამეცნიერო ენად დასამკვიდრებლად არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულება სახელმწიფო ენის სტრატეგიაში. ამ

თვალსაზრისით არაფერი ნათქვამი განათლების ერთიან სტრატეგიაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო ენის სტრატეგიაში ქართული ენა როგორც მეცნიერების, ტექნოლოგიების და ეკოსისტემის განვითარების ენად ქცევა მნიშვნელოვანი ხედვაა, თუმცა ამ თვალსაზრისით ინგლისური ენის, როგორც რესურსი ან პრობლემის წარმოჩენა არ ხორციელდება და ის საკითხი სრულიად იგნორირებულია სახელმწიფო სტრატეგიებში. ამავე დროს სახელმწიფო ენის ამ კონტექსტში ხაზგასმა, შესაძლოა ინტერპრეტირდეს, როგორც სახელმწიფო ენის უფლებრივი მდგომარეობის გაძლიერება და დაცვა გლობალური ენის (ინგლისურის) დომინაციის პირობებში. შესაბამისად ეს მიმართულება შესაძლოა ორსახოვანი იყოს, სახელმწიფო ენა, როგორც რესურსი მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების ეკოსისტემის განსავითარებლად და სახელმწიფოს ენის უფლებრივი მდგომარეობის დაცვა ინგლისურენოვან მეცნიერებ ის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ეკოსისტემაში. ეს შერეული ინტერპრეტირება ყველაზე მეტად ასახავს არსებულ დისკურსებს. უფლებრივ ჭრილში დანახვა ამ კონტექსტში უფრო რელევანტური ხდება იმის გათვალისწინებით, რომ ეს მიმართულება სახელმწიფო ენის სტრატეგიაშია წარმოდგენილი და არა განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიაში. ქვემოთ გთავაზობთ ამონარიდებს, სადაც წარმოდგენილი ქართული ენა, როგორც რესურსი მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების განსავითარებლად.

ცხრილი #2.5. ამონარიდები სტრატეგიული დოკუმენტებიდან ქართული ენა, როგორც რესურსი მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების განსავითარებლად.

სახელმწიფო ენა მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების ეკოსისტემაში	სახელმწიფო ენა როგორც რესურსი განვითარებისთვის	სახელმწიფო ენის დაცვა გლობალური მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების ეკოსისტემაში
	<p>- ენობრივი ტექნოლოგიების განვითარება, რომელსაც ერთ-ერთ პრიორიტეტად სახავს სახელმწიფო ენის სტრატეგია, არის ციფრული ტრანსფორმაციის საფუძველი, ეს საკითხი პირდაპირ ეხმიანება ზემოაღნიშნულ სტრატეგიაში ნახსენებ ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბებას (გვ 16)</p>	
	<p>✓ მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა – ქართულენოვანი ინტერნეტის განვითარება, ენობრივი ტექნოლოგიების შექმნა და განვითარება, რაც გამოიწვევს მომსახურების სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარებას, ტექნოლოგიურ წინსვლას, მრეწველობაში ქართულენოვანი ტექნოლოგიების დანერგვას და სხვ. (გვ. 69)</p>	

	<p>ქართველოლოგიური კვლევები ქმნიან საფუძველს ქართულის, როგორც მეცნიერების ენის განვითარებისათვის (გვ. 62).</p> <p>საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების ერთ-ერთ სამუშაო ენად ქართულის აუცილებელი არჩევა და კვალიფიციური სინქრონული თარგმანის არსებობა, აგრეთვე ორენოვანი სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება ასევე ხელს უწყობს ქართული სამეცნიერო მეტაენის განვითარებასა და ახალი სამეცნიერო ტერმინოლოგიის სწრაფ გაქართულებას. ქართული, როგორც მეცნიერების ენა აგრეთვე საჭიროებს განსაკუთრებულ ფინანსურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას (გვ. 63).</p>	<p>ქართველოლოგიური კვლევები ქმნიან საფუძველს ქართულის, როგორც მეცნიერების ენის განვითარებისათვის (გვ. 62)</p> <p>საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების ერთ-ერთ სამუშაო ენად ქართულის აუცილებელი არჩევა და კვალიფიციური სინქრონული თარგმანის არსებობა, აგრეთვე ორენოვანი სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება ასევე ხელს უწყობს ქართული სამეცნიერო მეტაენის განვითარებასა და ახალი სამეცნიერო ტერმინოლოგიის სწრაფ გაქართულებას. ქართული, როგორც მეცნიერების ენა აგრეთვე საჭიროებს განსაკუთრებულ ფინანსურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. (გვ. 63).</p>
--	--	--

ენა, როგორც უფლება

ენა, როგორც უფლება, ყველაზე ფართოდ წარმოდგენილი ორიენტაცია და ხედვაა ენებთან მიმართებით. ენა, როგორც მიდგომა სტრატეგიულ დოკუმენტებში გამოიყენება საქართველოს კონტექსტიდან გამომდინარე თითქმის ყველა ენისა და ენობრივი ჯგუფის მიმართ. კერძოდ: (ა) ქართული ენის/სახელმწიფო ენის დაცვა და გაძლიერება; (ბ) აფხაზური ენის/სახელმწიფო ენის, ისევე, როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი ენის, დაცვა და განვითარება; (გ) საფრთხის ქვეშ მყოფი მცირე ენების დაცვა და განვითარება; (დ) ეროვნული უმცირესობების ენების დაცვა და განვითარება მათი განსახლების არეალებში; (ე) ქართველური ენების (მეგრული, სვანური, ლაზური) დაცვა და განვითარება. თითოეულ ამ ენობრივ ჯგუფთან მიმართებას ენობრივი პოლიტიკის კონტექსტში ცალ-ცალკე წარმოგიდგენთ, სტრატეგიულ დოკუმენტებში არსებული ჩანაწერებიდან გამომდინარე.

სტრატეგიების ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაიმიჯნოს სამი მიმართება ენის, როგორც უფლების აღიარების კონტექსტში. პირველი გულისხმობს თავად ენის , როგორც კულტურისა და კულტურული -მრავალფეროვნების დაცვას; მეორე გულისხმობს ენის, როგორც სხვა მიზნების მისაღწევი ინსტრუმენტის დაცვას (მაგალითად სახელმწიფოს ფუნქციობის, ერთიანობის და ა.შ. მესამე კი გულისხმობს ენის მატარებლის უფლებების დაცვას ფლობდეს, სწავლობდეს და იყენებდეს მის მშობლიურ ენა. ამ კონტექსტში სხვადასხვა ენების მიმართ საქართველოში სტრატეგიულ დოკუმენტებში სხვადასხვა მიმართება იკვეთება.

დისკურსი: ენის, როგორც კულტურისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვა

ამ ხედვის ქვეშ წარმოდგენილია საფრთხის ქვეშ მყოფი ენები და მათი დაცვის კონტექსტში მნიშვნელოვანი აქცენტებია გაკეთებული მხოლოდ სახელმწიფო ენის სტრატეგიაში. სახელმწიფო ენის სტრატეგია ზრუნავს და ხაზს უსვამს ისეთი ენების დაცვისა და განვითარების აუცილებლობას, რომელიც საფრთხის ქვეშაა: „ისტორიულად ქართული კულტურული მემკვიდრეობის კუთვნილებად ქვეული უდიური და ბაცური (წოვათუშური) ენების სტატუსი და მათი დაცვისა და მომავალში არსებობის მექანიზმების. გვ 3“ შექმნა სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილადაა წარმოდგენილი. ამავე დოკუმენტის კონტექსტში ხაზგასმულია ქართველური ენები დაცვისა და განვითარების მნიშვნელობა როგორც ქართული კულტურული იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილის. ქართული, სვანური და მეგრულ-ლაზური ენების ერთობა ქართველი ერის ეროვნული იდენტობის ისტორიული და კულტურული ფუნდამენტია.. „სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს ქართველურ ენათა და კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე“ (გვ. 25).

დისკურსი: ენის, როგორც მიზნების მისაღწევი ინსტრუმენტის დაცვა

ამ ხედვის ქვეშ ქართული ენის დაცვა და გაძლიერებაა ხაზგასმული სტრატეგიულ დოკუმენტებში. ამ მიმართულებით, წინა მიმართულებებისგან განსხვავებით, ხედვები წარმოდგენილია სამივე სტრატეგიულ დოკუმენტში. მაგალითად სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების დისკურსი თვალსაჩინოდ არის წარმოჩენილი ენის სტრატეგიის დოკუმენტში:

„სახელმწიფო ენა, როგორც ქართული კულტურის, თვითგამოხატვის, თვითგანვითარების, სახელმწიფოებრიობის ინსტრუმენტი საჭიროებს დაცვას და სწორ განვითარებას მომავალში. (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ.3).

უფრო მეტიც, სახელმწიფო ენის სტრატეგია ხაზს უსვამს ქართული ენის დაცვისა და განვითარების აუცილებლობას სახელმწიფოს ფუნქციონირების კონტექსტში:

სახელმწიფო ენის სტრატეგიის ხედვა გულისხმობს 2030 წლისათვის ქართული ენის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის ქართული ენის დაცვასა და განვითარებას საკანონმდებლო და საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით. სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის ენას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა ჰქონდეს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ყველა სფეროში (საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ორგანოებში, სკოლაში, სამუშაო, პროფესიული, უმაღლესი განათლების სისტემაში, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, იურისპრუდენციაში, ადმინისტრაციულ მმართველობაში, მედიის, ეკონომიკის, ბიზნესის, საბანკო, სარეკლამო თუ მარკეტინგის სფეროებში, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, საზოგადოების კულტურულ თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში) გამოყენების სათანადო პირობები (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ 67).

ანალოგიურად, სახელმწიფო ენის დაცვა და განვითარება მისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ხაზგასმულია განათლების ერთიან სტრატეგიაშიც: „ყურადღება დაეთმობა 2021-2030 წლების სახელმწიფო ენის სტრატეგიის (ერთიანი პროგრამა) განხორციელებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ქართული ენის დაცვა და გაძლიერება მთელი ქვეყნის მასშტაბით, (განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია გვ 48). ანალოგიურად თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიაც ხაზს უსვამს სახელმწიფო ენის, ქართულის, დაცვასა და განვითარების მნიშვნელობას სახელმწიფოს ეფექტური განვითარებისთვის:

„ეთნიკური უმცირესობების მიმართ ენობრივი პოლიტიკა გამომდინარეობს როგორც ქვეყნის განვითარების მიზნებიდან, აგრეთვე სახელმწიფოს შიდა და საერთაშორისო საინტეგრაციო პროცესებიდან, სამოქალაქო თანასწორობის მიზნებიდან და მოიაზრებს,

ერთი მხრივ, არაქართულენოვანი მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერებასა და პოპულარიზაციას“ (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ.16).

ამ ხედვის ქვეშ არის მოქცეული აფხაზური ენა, რომელიც სახელმწიფო ენას წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და, ამავე დროს, საფრთხის ქვეშ მყოფ ენად არის კლასიფიცირებული იუნესკოს მიერ. შესაბამისად, აფხაზური ენის მიმართ ვლინდება უფლებრივი მდგომარეობა სხვადასხვა კონტექსტში, კერძოდ ენის, როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი ენის დაცვა, აგრეთვე - ენის მატარებლების მშობლიური ენის სწავლა-სწავლებით უზრუნველყოფა და აფხაზურის, როგორც სახელმწიფო ენის, როგორც სხვადასხვა მიზნის მიღწევის ინსტრუმენტის, გაძლიერება და პოპულარიზაცია. შესაბამისად, აფხაზურ ენასთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი სამივე სტრატეგიაში, თუმცა განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სახელმწიფო ენის სტრატეგიაში. ქვემოთ გთავაზობთ აფხაზურ ენასთან დაკავშირებით სამივე კონტექსტის შესაბამის ჩანაწერებს საქართველოს მთავრობის სტრატეგიული დოკუმენტებიდან:

ცხრილი #2.6. აფხაზურ ენასთან დაკავშირებით სამივე კონტექსტის შესაბამის ჩანაწერებს საქართველოს მთავრობის სტრატეგიული დოკუმენტებიდან:

აფხაზურის, საფრთხის ქვეშ მყოფი ენის დაცვა	ენის მატარებლების მშობლიური ენის სწავლა-სწავლებით უზრუნველყოფა	აფხაზურის, როგორც სახელმწიფო ენის, როგორც სხვადასხვა მიზნის მიღწევის ინსტრუმენტის, გაძლიერება და პოპულარიზაცია
იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც მოგვეპოვება, მშობლიურ ენას ვერ ფლობს ეთნიკურ უმცირესობათა 3,14%. ეს მაჩვენებელი ოპტიმისტურია, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ზოგი ენა იუნესკოს მიერ საფრთხეში მყოფ ენადაა კვალიფიცირებული, სახელმწიფოს მიზანია ამ ენათა შენარჩუნებისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარება, ამასთან, მაჩვენებლის შენარჩუნების მიზნით, წინმსწრები ნაბიჯების გადადგმა (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ. 64)	აფხაზური ენის დაცვისა და განვითარებისათვის სახელმწიფო ენის სტრატეგიაში განსაზღვრულია მისი სწავლების ხელშეწყობა (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ. 84)	ამავე დროს, სტრატეგიამ ოკუპაციის პირობებშიც უნდა დაიცვას აფხაზური ენის, როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე პარალელურად აღიარებული სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსი, უზრუნველყოს აფხაზური ენის სწავლების, კვლევის, დოკუმენტირებისათვის საჭირო ღონისძიებები და შექმნას მომავალში მისი არსებობის გარანტიები. (ენის სტრატეგია, გვ. 3).
აფხაზური არის „უმეტესად საფრთხეში მყოფი ენა“ (საფრთხეში მყოფი ენების ატლასი, იუნესკო, 2010, გვ. 24).	ოკუპაციის გათვალისწინებით, აფხაზური ენის სწავლებისათვის გამოყენებული იქნება ინტერნეტი და ციფრული ტექნოლოგიები, რაც აფხაზური ენის სწავლების მსურველს ხელშეწყობს ბარიერების დაძლევის საშუალებას აძლევს. შექმნილი რესურსებით	უზრუნველყოფილი იქნეს ქართული ენის (განათლების ერთიანი სტრატეგია, დაცვა და გაძლიერება მთელი ქვეყნის მასშტაბით, აფხაზეთში აფხაზურ ენასთან ერთად (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ.47-48)

	<p>სარგებლობა შეეძლება როგორც ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზური ენის შესწავლის მსურველებს, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებს, რომელთაც სურთ მშობლიური ენის შენარჩუნება (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ 84-85)</p> <p>დისტანციური კურსის პარალელურად შეიქმნება სხვა სასწავლო ენობრივი რესურსები, კერძოდ, აფხაზური ენის სასწავლო ლექსიკონის ელექტრონული, ინტერაქციული ვერსია, რომელსაც საფუძვლად დაედება სახელმწიფო ენის დეპარტამენტში შექმნილი კორპუსზე დაფუძნებული სასწავლო სიხშირული ლექსიკონების კონცეფცია და ტექნოლოგიური მოდელი. გვ 85 განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა 2021-2030 წლების სახელმწიფო ენის სტრატეგიის (ერთიანი პროგრამა) განხორციელებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ქართული ენის დაცვა და გაძლიერება მთელი ქვეყნის მასშტაბით, აფხაზეთში აფხაზურ ენასთან ერთად, მშობლიური ქართული ენისა და ქართულენოვანი სწავლების მხარდასაჭერად (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ. 47).</p>	
<p>საქართველოს კონსტიტუციით აფხაზური ენა არის სახელმწიფო ენა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართულთან ერთად. საქართველოს კონსტიტუციის მეორე მუხლის აღსრულება რუსული ოკუპაციის გამო ვერ ხერხდება. იუნესკოს კლასიფიკაციით აფხაზური არის „უმეტესად საფრთხეში მყოფი ენა“ (საფრთხეში მყოფი ენების ატლასი, იუნესკო, 2010).</p>		

დისკურსი: ენის მატარებლის უფლებების დაცვა

ეთნიკურ უმცირესობათა მშობლიური ენის სწავლა და ამ უფლების რეალიზება გარანტირებულია სამივე დოკუმენტის მიხედვით და შესაბამისი პოლიტიკით. მშობლიური ენის სწავლების უზრუნველყოფა დოკუმენტების მიხედვით ეხება როგორც უმცირესობებს, რომლებიც მჭიდროდ არიან დასახლებული საქართველო რეგიონებში (სომხები, აზერბაიჯანელები), აგრეთვე შეეხება დისპერსიულად განსახლებულ ეთნიკურ ჯგუფებს და მათთვის მშობლიური ენის სწავლების უზრუნველყოფას (ოსები, აფხაზები, ჩეჩნები). გთავაზობთ ამონარიდებს სტრატეგიული დოკუმენტებიდან, რომლითაც დასტურდება გაცხადებული პოლიტიკა ამ მიმართულებით .

სტრატეგია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც სახელმწიფო ენის მაღალ დონეზე სწავლების უზრუნველყოფას, ისე მშობლიური ენის სწავლებაზე ზრუნვას, რათა როგორც მრავალრიცხოვანი, ისე მცირერიცხოვანი ეთნოსების წარმომადგენლებს მიეცეთ საშუალება უკეთ დაეუფლონ მშობლიურ ენას, რაც ხელს შეუწყობს ამ ენების შენარჩუნებასა და განვითარებას. (თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ 45).

სახელმწიფო ენის სტრატეგია წინ წამოსწევს ეთნიკურ უმცირესობათა ენების, როგორც მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილის დაცვისა და პოპულარიზაციის საკითხებს, ეს კი სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიის ზემოთ აღნიშნულ პრიორიტეტს პირდაპირ ეხმიანება. ენის სტრატეგია (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ 15).

არადომინანტი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ორენოვანი სწავლების შესაძლებლობები და განახლებული რესურსები აღმოფხვრის ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე შეზღუდული მეთოდოლოგიური რესურსების პრობლემას.(განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ.48).

ენა, როგორც პრობლემა

ენა, როგორც პრობლემა ინტერპრეტირდება სტრატეგიული დოკუმენტებიდან სამ განსხვავებულ შემთხვევაში, რომლებსაც ინდივიდუალურად განვიხილავთ და წარმოგიდგინთ შესაბამის ამონარიდებს სტრატეგიული დოკუმენტებიდან.

დისკურსი: მშობლიურ ენაზე განათლება როგორც პრობლემა

მშობლიურ ენაზე განათლება პრობლემად წარმოდგენა და ქართულენოვანი ერთენოვანი განათლება ეფექტურად წარმოდგენა

სტრატეგიებში ცალსახადაა ხაზგასმული არაქართულენოვან სკოლებში არსებული პრობლემები, რომელებიც უკავშირდება სახელმწიფო ენის ცოდნის, სხვა საგნების სწავლების ხარისხს სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე მათ შორის სასწავლო გეგმის და სახელმძღვანელოების, მასწავლებელთა კომპეტენციებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების თუ სკოლის ხელმძღვანელთა მზაობის გამო. ამავე დროს სტრატეგიებში არ არის აღნიშნული ის პოზიტიური ასპექტები, რომლებიც მშობლიურ ენაზე განათლების შესაძლებლობას უკავშირდება და ის მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტშია წარმოდგენილი. საპირისპიროდაა წარმოდგენილი ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეთა განათლება ქართულენოვან სკოლებში მათი ზოგადი განათლების ხარისხის, ქართული ენის ცოდნის თუ სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით. ამ

კონტექსტში არ არის საუბარი იმ პრობლემებსა და დაბრკოლებებზე, რომელსაც ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეები აწყდებიან ქართულენოვანი განათლების დროს (იხილეთ ჯაჯანიძე, 2022, 2023). შესაბამისად მშობლიურ ენაზე განათლების სკოლების მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში, ხოლო მხოლოდ ქართულ ენაზე მხოლოდ პოზიტიურ კონტექსტში წარმოდგენა ქმნის დეფიციტურ ხედვას მშობლიური ენაზე განათლების მიღების თვალსაზრისით და მშობლიურ ენაზე განათლება აღიქმება როგორც პრობლემა, რომელიც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. დეტალებისთვის ცხრილის სახით გთავაზობთ ამონარიდების ნაწილს სტრატეგიებიდან.

ცხრილი #2.7. ამონარიდები სტრატეგიული დოკუმენტებიდან მშობლიურ ენაზე განათლების მიღების პრობლემად აღქმის საილუსტრაციოდ

	ქართულ ენაზე განათლება ეთნიკური უმცირესობებისთვის	მშობლიურ ენაზე განათლება / არაქართულენოვანი სკოლებში
სახელმწიფო ენის სტრატეგია		<p>მოსწავლეებში სახელმწიფო ენის ფლობის მიმართულებით მნიშვნელოვან მონაცემებს გვაწვდის „სახელმწიფო შეფასება – ქართული, როგორც მეორე ენა (VII კლასი)“, რომელიც 2018 წელს ჩატარდა აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მხარდაჭერით. შეფასება ეყრდნობა არაქართულენოვანი მეშვიდე კლასელი მოსწავლეების კვლევას და მიზნად ისახავს როგორც მათი ქართული ენის ცოდნის დონის განსაზღვრას, ასევე – გამომწვევი მიზეზებისა და საგანმანათლებლო სისტემებში არსებული პრაქტიკის ზეგავლენას მოსწავლეთა მოსწრებაზე. აღნიშნული შეფასების მიხედვით, მეშვიდეკლასელ მოსწავლეთა 64% ვერ ახერხებს ზღვრის გადალახვას ქართულში, როგორც მეორე ენაში (გვ. 42).</p>
თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგია	<p>მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უმრავლესობა ფლობს სახელმწიფო ენას, ზოგად განათლებას იღებს ქართულენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ინფორმირებული არიან სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ, აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. (გვ. 26).</p> <p>ამასთანავე, არაქართულენოვან მოსწავლეებს არათანაბარ საგანმანათლებლო გარემოს უქმნის არაქართულენოვანი სკოლებში ეროვნული სასწავლო გეგმის</p>	<p>არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია ყველა იმ საგნის სწავლება, რომელიც ისწავლება ქართულენოვან სკოლებში. საგნების უმრავლესობა ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე ისწავლება, თუმცა საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია და სამოქალაქო განათლება) სწავლება სავალდებულოა ქართულ ენაზე. აღნიშნულის გათვალისწინება ჯერჯერობით ნაწილობრივ, ან მხოლოდ ზოგიერთ სკოლაში ხდება, პედაგოგებში ქართული ენის ცოდნის ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საკადრო</p>

	<p>დანერგვის აცდენა ქართულენოვან სკოლებთან მიმართებით, ასევე, ძველი პროგრამების შესაბამისი სახელმძღვანელოების გამოყენება და მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამების არასისტემურობა (გვ. 21).</p>	<p>რესურსების დეფიციტის გამო. ამავე მიზეზით ზოგადი განათლების ხარისხი კვლავ გამოწვევად რჩება სხვა საგნების სწავლების ნაწილშიც.</p> <p>... ამასთანავე, არაქართულენოვან მოსწავლეებს არათანაბარ საგანმანათლებლო გარემოს უქმნის არაქართულენოვანი სკოლებში ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის აცდენა ქართულენოვან სკოლებთან მიმართებით, ასევე, ძველი პროგრამების შესაბამისი სახელმძღვანელოების გამოყენება და მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამების არასისტემურობა (გვ.21);</p> <p>- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მოსწავლეთა განათლებაში ჩართულობის მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია საშუალო საფეხურზე, რაც მკვეთრად ჩამორჩება ქართულენოვანი სკოლების მაჩვენებლებს. აღნიშნულ სკოლებში გამოწვევად რჩება მოსწავლეების დასწრება და სწავლის მიტოვება (გვ.22).</p>
<p>განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია</p>	<p>ქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები გაცილებით აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ-ციფრულ ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში და უკეთ აქვთ განვითარებული ციფრული კომპეტენციები, ვიდრე მათი კოლეგები, რომლებიც დასაქმებული არიან საჯარო, რეგიონში მდებარე თუ არაქართულენოვან სკოლებში (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2020, გვ. 27).</p>	<p>არაქართულენოვან სკოლებს აქვთ დამატებითი პრობლემები, კერძოდ: პროფესიული განვითარების შეზღუდული შესაძლებლობები ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მიმართულებით; არასაკმარისი რესურსები მშობლიურ ენებზე (სომხური და აზერბაიჯანული), Teams-ის პლატფორმის გამოყენების მიმართულებით და ზოგადად, აღნიშნულ ენებზე ელექტრონული რესურსების ნაკლებობა (გვ. 28).</p>

დისკურსი: ქართველური ენები (მეგრული, სვანური, ლაზური) როგორც პრობლემა

ენა, როგორც პრობლემა პირდაპირი ფორმულირებით არ არის წარმოდგენილი სტრატეგიულ დოკუმენტებში ქართველურ ენებთან მიმართებით. მეტიც უფლებრივ ნაწილში ამ ენების უფლებების დაცვა ფართოდ არის წარმოდგენილი სახელმწიფო ენის სტრატეგიაში. თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგია, ისევე როგორც განათლების ერთიანი

სტრატეგია არაფერს ამბობს ქართველური ენების საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების ან მრავალფეროვნების წახალისების თვალსაზრისით.

რამეთუ დისკურსების შესაქმნელად ტექსტთან ერთად უმნიშვნელოვანესია კონტექსტი, სწორედ ქართველური ენების პრეზენტირების კონტექსტი ქმნის ქართველურ ენების, როგორც პრობლემის ხედვის მაგალითს. ქართველური ენები სახელმწიფო ენის სტრატეგიაში მარტო პირდაპირი სახელდების თვალსაზრისით 410-ჯერ არის წარმოდგენილი, თუმცა მისი წარმოდგენა ორ კონტექსტში ხდება: (ა) ქართულ (სახელმწიფო) ენასთან ერთად; ბ) დიალექტებთან და კილოებთან ერთობლივ კონტექსტში. ორივე ეს კონტექსტი უნიკალური არ არის ამ ენობრივი ჯგუფისთვის და ამის ამ ფორმით წარმოჩენა ხაზს უსვამს ენის, როგორც პრობლემის მიმართებას. არცერთხელ ცალკე კონტექსტში ამ ენების სამართლებრივი, რესურსული, თუ უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით განხილვა არ არის სახელმწიფო ენის სტრატეგიაში. აღარ ვსაუბრობთ მის საერთოდ იგნორირებაზე განათლების ერთიან სტრატეგიასა და თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიაში.

ცხრილი #2.8. ამონარიდები სტრატეგიული დოკუმენტებიდან ქართველური ენების პრეზენტირების კონტექსტის საილუსტრაციოდ

	ენის სტრატეგია	სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია	განათლების-სტრატეგია-2021-2030
ქართველური ენები	<p>ქართულის მეცნიერულ კვლევაში იგულისხმება როგორც ქართული სალიტერატურო ენის, ასევე მისი დიალექტებისა თუ სოციოლექტების შესწავლა. ქართული ენის შესწავლა სხვა ქართველური ენების - სვანურისა და მეგრულ-ლაზურის - საფუძვლიანი კვლევისა და მათი მონაცემების გათვალისწინების გარეშე არასრულყოფილია. ქართული ენის კვლევა და დოკუმენტირება ქართველოლოგიური ენათმეცნიერების დისციპლინურ ველში ექცევა (გვ. 49).</p> <p>გამოიცა ქართველური ენებისა და ქართული დიალექტების, აფხაზურის, საქართველოში გავრცელებული სხვა კავკასიური ენების სხვადასხვა ტიპის ლექსიკონები. (გვ. 59).</p> <p>თითოეული დასახელებული ლექსიკონი ფრაგმენტულად ასახავს ქართულის და ქართველური ენების ლექსიკური ფონდის ისტორიას (გვ. 60).</p> <p>დღემდე ენასთან დაკავშირებული ასეთი თანმიმდევრული მიდგომა ქვეყანას არ ჰქონია. არ არის განსაზღვრული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური მონაცემის -</p>		

	<p><i>ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების (ქართველური ენებისა და მათი დიალექტების), (გვ. 3).</i></p> <p>გარდა ამისა, სტრატეგია მოიცავს ქართული ენის დიალექტების, ქართველური და სხვა ენების შენარჩუნებისა და განვითარების საკითხებს (გვ. 17).</p> <p><i>სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი ქართველური ენების საკითხს სახელმწიფო ენის სტატუსის შესახებ მე-4 მუხლში განიხილავს: „სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს ქართველურ ენათა და კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე“ ეს ჩანაწერი მიუთითებს ქართველური ენების განსაკუთრებულ ადგილზე სახელმწიფო ენასთან მიმართებით (გვ. 18).</i></p>		
--	--	--	--

დისკურსი: ბილინგვიზმის დეფიციტური ხედვა: ბილინგვიზმის ხედვა სტრატეგიულ დოკუმენტებში (როგორც სახელმწიფოს ენის სწავლის შესაძლებლობა და არა როგორც მშობლიური ენის დაცვის შესაძლებლობა ან საერთაშორისო/გლობალური ენით ბილინგვიზმის ინდივიდუალური სარგებელი

მულტილინგვიზმისა და მასთან დაკავშირებული განათლების ასახვა სტრატეგიულ დოკუმენტებში ნათელ წარმოდგენას ქმნის ენების მიმართ სახელმწიფოს ხედვებისა და დისკურსების შესახებ. სამივე დოკუმენტში მულტილინგვიზური / ბილინგვიზური განათლება წარმოჩენილია, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგია სახელმწიფო ენის შესასწავლად, თუმცა, ამავე დროს, მულტილინგვიზური განათლება თავად არის მნიშვნელოვანი ღირებულება ბილინგვიზმისა და ბიკულტურალიზმის განვითარებისთვის, რაც არცერთ სტრატეგიულ დოკუმენტში მითითებული და დანახული არ არის. ამასთანავე, მულტილინგვიზური განათლების მხოლოდ სახელმწიფო ენის სწავლების კონტექსტში ხედვა და მისი ღირებულების არ წარმოჩენა უმცირესობათა მშობლიური ენის სწავლების და ორენოვნების განვითარების კონტექსტში, უმრავლესობის სკოლებში უმცირესობების ენების შეტანის სტრატეგიის კუთხით, ცალსახად ქმნის ხედვას უმცირესობათა მშობლიური ენის, როგორც პრობლემის კონტურებს. ეს, რა თქმა უნდა, გაცხადებული არ არის სტრატეგიულ დოკუმენტებში, თუმცა მულტილინგვიზური განათლების წარმოდგენა როგორც სახელმწიფო ენის გაძლიერების ინსტრუმენტის და არაფრის თქმა, როგორც უმცირესობათა ენების განვითარების შესაძლებლობებზე, ნათლად მიუთითებს მშობლიური ენის განვითარებისა და არსებობის დეფიციტურ მიდგომაზე. აღნიშნული დისკურსის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად გთავაზობთ სტრატეგიულ დოკუმენტებში მულტილინგვიზურ / ბილინგვიზურ განათლებასთან დაკავშირებით არსებულ ჩანაწერებს.

ცხრილი #2.9. სტრატეგიულ დოკუმენტებში მულტილინგვურ / ბილინგვურ განათლებასთან დაკავშირებით ამონარიდები

	<p>მულტილინგვური / ბილინგვური განათლება სახელმწიფო ენის სწავლების გასაძლიერებლად (შემამცირებელი კონტექსტი)</p>	<p>მულტილინგვური / ბილინგვური განათლება მშობლიური ენის განვითარებისა და ბილინგვიზმისა და ბიკულტურალიზმის მისაღწევად (გამამდიდრებელი კონტექსტი)</p>
<p>სახელმწიფო ენის სტრატეგია</p>	<p>ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიმართულებით რეფორმატორული იყო მულტილინგვურ (ბილინგვურ) მოდელზე გადასვლა. ჯერ კიდევ 2006 წლიდან ევროპის საბჭოს, ეუთოს, ევროკავშირის, ამერიკის განვითარების ფონდის მხარდაჭერით ხორციელდებოდა საპილოტე პროექტები სხვადასხვა სკოლასა და რეგიონში მულტილინგვური (ბილინგვური) სწავლების დასაწერად. 2010 წლიდან მოქმედებს მულტილინგვური განათლების პროგრამა, რომელიც არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლის გაძლიერებას და ამით ეთნიკურ უმცირესობათათვის სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობას ისახავს მიზნად (მულტილინგვური განათლების პროგრამის დებულება, 2010); დაიწერა სახელმძღვანელოები და გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ბილინგვური განათლების დანერგვის მიმართულებით. გარდამტეხი ეტაპი იყო 2019 წელი, როცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც აქტიურად დაიწყო მუშაობა პროექტზე, რომელიც 30 არაქართულენოვან სკოლაში ბილინგვური მოდელის განხორციელებას ისახავს მიზნად. პროექტის უპირველესი მიზანია სახელმწიფო ენის არეალის გაფართოება (სახელმწიფო ენის სწავლების ენად გამოყენება საგნობრივ გაკვეთილებზე); ამ რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში აქტიურად იყო გამოყენებული ბალტიისპირეთისა და სხვა ისეთი ქვეყნების გამოცდილება, რომელთა სკოლების უმრავლესობაც მულტილინგვური განათლების მოდელზეა აწყობილი (გვ 41).</p>	
<p>თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგია</p>	<p>დაიგეგმება ორენოვანი განათლების ახალი მოდელის დანერგვის გაფართოება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში, რომელიც მიმდინარეობს „ახალი სკოლის“</p>	

	<p>მოდელის პრინციპების გათვალისწინებით მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ფარგლებში. ბილინგვური განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე, საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით და არსებული გამოწვევების დასაძლევად, მასწავლებლები უნდა გადამზადდნენ როგორც ქართულ ენაში (ენის ფლობის დონის ასამაღლებლად), ისე - საგნობრივ მიმართულებებსა და ქართულ ენაზე საგნის სწავლების უნარების განვითარებაში.</p> <p>(გვ.44).</p>	
<p>განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია</p>	<p>ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბილინგვური სწავლების განხორციელების გზით, ენის სწავლების მხარდამჭერი ეფექტიანი პროგრამები ხელმისაწვდომი გახდება იმ მოსწავლეებისთვის, რომლებისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა (გვ 46).</p>	

ანალიზი და დისკუსია

სტრატეგიული დოკუმენტების შინაარსის ანალიზიდან გამომდინარე არსებული დისკურსები და ენობრივი პოლიტიკის ორიენტირება წარმოგიდგინეთ ინტერპრეტაციის ნაწილში. ამ ნაწილში შევეცდებით, გავანალიზოთ და მოკლედ შევაჯამოთ სტრატეგიიდან გამომდინარე არსებული სიტუაცია და შესაბამისი მიგნებები.

პირველი მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ ენის სტრატეგიულ დოკუმენტებში ენის, როგორც მნიშვნელოვანი რესურსის განვითარებაზე ორიენტირებული ხედვიდან დანახული სარგებელი გამოტოვება. სტრატეგიული დოკუმენტში ენა, როგორც მნიშვნელოვანი რესურსი საკმაოდ არის ხაზგასმული, თუმცა ეფუძნება არსებული საჭიროებების ანალიზს, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივასა და სარგებლის ორიენტირები დოკუმენტებში არ ჩანს. სტრატეგიულ დოკუმენტებში გამორჩენილია მომავლი და განვითარების ხედვაზე დაფუძნებული შემდეგი დისკურსები: (სტრატეგიაში გამოტოვებული მიმართულებები და დისკურსები: (ა) ბილინგვიზმი, როგორც გლობალური ადამიანური კაპიტალი; (ბ) ენა, როგორც ევრო-ატლანტიკური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო ინტეგრაციის ინსტრუმენტი; გ) ქართულ-ინგლისურენოვანი ბილინგვიზმი, როგორც საერთაშორისო და ეკონომიკური განვითარების და ინტეგრაციის შესაძლებლობა; დ) ბილინგვიზმი, როგორც რეგიონში ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობა, მათ შორის - უმცირესობათა ენების გამოყენებით; ე) ქართულის, როგორც რეინტეგრაციის შესაძლებლობა დიასპორისთვის ქართული სახელმწიფოში დაბრუნების და მისი განვითარებისთვის; ვ) აფხაზური ენის, როგორც შერიგების შესაძლებლობის გამოყენება.

ენის პოლიტიკის ეს მიმართულებები მნიშვნელოვანია ენობრივი პოლიტიკისთვის გრძელვადიანი ხედვების კონტექსტში, რაც გამორჩენილია სტრატეგიული დოკუმენტებში. ინგლისურ ენასთან

დაკავშირებით, სახელმწიფო ენის სტრატეგია მიუთითებს, რომ ამ მიმართულებას დაარეგულირებს ინგლისური ენის სწავლების სტრატეგია 2022-2030, თუმცა ამ რეგულირებულ დოკუმენტზე დაფუძნება არარელევანტურია ორი მიზეზის გამო: (ა) ეს დოკუმენტი შემუშავებულია ბრიტანეთის საბჭოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობით, მაგრამ არ არის დამტკიცებული საქართველოს მთავრობის მიერ; (2) ეს დოკუმენტი ეხება ინგლისური ენის სწავლების სტრატეგიას და ბოლომდე არ ფარავს ინგლისურ ენასთან დაკავშირებულ ენობრივ პოლიტიკას, მათ შორის - განათლებაში.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ერთგვარი ენის პოლიტიკის განსახილველი ანალიტიკური ჩარჩოს შექმნა ამ კვლევის ფარგლებში. რუიზის (1984) წელს შემოთავაზებული ჩარჩოს გაფართოება და ჩაშლა სტრატეგიული დოკუმენტების მონაცემებზე დაყრდნობით, რაც მნიშვნელოვანია, როგორც სამომავლო ენობრივი პოლიტიკის ანალიზისთვის, ისე ზოგადად ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის დარგის განვითარებისთვის. ქვემოთ გთავაზობთ სტრატეგიულ დოკუმენტებზე დაფუძნებით გამოკვეთილ ჩარჩოს ენობრივი პოლიტიკის, ხედვების და ორიენტირების გასაანალიზებლად:

ცხრილი #2.10. ენობრივი პოლიტიკის ორიენტაციის განვრცობილი ჩარჩო

ენა როგორც რესურსი		
ენა, როგორც საჭიროებაზე დაფუძნებული რესურსი	სამომავლო ხედვაზე დაფუძნებული სარგებელი	
<ul style="list-style-type: none"> - სახელმწიფო ენა, როგორც უმცირესობათა ინტეგრაციის რესურსი ქართულ საზოგადოებაში; - სახელმწიფო ენა, როგორც ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის გარანტი - სახელმწიფო ენა, როგორც სხვადასხვა ჯგუფებს შორის კომუნიკაციის რესურსი; - სახელმწიფო ენა და უმცირესობათა ენები სახელმწიფო პოლიტიკის განსახორციელებლად - უმცირესობათა ენა, როგორც უმცირესობათა თემებში კომუნიკაციისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების რესურსი; - სახელმწიფო ენა, როგორც წარმატებისა და კარიერული წინსვლის რესურსი; - სახელმწიფო ენა, როგორც მეცნიერების, კვლევისა და განვითარების განვითარების რესურსი. 	<ul style="list-style-type: none"> - (ა) ბილინგვიზმი, როგორც გლობალური ადამიანური კაპიტალი; - (ბ) ენა, როგორც ევრო-ატლანტიკური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო ინტეგრაციის ინსტრუმენტი; - გ) ქართულ-ინგლისურენოვანი ბილინგვიზმი, როგორც საერთაშორისო და ეკონომიკური განვითარების და ინტეგრაციის შესაძლებლობა; - დ) ბილინგვიზმი, როგორც რეგიონში ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობა, მათ შორის - უმცირესობათა ენების გამოყენებით; - (ე) ქართულის, როგორც რეინტეგრაციის შესაძლებლობა დიასპორისთვის ქართული სახელმწიფოში დაბრუნების და მისი განვითარებისთვის; - (ვ) აფხაზური ენის, როგორც შერიგების შესაძლებლობის გამოყენება. 	
ენა, როგორც უფლება		
<i>ენის, როგორც კულტურისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვა</i>	<i>ენის, როგორც სხვა მიზნების მისაღწევი ინსტრუმენტის დაცვა,</i>	<i>ენის მატარებლის უფლებების დაცვა ფლობდეს, სწავლობდეს</i>

	<i>მაგალითად, სახელმწიფოს ფუნქციონების, ერთიანობის და ა.შ.</i>	<i>და იყენებდეს მის მშობლიურ ენას</i>
<ul style="list-style-type: none"> - (ა) აფხაზური ენის/სახელმწიფო ენის, ისევე, როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი ენის, დაცვა და განვითარება; - (ბ) საფრთხის ქვეშ მყოფი მცირე ენების დაცვა და განვითარება; - (გ) ეროვნული უმცირესობების ენების დაცვა და განვითარება მათი განსახლების არეალებში; - (დ) ქართველური ენების (მეგრული, სვანური, ლაზური) დაცვა და განვითარება; - (ე) დიალექტების დაცვა და განვითარება 	<ul style="list-style-type: none"> - ქართული ენის/სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვა და გაძლიერება; 	<ul style="list-style-type: none"> -უმცირესობათა ენის სწავლის უფლება; -სახელმწიფო ენის სწავლის უფლება.
ენა, როგორც პრობლემა		
<i>ენა როგორც პრობლემა ინდივიდებისთვის</i>		<i>ენა, როგორც პრობლემა საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის</i>
<ul style="list-style-type: none"> - მშობლიური ენაზე განათლება, როგორც პრობლემა ინდივიდუალური წინსვლისა და წარმატებისთვის; - მშობლიურ ენაზე დაფუძნებული ბილინგვიზმის დეფიციტური ხედვა 		<ul style="list-style-type: none"> - უმცირესობათა ან რეგიონული ენები როგორც პრობლემა; - მშობლიურ ენაზე დაფუძნებული ბილინგვიზმი როგორც პრობლემა

კვლევის ფარგლებში წარმოჩნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება, რომელთა ანალიზიც შესაძლებლობას მოგვცემს, გარკვეული ცვლილებების განხორციელების შემდეგ, მეტი ეფექტი მივიღოთ ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით.

კერძოდ, სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზით შემდეგი მიგნებები გახდა თვალსაჩინო:

ენა როგორც ინტეგრაციის ინსტრუმენტი და სტაბილურობის გარანტი - ამ ორი დისკურსის შექმნით ნათლად ჩანს სახელმწიფოს ასიმილაციონისტური ხედვა. ორი დისკურსი ერთობლივად, რომელთა მთავარი მიზანი ერთენოვნების მიღწევა და ქართული ენის გავრცელებაა, მათ შორის - მონიტორინგის, ზედამხედველობის, გამოცდების, დასჯის მექანიზმებით - ენობრივი პოლიტიკის ასიმილაციონისტურ ბუნებაზე მიუთითებს;

უმცირესობათა ენები განხილულია მხოლოდ უფლებრივ კონტექსტში და არა რესურსულ კონტექსტში. საუბარია მხოლოდ უმცირესობათა ენების დაცვაზე და არსად ჩანს ამ ენების მნიშვნელობა, როგორც რესურსი ადმინისტრირების, მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის, სერვისების სარგებლობის, ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის, ასევე - საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით;

ენის, როგორც რესურსის კონტექსტში წარმოდგენილია მხოლოდ სახელმწიფო ენა. უმცირესობათა ენები მოსახლეობამდე გარდამავალ პერიოდში ინფორმაციის მიწოდების კონტექსტშია

წარმოდგენილ რესურსად. ინგლისურ ენა თუ სხვა (უცხოური) ენები კი ამ კონტექსტში საერთოდ არ არის წარმოდგენილი და განხილული;

მშობლიური ენა, განსაკუთრებით - მცირე ეთნიკური ჯგუფების კონტექსტში - დანახულია, როგორც პრობლემა. ეს გაცხადებული არ არის სტრატეგიულ დოკუმენტებში, თუმცა მულტილინგვური განათლების წარმოდგენა, როგორც სახელმწიფო ენის გაძლიერების ინსტრუმენტისა და არაფრის თქმა, როგორც უმცირესობათა ენების განვითარების შესაძლებლობებზე, ნათლად მიუთითებს მშობლიური ენის განვითარებისა და არსებობის დეფიციტურ მიდგომაზე;

ფრეიმინგი და კონტექსტი იძლევა მშობლიურ ენაზე განათლების დეფიციტურ ხედვას. არაქართულენოვან სკოლებში არსებული საკითხები წარმოჩენილია პრობლემატურად, ხოლო ერთენოვან, ოღონდ ქართულენოვან სკოლებში ეთნიკური უმცირესობების განათლება პოზიტიურად და ამ პოზიტიური შედეგის რეალიზებისთვის შემოთავაზებული დამატებითი მექანიზმები. მსგავსი „ვორდინგი“ ემსახურება არაქართულენოვან სკოლებში მშობლიურ ენაზე განათლების საპირწონედ მხოლოდ ქართულ ენაზე განათლების უპირატესობის ხაზგასმას, იმ დროს, როცა ქართულენოვან სკოლებსა და სექტორებში არაქართულენოვან მოსწავლეებს გაცილებით რთული პრობლემები ექმნებათ (ჯაჯანიძე, 2023);

ქართველური ენები განხილულია მხოლოდ სახელმწიფო ენის სტრატეგიაში მათი უფლებების დაცვის კონტექსტში. თუმცა აქაც ენის, როგორც უფლების კვალდაკვალ, გვხვდება ენის დეფიციტური ხედვა, რადგან დოკუმენტის არცერთ ნაწილში ქართველური ენები და მასთან დაკავშირებული პოლიტიკა ცალკე გამოტანილი არ არის და ის განხილულია ორ კონტექსტში (ა) ქართულ ენასთან ერთად; ბ) დიალექტებთან ერთად. ორივე ეს კონტექსტი რელევანტური არ არის ამ ენობრივი ჯგუფისთვის და ამ ფორმით წარმოჩენა ხაზს უსვამს ენის, როგორც პრობლემის არსებობაზე;

ინგლისური ენის, როგორც საერთაშორისო ან/და გლობალური ენის არგანხილვა ენობრივი პოლიტიკის დოკუმენტებში და მასზე რეფერირება ინგლისური ენის სწავლების სტრატეგიის კონტექსტში აგრეთვე ენის, როგორც პრობლემის, გამოხატულებაა;

სტრატეგიულ დოკუმენტებში მულტილინგვური განათლების კონტექსტში აგრეთვე არ ჩანს ქართულ-ინგლისური ბილინგვიზმის კონტურები და აქაც არაპირდაპირ, არამედ „განუხილველობით“, შესაძლებელია ენის, როგორც პრობლემის შესახებ მიდგომებზე საუბარი.

რეკომენდაციები

1. ენის, როგორც რესურსის დანახვა არა მხოლოდ სახელმწიფო ენასთან, არამედ უმცირესობის ენებთან, საერთაშორისო ენასთან, მეორე სახელმწიფო ენასთან და მცირე, საფრთხის ქვეშ მყოფ ენებთან მიმართებით არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია ენობრივმა პოლიტიკამ არამხოლოდ არსებულ გამოწვევების საპასუხოდ დაინახოს ენის რესურსი, არამედ სამომავლო პერსპექტივის განვითარების კონტექსტში მოახდინოს მისი გააზრება. კერძოდ, მნიშვნელოვანია სტრატეგიულ დოკუმენტებში აისახოს შემდეგი მიმართულებების ენობრივი პოლიტიკისა და ენის, როგორც რესურსის გააზრების ჭრილში:
 - მშობლიური/სახელმწიფო და უცხოური ენის ბილინგვიზმი, როგორც

გლობალური ადამიანური კაპიტალის განვითარების შესაძლებლობა;

- ინგლისური ენა, როგორც საგარეო პოლიტიკური მისწრაფებებისკენ მიმავალ გზაზე არსებული რესურსი;
- ენა, როგორც რესურსი საერთაშორისო ეკონომიკური ზრდისა და ინტეგრაციისთვის;
- ინგლისური, როგორც მეცნიერების, კვლევისა და განვითარების რესურსი;
- უმცირესობათა ენები, როგორც რეგიონული და ეკონომიკური თანამშრომლობის რესურსი;
- ენა, როგორც რესურსი საზღვარგარეთ მიგრაციისა და დიასპორის პოლიტიკის მართვისთვის;
- ენა, როგორც შერიგების, მშვიდობიანი თანაარსებობისა და მრავალფეროვნების ფარგლებში ერთიანობის რესურსი;

2. ენა, როგორც პრობლემა- ენა, როგორც პრობლემა წარმოჩენილია, როგორც ინდივიდის აგრეთვე სახელმწიფო დონეზე. ენის პრობლემად აღქმა სტრატეგიულ დოკუმენტებში ხელშემშლელია ქართული საზოგადოების და სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის, შესაბამისად მნიშვნელოვანია:

- ბილინგვიზმის ასიმილაციონისტური მიდგომა შეიცვალოს პლურალისტური მიდგომით და ბილინგვური განათლება განიხილებოდეს მშობლიური ენის განვითარების კონტექსტშიც;
- მშობლიური ენის დეფიციტური ხედვის ნაცვლად მოხდეს მშობლიურ ენაზე ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მხარდაჭერა;
- ხელი შეეწყოს ქართულ-ინგლისურენოვან ბილინგვიზმს, როგორც მნიშვნელოვან რესურსს საზოგადოების და ქვეყნის განვითარებისთვის, ნაცვლად გლობალური ინგლისურის ქართული ენისათვის საფრთხედ და პრობლემად წარმოჩენისა;
- შემუშავდეს კონკრეტული და სპეციფიკური პოლიტიკა მეგრული, სვანური და ლაზური ენების მიმართ, რომელიც უზრუნველყოფს ამ ენების განვითარებას და ეს პოლიტიკა მოიცავდეს ამ ენების სპეციფიკას და შესაბამის კონტექსტს და არ მოხდეს ამ ენების განხილვა სახელმწიფო ენის ან დიალექტების კონტექსტში.

გამოყენებული ლიტერატურა

ბეიკერი (2006 თარგმანი ტაბატაძე, 2010) -)Baker, C. (2006). Foundations of bilingual education and bilingualism. Multilingual matters.

Gabunia, K., & Gochitashvili, K. (2019). 4 Language policy in relation to the Russian language in Georgia before and after dissolution of the Soviet Union. The Soft Power of the Russian Language: Pluricentricity, Politics and Policies, 37-45.

- Jajanidze, L. E. (2022). Practices of Submersion Education and Readiness of Teachers to Teach in a Culturally Diverse Classroom on the Case of Georgia. *International Journal of Multilingual Education*, 20 (2), 1-13.
- Jajanidze, L. E. (2023). Linguistic Minority Students in Linguistic Majority Schools and Teaching in Diverse Classroom Environment. Proceedings of IAC 2023 in Budapest, 18.
- Pavlenko, A. (2008). Multilingualism in post-Soviet countries: Language revival, language removal, and sociolinguistic theory. *International Journal of Bilingual Education and Bilingualism*, 11(3-4), 275–314.
- Ruiz, R. (1984). Orientations in language planning. *NABE journal*, 8(2), 15-34.
- Tabatadze, S., Gabunia, K., & Odzeli, M. (2008). *Recommendations on language policy to protect linguistic minorities*. Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations. Tbilisi. Georgia.
- საქართველოს მთავრობა (2022). განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030; თბილისი, საქართველო.
- საქართველოს მთავრობა (2021). სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა; თბილისი, საქართველო
- საქართველოს მთავრობა (2021). სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია) 2021-2030; სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო

თავი 3

ენობრივი პოლიტიკა ადრეულ სკოლამდელ განათლებაში

შესავალი

ეინარ ჰოიგენი საკუთარ ნაშრომში განმარტავს, რომ ენის ეკოლოგია წარმოადგენს „კვლევას მოცემულ ენასა და მის გარემოს შორის“ (Einar Haugen 1972). ლინგვისტური პერსპექტივიდან დანახული ეკოლოგია არ წარმოადგენს წესების მიხედვით მართულ სისტემას, არამედ უფრო მეტად დამახასიათებელი ქცევაა, რომელიც ადამიანთა სოციალური ბუნებიდან გამომდინარეობს და გულისხმობს კომუნიკაციას, კულტურასა და საზოგადოებას, თემს. მეორე მხრივ, ენის ეკოლოგიური მიდგომის მნიშვნელობას გამოკვეთს კვლევების საფუძველზე არსებული მოსაზრება, რომელიც ენისადმი ეკოლოგიურ მიდგომაში, ენის სწავლასა და ენობრივ დაგეგმვაში არსებულ კავშირებს უსვამს ხაზს. ამ მოსაზრების მიხედვით, ეკოლოგიური პერსპექტივის გამოყენება საშუალებას იძლევა, კომპლექსურად მოხდეს ენობრივი პოლიტიკისა და დაგეგმვის განხილვა და, შესაბამისად, გასცდეს ტრადიციულ ხედვებს (Baldauf and Kaplan, 2006). მეცნიერთა ნაწილი თანხმდება, რომ ენობრივი პოლიტიკა ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს; არსებობს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის არ არის საკმარისად თანმიმდევრული ან ხელისუფლების მიერ დადგენილი. და პირიქითაც: იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ენობრივი პოლიტიკა ფორმალურად არის განსაზღვრული, მისი გავლენა არსებულ ენობრივ პრაქტიკაზე არც უპირობოდ გარანტირებულია და არც ყოველთვის თანმიმდევრული” (Spolsky: 2008, p.8).

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის დანაკლისები, რომლებიც საქართველოს ადრეული და სკოლამდელი თუ ზოგადი განათლების ენობრივი პოლიტიკისა და მის პრაქტიკაში გამოვლინების, განხორციელების კვლევას უკავშირდება. არსებული პოლიტიკისა და მისი პრაქტიკული გამოვლინების შესწავლის მნიშვნელობა განპირობებულია იმ რეალობითაც, რომ ხშირად „ენობრივი პოლიტიკა განზრახვების გამოვლინებას წარმოადგენს და ნაკლებად არის ორიენტირებული პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელების შესწავლაზე. ამ ურთიერთმიმართებებზე უწყვეტი დაკვირვება კი ნაკარნახევია იმ შემთხვევების სიმრავლით, როდესაც მწყობრად ჩამოყალიბებული პოლიტიკის პირობებშიც კი, ენობრივი პოლიტიკა პრაქტიკად ვერ გარდაიქმნება, ხოლო ისეთი სიტუაციები, როდესაც მოცემული ენები დეკლარირებული პოლიტიკის საპირისპიროდაც კი გამოიყენება, საკმაოდ ხშირია (Shohamy 2006: p.51)

მოცემულ თავში გაანალიზებულია ადრეული/სკოლამდელი და ზოგადი განათლების ენობრივ პოლიტიკასთან დაკავშირებული მონაცემები და მათი ურთიერთმიმართება როგორც დეკლარირებულ ხედვებთან, ასევე, აღიარებული პოლიტიკის მიღმა არსებულ პრაქტიკებთან. ეს საშუალებას იძლევა, აქცენტი გაკეთდეს შესაბამისობებზე, აცდენებზე და გამოწვევებზე ამ

ურთიერთმიმართებებთან დაკავშირებით, რაც მიმდინარე პოლიტიკის გადახედვისა და გაუმჯობესების საშუალებას გააჩენს ენის ეკოლოგიის პრინციპების გათვალისწინებით.

3.1. სკოლამდელი განათლება

სკოლამდელი განათლების ენობრივი პოლიტიკა გარკვეულწილად რეგულირდება საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, რომლის მე-5 მუხლი განსაზღვრავს სწავლების ენად ქართულს, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აგრეთვე აფხაზურს. ამავე მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს მშობლიურ ენაზე სწავლების შესაძლებლობას და განმარტავს, რომ „დაწესებულება უფლებამოსილია ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებს ენობრივი საჭიროებების გათვალისწინებით შესთავაზოს ამ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი პროგრამები და რესურსები როგორც სახელმწიფო, ისე მათ მშობლიურ ენაზე“. ამავე კანონის მე-8 მუხლი კი განსაზღვრავს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიზნებს იმ ბავშვებისთვის, ვინც მომსახურებას მიიღებენ მშობლიურ ენაზე. ეს მიზნებია: „ა) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისთვის ქართული ენის სწავლება; ბ) კულტურული, ეთნიკური ტრადიციების გათვალისწინებით სასაუბროების, თამაშების შექმნა და წარმართვა; გ) ქართული ენის საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების დაუფლების ხელშეწყობა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლა სწავლების მეთოდების გამოყენებით. ამავე კანონში განსაზღვრულია ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლის ენობრივი და პროფესიული უნარ-ჩვევები“.

მიუხედავად კანონში გაწერილი მკაფიო ენობრივი მიზნებისა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებში, რომელიც 2017 წელს დამტკიცდა, ხოლო ბოლო ცვლილებები კი 2023 წელს აისახა („საქართველოს მთავრობის დადგენილება №264). ენობრივი პოლიტიკის მიზნები მკაფიოდ არ იკვეთება. ასე, მაგალითად, სტანდარტის ზოგად დებულებებში, მუხლი 1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების რეგულირების სფერო და მიზნები - სტანდარტის მიზნების ჩამონათვალს შორის მითითებულია: „...ე) სკოლისათვის მომზადების უზრუნველყოფა“, თუმცა, თემატურ მიმართულებებში ჩამოილ მოცემულ სტანდარტში, რომელიც განვითარების სფეროების ნაწილია და უმეტესად განვითარების რამდენიმე სფეროს აერთიანებს, არ სახელდება ის ლინგვისტური თავისებურებები, რომლებიც სტანდარტის სფეროებისა და ქვესფეროების ქვეშ ენობრივი შედეგების ფორმირებისა და შესაბამისი ინდიკატორების განსაზღვრას განაპირობებდა; ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონში განსაზღვრულ მშობლიურ ენაზე

სწავლების შესაძლებლობის მიზნებთან მიმართებით კი წარმოდგენილია კულტურული მრავალფეროვნების მიმართ ინტერესი ხელოვნების, ასევე, თემატური მიმართულების - მეცნიერების, სტანდარტში 8.4. ადამიანი და მსოფლიო/კულტურული ტრადიციები: „ცნობს ეროვნულ მუსიკას, ცეკვას, საკვებს, ტანსაცმელს“. რაც, ცხადია, ეხმიანება კულტურული, ეროვნული ტრადიციების მხარდაჭერას; თუმცა, უნდა ითქვას, რომ არ იკვეთება ლინგვისტური მრავალფეროვნების შეცნობის ან აღქმის მიმართულების შედეგი.

ბილინგვური განათლების ხელშეწყობის და უზრუნველყოფის ხედვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია III თავი, პროგრამის ხარისხის სტანდარტი:

სტანდარტი 1.2. დაწესებულება ზრუნავს თითოეული ბავშვისა და დაწესებულების ყველა თანამშრომლის ემოციური უსაფრთხოების დაცვაზე, რომლის 1.2.10 ინდიკატორია „ბავშვის მიღების შემთხვევაში, რომლის მშობლიური ენა არ არის ქართული, დაწესებულება რეკომენდაციას აძლევს მშობელს, ოჯახში შენარჩუნდეს მშობლიურ ენაზე საუბარი და არ მოხდეს ენების არევა, რათა ბავშვისთვის ახალ ენობრივ გარემოში მოხვედრა ნაკლებად სტრესული იყოს.“,

მუხლი 11, სტანდარტი 2.1. თამაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხია, რომლის ინდიკატორია: 2.1.6. ბილინგვურ ჯგუფებში ქართული ენის ათვისება ხდება თამაშისა და რეალური კომუნიკაციის გზით (მაგ: არ ხდება სიტყვების უკონტექსტოდ დაზეპირება და ა.შ.), ხოლო სტანდარტი 2.3. „დაწესებულება ხელმძღვანელობს კურიკულუმით, რომელიც ორიენტირებულია თითოეული ბავშვის მრავალმხრივ, ჰოლისტურ განვითარებაზე“, ერთერთი ინდიკატორია: 2.3.7. ბავშვებს, რომელთა მშობლიური ენა არ არის ქართული, აქვთ ინფორმაციისა და ცოდნის მშობლიურ ენაზე გაზიარების შესაძლებლობა.

მუხლი 12. სტანდარტი 3. ფიზიკური გარემო, სტანდარტი 3.3. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი მრავალფეროვანი, განმავითარებელი, თითოეული ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისია, ერთერთი ინდიკატორია: 3.3.10. ბილინგვურ ჯგუფში არსებული რესურსი შეიცავს როგორც ქართული ენის, ასევე, ენობრივი უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვების მშობლიური ენის ამსახველ მასალებს, ერთი-ენა ერთი-წყარო გამიჯვნის პრინციპით.

მუხლი 13. სტანდარტი 4. ურთიერთობა, სტანდარტი სტანდარტი 4.1. – თითოეულ ბავშვს აქვს თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობის შესაძლებლობა, ერთერთი ინდიკატორია: 4.1.13.

საგანმანათლებლო პერსონალი ზრუნავს, რომ ბავშვები, რომელთა მშობლიური ენა არ არის ქართული, თანატოლებთან ქართულ ენაზე ეფექტურ კომუნიკაციაში ჩაერთონ;

მუხლი 14. სტანდარტი 5. საგანმანათლებლო პროცესი, სტანდარტი 5.1. საგანმანათლებლო პერსონალი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისას სწავლების უნივერსალური

დიზაინის პრინციპებს ეყრდნობა, ინდიკატორებია: 5.1.4. ბილინგვურ ჯგუფებში ხდება მშობლიური ენის შემცველი ჩანაწერების, ილუსტრირებული წიგნების, კულტურული კონტექსტის შემცველი რესურსის გამოყენება და ა.შ.; და ასევე, 5.1.5. ბავშვის, რომლის მშობლიური ენა არ არის ქართული, თამაშში ჩართვისა და ბუნებრივ საკომუნიკაციო გარემოში ქართული ენის შესწავლის გამარტივების მიზნით, გამოიყენება როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური საშუალებები (ჟესტები, ვიზუალური თვალსაჩინოება, მოდელირება და ა.შ.); ხოლო სტანდარტი 5.6-ის მიხედვით, საგანმანათლებლო პერსონალი თითოეული ბავშვის მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას ახორციელებს. ერთ-ერთი ინდიკატორი კი აზუსტებს: 5.6.4. საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი ბავშვისთვის ხდება საგანმანათლებლო პროცესის ინდივიდუალიზაცია. (ბავშვთა ჩამოთვლილ საჭიროებებს შორის განსაზღვრულია: ვინც თავისებურად სწავლობს და აღიქვამს, ვისაც საკუთარი ქცევისა და გრძნობების რეგულირების სირთულეები აქვს, ვისაც საკუთარი თავის გამოხატვა მოძრაობით ურჩევნია, ვინც განსხვავებული ენობრივი და რელიგიური ოჯახის წარმომადგენელია, ვინც განსაკუთრებით მორცხვი და მორიდებულია, ვინც საკმარის სიყვარულს ვერ იღებს, ვისაც განსაკუთრებით ბევრი ინფორმაცია ესაჭიროება ინტერესების დასაკმაყოფილებლად და ა.შ.).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის სტანდარტის ყველა მოცემულ მუხლში აღნიშნული ინდიკატორი მნიშვნელოვანია სახელმწიფო და მშობლიური ენის პოლიტიკის თვალსაზრისით, თუმცა, ამავდროულად, ორიენტირებულია იმ სიტუაციებზე, სადაც ძირითადი ენა არის ქართული და მშობლიური ენის დაცვა/შენარჩუნება წახალისებულია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის“ შესაბამისად. რეალური დემოგრაფია და ლინგვისტურ-ეთნიკური კომპოზიცია, ისევე, როგორც არსებული ადრეული და სკოლამდელი განათლების სააღმზრდელო დაწესებულებების ფუნქციონირების ენები და ენათა ფუნქციონირების შესაძლებლობები მნიშვნელოვანს ხდის, ქართული ენის გაძლიერების ხედვა მშობლიური ენის ორიენტირების გათვალისწინებით არსებობდეს, რაც ხარისხის სტანდარტში სათანადოდ არ არის ასახული.

ამ კუთხით, განსხვავებულია სტანდარტი 7. ინკლუზიურობა და მრავალფეროვნება: სტანდარტი 7.1. პროგრამა უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის თანაბარ ჩართულობას განურჩევლად მისი შესაძლებლობებისა სულისკვეთება, სადაც ინდიკატორია 7.1.1 აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი თანაბრად ურთიერთობენ თითოეულ ბავშვთან - არ გამოარჩევენ მათ შესაძლებლობების, გარეგნული თავისებურებების, რელიგიის, ასაკის, ეთნიკური მიკუთვნებულობის, სოციალური მდგომარეობისა და სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით; ხოლო სტანდარტი 7.2. პროგრამა აღიარებს და პატივს სცემს კულტურულ მრავალფეროვნებას და ბავშვის

სხვადასხვა შესაძლებლობასა და საჭიროებას, რომლის პრაქტიკულად ყველა ინდიკატორი ლინგვისტური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და რამდენიმე აქცენტს აკეთებს მშობლიური ენის კონტექსტში ქართული ენის გაძლიერებისა და ბილინგვიზმის მიღწევის ხედვებზე:

7.2.1. ჯგუფის გარემო და საგანმანათლებლო რესურსი ასახავს კულტურულ, ეთნიკურ, ლინგვისტურ და ა.შ. მრავალფეროვნებას;

7.2.2 აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი საჭიროებისამებრ იყენებენ კომუნიკაციის ალტერნატიულ ფორმებს;

7.2.3. აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ხელს უწყობენ ქართული ენის ათვისებას;

7.2.4. ბილინგვური ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი იცნობენ და ახორციელებენ ბილინგვური/მულტილინგვური განათლების თანამედროვე მიდგომებს: „ერთი ენა - ერთი ადამიანი“ და „ენაში ჩაფლობა“;

7.2.5 იმ ბავშვებისთვის, რომელთა მშობლიური ენა არ არის ქართული, აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი, პროგრამაში სრულფასოვნად ჩართვისა და ქართულ ენაზე კომუნიკაციის გასამარტივებლად იყენებენ ვიზუალურ დამხმარე საშუალებებს, ქესტიკულაციას, მოდელირებას და ა.შ;

7.2.6. აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ხელს უწყობენ თითოეულ ბავშვში განსხვავებულის მიმართ პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბებას;

7.2.7. პროგრამა ხელს უწყობს ოჯახებს საკუთარი კულტურული თავისებურებების (ეროვნული ტრადიციები, კერძები, საკრავები, სამოსი, ზღაპრები და სხვა) სხვებისთვის გაზიარებაში.

ასევე, მუხლი 17. სტანდარტი 8. მართვა და შეფასება, ინდიკატორია 8.1.6. ბილინგვური/მულტილინგვური პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებას ჰყავს როგორც მშობლიურენოვანი, ასევე ქართულენოვანი საგანმანათლებლო პერსონალი, რომელიც ბილინგვურ ჯგუფთან ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესს ენათა გამიჯვნის მიდგომით „ერთი ენა - ერთი ადამიანი“, ასევე მიუთითებს ბილინგვიზმის დანერგვის ხედვას მშობლიური ენის კონტექსტში, თუმცა, არ არის ასახული პრაქტიკული ნაბიჯები.

ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია სკოლამდელი განათლების დარგობრივ მახასიათებლებში (2020), პედაგოგის უნარების აღწერისას მოცემული ჩანაწერი:

„[მასწავლებელს] შეუძლია მულტილინგვური განათლების პერსპექტივიდან ენის ათვისების ხელშეწყობა (ბავშვის ოჯახის მშობლიური ენის აღიარება და მეორე ენის ათვისების ხელშეწყობა)“.

დარგობრივი მახასიათებლის ეს ჩანაწერი აღიარებს მშობლიური ენის მნიშვნელობას და მეორე ენის ათვისების ხელშეწყობის აუცილებლობას.

ხაზგასასმელია, რომ ბილინგვური სკოლამდელი განათლების მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც სკოლამდელი საფეხურის ბილინგვური მასწავლებელთა განათლებას ან პროფესიულ განვითარებას უზრუნველყოფს, არ არსებობს.

ეთნიკური უმცირესობების კომპაქტურად განსახლების რეგიონებში ფუნქციონირებს სკოლამდელი დაწესებულებები, სადაც პროგრამები ხორციელდება მოსწავლეთა მშობლიურ და სახალმწიფო ენაზე. ამავდროულად, ისწავლება ქართული, როგორც მეორე ენა კანონით დადგენილი ნორმების ფარგლებში. რაიონების მიხედვით პროგრამების მიწოდების შესახებ დეტალური ინფორმაცია ქვემოთ მოცემულ ცხრილებშია წარმოდგენილი:

სკოლამდელი დაწესებულებები

სამცხე-ჯავახეთი

ცხრილი #2. ახალციხე

წწ.	სახელმწიფო	ალტერნატიული	სულ	სომხ.	ქართ.	რუს.	შერეული	ბილინგვ.	ბავშვ, რაოდ. (სომხ. ენოვანი)	ბავშვ, რაოდ. (ქართ)
2016	17	-	17	1	14	-	1 - ქართ-რუს; 1 - ქართ-სომხ	-	380	1528
2016	20	-	20	1	18	-	1 - ქართ-რუს; 1 - ქართ-სომხ		420	1560
2017	23	-	23	1	19		1 - ქართ-რუს; 2 - ქართ-სომხ		420	1563
2018	25	-	25	1	21		1 - ქართ-რუს; 2 - ქართ-სომხ		410	1574
2019	25	-	25	1	21		1 - ქართ-რუს; 2 - ქართ-სომხ		412	1583
2020	25	-	25	1	21		1 - ქართ-რუს; 2 - ქართ-სომხ		415	1580

2021	25	-	25	1	21		1 - ქართ-რუს; 2 - ქართ-სომხ		392	1398
2022	29	-	29	1	23		1 - ქართ-რუს; 4 - ქართ-სომხ		396	1409

ცხრილი #3. ახალქალაქი

წწ.	სახელმწიფო	ალტერნატიულ	სულ	სომხ.	ქართ.	რუს.	შერეული	ბილინგვური	ბავშვ, რაოდ. სომხ.	ბავშვ, რაოდ.
2016	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2017	1	5	6	5			1 (სომხ-ქართ.)	-	667	57
2018	6	4	9	8			1 (სომხ-ქართ.)		892	67
2019	6	3	9	8			1 (სომხ-ქართ.)		927	61
2020	6	3	9	8			1 (სომხ-ქართ.)		785	65
2021	10	3	13	12			1 (სომხ-ქართ.)		964	57
2022	10	3	13	12				1 (სომხ-ქართ.)	1015	71

ცხრილი #4. ნინოწმინდა

წწ.	სახელმწიფო	ალტერნატიულ	სულ	სომხ.	ქართ.	რუს.	შერეული	ბილინგვური	ბავშვ, რაოდ. (სომხ. ენოვანი)
2015-2021	9	3	12	12	-	-	-	-	-
2022	11	3	14	9	-	-	-	5 (სომხ-ქართ)	880

ქვემო ქართლი:

ცხრილი #5. წალკა

წწ.	სახელმწიფო	ალტერნატიული	სულ	სომხ.	ქართ.	რუს.	შერეული	ბილინგვური	ბავშვ. რაოდ. (სომხ. ენოვანი)	ბავშვ. რაოდ. (ქართ. ენოვანი)
2015	1	-	1	-	1	-	-	-	-	60
2018	3	-	3	-	3	-	-	-	-	140
2020	7	-	7	-	7	-	-	-	-	340
2022	8	-	8	-	7	-	1 (ქართ- სომხ)	-	20	340

ცხრილი #6. მარნეული

წწ.	სახელმწიფო	ალტერნატიული	სულ	აზერ	ქართ.	რუს.	შერეული	ბილინგვური	ბავშვ. რაოდ. (სომხ. ენოვანი)	ბავშვ. რაოდ. (ქართ. ენოვანი)
2022	14	-	14	11	-	-	2 (ქართ- აზერ- რუს.)	1 (ქართ. აზერ)	-	-

ცხრილი #7. გარდაბანი

	სახელმწიფო	ალტერნატიული	სულ	აზერ	ქართ.	რუს.	შერეული	ბილინგვური	ბავშვ. რაოდ. (სულ)
2015	25	-	25	-	25	-	-	-	2639
2016	25	-	25	-	25	-	-	-	2730
2017	25	-	25	-	25	-	-	-	2779
2018	25	-	25	-	25	-	-	-	2808
2019	29	-	29	-	29	-	-	-	3008
2020	32	-	32	-	32	-	-	-	3274
2021	33	-	33	-	33	-	-	-	3261
2022	34	-	34	-	34	-	-	-	2934

ცხრილი #8. დმანისი

წწ.	სახელმწიფო	ალტერნატიული	სულ	აზერ	ქართ.	რუს.	შერეული	ბილინგვური	ბავშვ, რაოდ. (სულ)
2015	7	-	7	-	7	-	-	-	-
2016	8	-	8	-	8	-	-	-	-
2017	9	-	9	-	9	-	-	-	-
2018	9	-	9	-	9	-	-	-	-
2019	9	-	9	-	9	-	-	-	-
2020	9	-	9	-	9	-	-	-	-
2021	9	-	9	-	9	-	-	-	-
2022	9	-	9	-	9	-	-	-	319

ცხრილი #9. ბოლნისი

	სახელმწიფო	ალტერნატიული	სულ	აზერ	ქართ.	რუს.	შერეული	ბილინგვური	ბავშვ, რაოდ. (სულ)
2015	16	-	16	-	16	-	-	-	1240
2016	16	-	16	-	16	-	-	-	1342
2017	15	-	15	-	15	-	-	-	1260
2018	15	-	15	-	15	-	-	-	1302
2019	16	-	16	-	16	-	-	-	1356
2020	16	-	16	-	16	-	-	-	1348
2021	16	-	16	-	16	-	-	-	1349
2022	18	-	18	-	18	-	-	-	1227

ბილინგვური სკოლამდელი საპილოტე პროგრამა

წარმოდგენილ მონაცემებში სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული სერვისების თვალსაზრისით ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით რამდენიმე თვალსაჩინო ტენდენცია იკვეთება:

სომხურენოვანი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში ძირითადად შერეული სწავლების მოდელია. სკოლამდელი სერვისი ხორციელდება სომხურად ან ქართულად. იქ, სადაც სერვისი მიეწოდებათ მშობლიურ ენაზე, აგრეთვე ხორციელდება ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება. ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილია რუსულენოვანი შერეული სწავლების მოდელიც.

ამ თვალსაზრისით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს გამონაკლისს, სადაც მომსახურება ხორციელდება ბილინგვური მიდგომით; თუმცა, მთლიანობაში, ბილინგვური

მოდელების ამუშავება უფრო გამონაკლისის წესით ხორციელდება და ნაკლებად წარმოადგენს დამკვიდრებულ მიდგომას და პრაქტიკას.

აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობით უმრავლესობით დასახლებულ რაიონში (მარნეული) სერვისის მიწოდება ხორციელდება ძირითადად მშობლიურ ენაზე, მხოლოდ საგამონაკლისო წესით გვხვდება შერეული და ბილინგვური მოდელი.

აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში (გარდაბანი, დმანისი, ბოლნისი), სადაც აგრეთვე არის ქართულენოვანი დასახლებები, ბალები ფუნქციონენ მხოლოდ ქართულ ენაზე. მუნიციპალიტეტის ცენტრში არსებული ბალები ქართულ ენაზე ახორციელებენ მომსახურებას მიუხედავად შერეული კონტინგენტისა, ხოლო სასოფლო დასახლებებში სკოლამდელი დაწესებულებები გახსნილია ძირითადად და ხშირად ექსკლუზიურად მხოლოდ ქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ სოფლებში.

დასკვნები

არსებული სიტუაციაზე დაფუძნებით, შემდეგი დასკვნების / მიგნებების გაკეთება შეიძლება

- ადრეული და სკოლამდელი განათლების სტანდარტის მიზანი, უზრუნველყოს ბავშვის სკოლისათვის მომზადება, სრულფასოვნად ვერ სრულდება, რადგან ვერ პასუხობს ბავშვის ლინგვისტური მზაობის ამოცანებს, რამეთუ ვერ უზრუნველყოფს ბავშვების მომზადებას მეორე / უცხოური ენის სასკოლო განათლებისათვის. თუ მოზარდები, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, პირველსავე კლასში იწყებენ მეორე / უცხოური ენის შესწავლას, საჭიროებენ სკოლამდელი განათლების ფარგლებში უკეთეს მომზადებას;
- საკანონდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტები და ამ დოკუმენტებში განსაზღვრული ენობრივი პოლიტიკა არასაკმარისად ეხმიანება იმ ლინგვისტურ-ენობრივ კომპოზიციებს, რომლებიც არსებობს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში და, შესაბამისად, ვერ არის სრულად თავსებადი არსებულ ენობრივ პრაქტიკებთან;
- საკანონდებლო და მარეგულირებელ დოკუმენტებში მოცემული ბილინგვური განათლების მიზნები, ინსტრუმენტები თუ ხედვები არ აღწერენ და ვერ ეხმიანებიან აკადემიურ ცოდნასა და თეორიულ ჩარჩოებზე დაფუძნებულ სხვადასხვა მოდელებს, გამოირჩევიან ბილინგვიზმის ვიწრო და კონკრეტული ხედვით და, შესაბამისად, ვერ ქმნიან საკმარის და რელევანტურ სივრცეს მეტი მოქნილობისათვის;
- პოლიტიკის დოკუმენტებშიც და მხარდაჭერილ პრაქტიკებშიც ბილინგვიზმის მშობლიურ ენაზე დაფუძნებული მოდელები დარჩენილია ყურადღების მიღმა;
- არ არის გამოყენებული ენისა და საგნის ინტეგრირებული მიდგომის დანერგვის შესაძლებლობა, რაც ასევე არ არის ასახული შესაბამის დოკუმენტაციაში;
- დიდია იმ ბალების რაოდენობა, რომლებიც მონოლინგვურია და ბავშვებს საგანმანათლებლო სერვისის მხოლოდ მშობლიურ ენაზე სთავაზობს, და შესაბამისად, ზღუდავს მათ მიერ ადრეულ ასაკში სახელმწიფო ენის ათვისების შესაძლებლობას;
- რიგ შემთხვევაში, დარღვეულია მოსწავლეების მშობლიურ ენაზე საგანმანათლებლო და საადმინისტრაციული სერვისების მიწოდების უფლება, რაც ადრეული/სკოლამდელი განათლების

დაწესებულებების მონოლინგვური, ექსკლუზიურად ქართულ ენაზე ოპერირებით არის გამოწვეული.

რეკომენდაციები

ადრეული და სკოლამდელი განათლების საფეხური

- ადრეული და სკოლამდელი განათლების კანონის, სტანდარტების, ასევე, მასწავლებლის სტანდარტის გადახედვა და იდენტიფიცირებულ ენობრივ საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ადრეული და სკოლამდელი განათლების პოლიტიკის გადახედვა ზოგადი განათლების მიზნებს, სასწავლო გეგმასა და საგნობრივ სტანდარტთან მიმართებით, განათლების საფეხურებს შორის კავშირების გაღრმავებისა და სკოლამდელი განათლების ენობრივი მიზნების ზოგადი განათლების მიზნებთან თავსებადობისა და ინტეგრირებისათვის
- ენობრივი კომპეტენციების განვითარების მკაფიო ხედვების შემუშავება და ბავშვის განვითარების სტანდარტის მიმართულებებს, სფეროებისა და ქვესფეროებში ინტეგრირება სკოლისათვის მომზადების მოთხოვნების შესაბამისად;
- ინგლისური ბილინგვიზმის წახალისება მოზარდების ადრეულ და სკოლამდელი განათლების საფეხურზე ენობრივი კომპეტენციების ასაკისა და მომზადების შესაბამისად ინტეგრირების საშუალებით, რაც მოიცავს უპირველესად საკანონდებლო დონეზე ხედვების ასახვას, ისევე, როგორც კადრებისა და რესურსების მომზადებას;
- ბილინგვიზმის სხვადასხვა მოდელის წახალისება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში, უფრო კონკრეტულად;
 - შერეული ენების საბავშვო ბაღებში ენობრივი ენობრივი და ადამიანური რესურსების ეფექტიანად გამოყენება მოზარდების ორენოვნების მისაღწევად ოპერირების ენის მიუხედავად;
 - სკოლამდელი განათლების გაფართოება სკოლების ბაზაზე, და შესაბამისად, მოზარდებისათვის სასკოლო მომზადების პროგრამების ბილინგვური მოდელების შესაბამისად წარმართვა
 - ალტერნატიული ბაღების მხარდაჭერა და წახალისება როგორც ადგილობრივი მთავრობის, ასევე სამინისტროს მიერ, თემებში არსებული ადამიანური, ფინანსური და სასწავლო რესურსის ეფექტიანად გამოყენებისათვის
 - ბილინგვური პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა და ამ პროცესში მაქსიმალური ენობრივი საჭიროებების ხედვების, მოზარდების ასაკობრივი თავისებურებისა და შესაბამისი ენობრივი შესაძლებლობების, არსებული რესურსების, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით.
 - ძლიერ ბილინგვიზმის პროგრამებზე აქცენტირება მოზარდების მშობლიურ ენაზე დაფუძნებით.
 - მულტილინგვური კადრების განათლებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ინიცირება და ინტეგრირება საუნივერსიტეტო

სივრცეში, ისევე, როგორც გარე პროვაიდერების წახალისება ალტერნატიული, მოქნილი ტრანზიტული პროგრამების ინიცირებისა და განხორციელებისათვის

ზოგადი განათლება

საკანონმდებლო რეგულირება ზოგად განათლებაში

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ქართული ან აფხაზური.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც სწავლება ხორციელდება ერთ-ერთ სახელმწიფო ენაზე, მეორე სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, საჭიროების შემთხვევაში, სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის სწავლების ენად გამოიყენება ქართული ქესტური ენა და ბილინგვური სწავლების პრინციპები, ხოლო იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც განათლებას მხოლოდ სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეები იღებენ, სავალდებულოა ქართული ქესტური ენის ან/და ბილინგვური სწავლების პრინციპების გამოყენება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, საჭიროების შემთხვევაში, მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლესთან გამოიყენება ბრაილის სისტემა ან/და შესაბამისი დამხმარე ტექნოლოგიები, ხოლო იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც განათლებას მხოლოდ მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეები იღებენ, სავალდებულოა ბრაილის სისტემის ან/და შესაბამისი დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენება.

ენობრივი თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-5 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო გეგმის შემადგენელ საგნებს და ამ საგნების სწავლების ენას. აღნიშნული მუხლის მიხედვით, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნები ისწავლება მხოლოდ სახელმწიფო ენაზე ანუ ქართულად, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ქართულად ან/და აფხაზურად.

ამავე კანონის მე-7 და მე-9 მუხლებით გარანტირებულია ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა: მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის მიერ მის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს ზოგადი განათლების სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების განხორციელება შეუძლებელია სტანდარტული ვაუჩერის მეშვეობით, სახელმწიფო ასეთ მოსწავლეებს უზრუნველყოფს გაზრდილი ვაუჩერით ან/და დამატებითი დაფინანსებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში. გაზრდილი ვაუჩერის ოდენობა და დამატებითი დაფინანსება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში უნდა უზრუნველყოფდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლების განხორციელებას მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლის, სპეციალური, კორექციული ან ლინგვისტური უმცირესობის სკოლის ან კლასის ფარგლებში, თუ

არსებობს 3 მოსწავლე დაწყებით საფეხურზე, 6 მოსწავლე საბაზო საფეხურზე და 21 მოსწავლე საშუალო საფეხურზე. კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის უფლებას, მიიღოს დაწყებითი და საბაზო განათლება.

ზოგადი განათლების კანონი იცავს ყველა მოსწავლეს ყოველგვარი ძალადობისაგან და აძლევს მშობლიურ ენაზე გამოხატვის თავისუფლებას. კერძოდ, კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია: „დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. ეს ნორმა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.“. იმავე მუხლის მე-6 პუნქტში კი აღნიშნულია: „სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა“. მე-7 პუნქტის შესაბამისად კი „სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება“.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 22 მაისის #452 ბრძანებით დამტკიცებული „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების“ თანახმად, მოსწავლეს განათლების დაძლევა ექსტერნატის ფორმით შეუძლია ქართულ, რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე. ექსტერნები, რომლებიც გამოცდებს აბარებენ რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე, აბარებენ გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაშიც შესაბამისი სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით. საგამოცდო ტესტების თარგმნას ქართულიდან რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე უზრუნველყოფს გამოცდების ეროვნული ცენტრი. ამასთან, ექსტერნები, რომლებიც გამოცდებს აბარებენ რუსულ ენაზე, არ არიან უფლებამოსილნი, უცხოური ენის გამოცდა ჩააბარონ რუსულ ენაში.

ეროვნულ უმცირესობებს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ დააფუძნონ საგანმანათლებლო დაწესებულებები კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით, რისთვისაც მათ უნდა მოიპოვონ ზოგადი, უმაღლესი, დაწყებითი ან/და საშუალო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და მისი მოთხოვნები ენობრივი კუთხით

მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში სახელმწიფო და მშობლიური ენის მიმართ მოთხოვნები არაერთხელ გადაიხედა და შეიცვალა. 2019 წლის ცვლილებაში (ბრძანება №67/ნ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“), მასწავლებლების პროფესიული მახასიათებლებისა და სწავლისა და სწავლების სტრატეგიების

მუხლებში, აღარ იკითხება პუნქტები, რომლებიც ენობრივ ცოდნას და უნარებს უკავშირდება. სახელმწიფო ენის ფლობის ვალდებულების თვალსაზრისით, მოთხოვნები ეხებათ მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართულის, როგორც მეორე ენისა და მულტილინგვური განათლების მასწავლებლებს (ამ უკანასკნელთათვის სავალდებულოა სწავლების ენისა და სახელმწიფო ენის ფლობა) (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი). მასწავლებელთა საგნობრივ სტანდარტში ასევე არაფერია ნათქვამი ენობრივი კომპეტენციების შესახებ.

მასწავლებლის სქემა და მისი ცვლილებების დინამიკა, არაქართულენოვანთათვის განსხვავებული რეჟიმები, ენებთან დაკავშირებული საკითხები სქემაში და მათი ცვლილებების დინამიკა

2015 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შეიმუშავა და დაამტკიცა „ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომლის ძირითადი მიზანი იყო არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთათვის „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემისა“ და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების მშობლიურ ენაზე ხელმისაწვდომობა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება. გარდა ამისა, პროგრამა მიზნად ისახავს ადგილობრივი საგნობრივი ტრენერების მომზადებას, რომლებიც სამომავლოდ რეგიონებში მნიშვნელოვანი დასაყრდენები იქნებიან (მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, 2019)

არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებისათვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეიმუშავდა და დაამტკიცდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი ტრენინგ-პროგრამები და სათანადო სატრენინგო მასალა, რომელიც სატენდერო პროცედურების გავლით ითარგმნება აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

2016 წელს პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ და „ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერის პროგრამა“ გაერთიანდა სახელწოდებით „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა“. პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების გზით. გარდა ამისა, პროგრამა ორიენტირებულია (2016-2019 წწ.) არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების, როგორც საგნობრივი გამოცდებისთვის მომზადებაზე, ისე მათთვის სახელმწიფო ენის შესწავლაზე.

2017-2018 წლებში აღნიშნული მიმართულებით საქმიანობა იმავე პროგრამებს მოიცავდა. ამ პროცესში დამატებით აქტიურად ჩაერთო ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - საქართველოს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი.

საგნის გამოცდაზე საგნობრივი და პროფესიული უნარების დასადასტურებლად მშობლიურ ენაზე ჩაბარების შესაძლებლობა გაჩნდა 2017 წლის 14 მარტს მიღებული განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 46/ნ ბრძანების შესაბამისად „საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“, ასევე 2019 წლის 13 სექტემბრის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 193/ნ ბრძანებით, რომლის მესამე მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრა: „ტესტირება მათემატიკაში, საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ესთეტიკური აღზრდის საგნებში, სპორტსა და ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში ასევე ტარდება რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე მხოლოდ იმ აპლიკანტებისთვის, რომლებიც ასწავლიან/რომლებსაც სურთ ასწავლონ შესაბამის არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებში“. აღნიშნული შესაძლებლობა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებს მიეცათ შესაძლებლობა პროფესიული და კარიერული წინსვლისთვის, რითაც გარკვეულმა ნაწილმა ისარგებლა და დაწინაურდა პროფესიული განვითარების სქემაში.

2019 წელს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრმა განახორციელა არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამა, რომლის მიზანიც, სახელმწიფო ენის გაძლიერების გზით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სწავლების პროცესის ხელშეწყობა და სკოლის ბაზაზე არაფორმალური სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებაა.

არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებს, გამონაკლისის სახით, გაუგრძელდათ პრაქტიკოსის სტატუსი ჯერ 2022-2023 წლის, ხოლო მოგვიანებით კი, 2025-2026 წლის ჩათვლით, ხოლო უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოპოვებისათვის განისაზღვრა ქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებისგან განსხვავებული საშუალებები. აღნიშნული ვადის ბოლომდე პროფესიული დაწინაურების / სტატუსის შეუცვლელობის შემთხვევაში, პოლიტიკა ავალდებულებს სკოლის ადმინისტრაციას ადმინისტრაცია 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი თვით გამოაცხადოს ვაკანსია, ხოლო მისი შეუვსებლობის შემთხვევაში, შეინარჩუნოს პრაქტიკოსი მასწავლებელი უსტატუსოდ.

დირექტორის სტანდარტი, დირექტორების კონკურსები და სერტიფიცირება და იქ ენობრივი მოთხოვნები და სერტიფიცირების ენები

დირექტორის სტანდარტის დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ „სტანდარტი განსაზღვრავს საჯარო სკოლის დირექტორის (შემდგომ – დირექტორი) ცოდნასა და უნარებს, პროფესიული ღირებულებებსა და ვალდებულებებს“. 2022 წლის 26 სექტემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება ც

„საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, დირექტორის სტანდარტში თავი III საგანმანათლებლო ლიდერობა, მუხლი 5 - საგანმანათლებლო ლიდერობის მიმართულებით დირექტორის კომპეტენციები, პუნქტი ბ - სახელმწიფო ენის ცოდნა და გამოყენება აღარ იკითხება. შესაბამისად, დირექტორის სტანდარტის ახალ ვერსიაში სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობა დირექტორის სტანდარტის მიხედვით აღარ წარმოადგენს აუცილებელ მოთხოვნას.

მეორე მხრივ, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით (42-ე მუხლი, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ), საქართველოს საჯარო სკოლების დირექტორობის კანდიდატები სასერტიფიკაციო გამოცდებს ქართულ ენაზე აბარებენ. ამასთან, 2022 წელს ჩატარებული სასერტიფიკაციო პროცესის საგამოცდო ტესტი მოიცავდა როგორც დახურულ, ასევე ღია ტიპის კითხვებს, რომლებიც კანდიდატისაგან კვლევის დაგეგმვის, კურიკულუმის ანალიზის, საპროექტო წინადადების შემუშავების დავალებებს გულისხმობდა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, ქვემო ქართლის სკოლებიდან, მხოლოდ 67 სკოლის დირექტორია სერტიფიცირებული, ხოლო 179 კი არასერტიფიცირებული იმის გათვალისწინებით, რომ ამ მონაცემებში შედის რუსთავის სკოლებიც, რომლის დირექტორების აბსოლუტური უმრავლესობა სერტიფიცირებულია, ნათელი ხდება, რომ აზერბაიჯანულენოვან სკოლებში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დირექტორი სერტიფიცირებული. ნიშანდობლივია, რომ აზერბაიჯანულენოვანი სკოლების დირექტორების მხოლოდ 7% არის არჩეული. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის სკოლებს, ამ შემთხვევაში, 75 სკოლაში სერტიფიცირებული, ხოლო 167 სკოლაში კი არასერტიფიცირებული დირექტორია წარმოდგენილი, რაც მთლიანობაში, სომხურენოვანი სკოლების კონცენტრაციის გათვალისწინებით რეგიონში, სომხურენოვანი სკოლების დირექტორების სტანდარტთან შედარებით უკეთეს პროფესიულ შესაბამისობას ადასტურებს. ამასთან, სომხურენოვან სკოლებში დირექტორთა 46% არჩეულია.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული მონაცემები არ არის პირდაპირ კავშირში სკოლის დირექტორებთან დაკავშირებულ ენობრივ პოლიტიკასთან, მკაფიოდ იკვეთება არასერტიფიცირებული დირექტორების არა მხოლოდ პროფესიული ცოდნისა და უნარების შეუსაბამობა დირექტორის პროფესიულ სტანდარტთან და, შესაბამისად, დირექტორების მიმართ დაკისრებული საქმიანობის შესრულებისათვის არასაკმარისი მზაობა, არამედ ქვეყანაში გაცხადებული სახელმწიფო ენის ფლობის ზოგადი ხედვისგან აცდენაც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ენის ფლობა კვლავ გახდეს დირექტორის პროფესიული სტანდარტის ნაწილი, მისი დადასტურება გაიმძღვოს სასერთიფიკაციო პროცესისაგან და გახდეს სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლის წინაპირობა.

3.2.2. ზოგად განათლებაში არსებული ენობრივი სიტუაცია

2005 წლამდე, საქართველოში განხორციელებულ საგანმანათლებლო რეფორმამდე, საქართველოში ფუნქციონირებდა 3000-მდე სკოლა. მათგან უმრავლესობაში სწავლების ენა იყო ქართული (ყველა საგანი ისწავლებოდა ქართულ ენაზე); საქართველოში ფუნქციონირებდა 500-ზე


მეტი არაქართულენოვანი სკოლა, სადაც სწავლება მიმდინარეობდა რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ (ამ უკანასკნელ 2 ტიპის სკოლაში მხოლოდ 1-4 კლასებში - მომდევნო კლასებში სწავლების ენა იყო რუსული).

2005 წლის შემდეგ საქართველოში მხოლოდ 4 ტიპის (სწავლების ენის თვალსაზრისით) სკოლა ფუნქციონირებს. არაქართულენოვანი სკოლების რიცხვმა (ისევე, როგორც ზოგადად, სკოლების რაოდენობამ), ოპტიმიზაციის შედეგად, დაიკლო. დღეს ფუნქციონირებს 2000+ ქართული, და სულ 300-მდე არაქართულენოვანი სკოლა და სექტორი, რომლებშიც სწავლება მიმდინარეობს რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

ზოგადი განათლება/არსებული ენობრივი სიტუაციის აღწერა


საქართველოში 2086 საჯარო და 116 კერძო სკოლა ფუნქციონირებს და საჯარო და კერძო სკოლებში 2022-2023 აკადემიური წლის მონაცემებით, საერთო ჯამში, 633 698 მოსწავლე სწავლობს. აქედან, 91% ანუ 576 682 ქართულენოვან სკოლებში, 4% ანუ 25870 მოსწავლე აზერბაიჯანულენოვანში, 15882 ანუ მოსწავლეთა 3 %-რუსულენოვანში და მოსწავლეთა 2% ანუ 13041 მოსწავლე სომხურენოვანში სკოლაშია გადანაწილებული. მცირეა უკრაინულენოვანი, ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი სკოლების მოსწავლეთა წარმომადგენლობა, რომლებიც კერძო სკოლებში სწავლობენ.

დიაგრამა #9



უნდა აღინიშნოს, რომ რუსულენოვანი სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა და დინამიკა მზარდია და თუ 2022-2023 აკადემიური წლის მონაცემებით, 15882 მოსწავლე ირიცხებოდა რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებში, ამავე აკადემიური წლის მეორე სემესტრისთვის მოსწავლეთა რაოდენობა გაზრდილია და 17497 მოსწავლე შეადგინა, ანუ 9.3 %-ით გაიზარდა. რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეთა გადანაწილების თვალსაზრისით, მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება განსაკუთრებით თბილისისა და ქვემო ქართლისა და აჭარის, ასევე, სამცხე-ჯავახეთის სკოლები.

დიაგრამა #10



ცხრილი #10

რეგიონი/წელი	2023	2021	ზრდა %
თბილისი	7930	6428	24%
ქვემო ქართლი	3964	3612	10%
აჭარა	3210	2084	15%
სამცხე-ჯავახეთი	1380	1161	19%
სამეგრელო/ზემო სვანეთი	491	382	28%
იმერეთი	460	290	58%
კახეთი	62	103	-40%
სულ	17497	14060	24%

რუსულენოვანი სკოლებში მოსწავლეთა ზრდის დინამიკა მკვეთრად შესამჩნევია ბოლო წლების სტატისტიკაზე დაყრდნობით. თუ 2000-იანი წლების პირველ დეკადაში რუსულენოვანი სკოლები მიღევად რეჟიმში იმყოფებოდნენ, რასაც 2010 წელს, ე.წ. შაშვინის მინისტრობის პერიოდში გაიცა არაფორმალური მითითება რუსულენოვანი სკოლებისა და სექტორების დახურვის და /ან მათი მიღევად რეჟიმში გადაყვანის შესახებ, 2015 წლიდან დღემდე, ეს ტენდენცია მკვეთრად შეცვლილია და რუსულენოვანი სკოლების მზარდი რაოდენობით ხასიათდება. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, დეტალურად არის წარმოდგენილი 2005 წლიდან დღემდე რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებზე მოსწავლეთა კლებისა და ზრდის დინამიკა.

ცხრილი #11. რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებში მოსწავლეთა რაოდენობა 2005-2006 აკადემიური წლიდან დღემდე.

სწავლების ენა	2016-17	2017-2018	2018-2019	2019-2020	2020-2021	2021-2022	2022-2023	ზრდა

რუსული	14148	14176	14458	14560	15128	15544	17497	24%
აზერბაიჯანული	25823	25842	25830	25616	25952	26411	26497	2%
სომხური	13705	13500	13417	13291	13421	13333	13089	-5%
ქართული	513982	524128	533182	541696	556924	572437	579637	13%

აზერბაიჯანულენოვან სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის ტენდენცია არ იკვეთება. მოსწავლეთა რაოდენობა აზერბაიჯანულენოვან სექტორებსა და სკოლებში ბოლო 17 წლის განმავლობაში სტაბილურად თანაბარია.

თუმცა, აზერბაიჯანულენოვან თემთან მიმართებით ორი ტენდენცია იკვეთება: (1) აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეების ქართულენოვან სკოლებში შეყვანა; (2) აზერბაიჯანულენოვან სკოლებში ქართულენოვანი სექტორების შექმნა და მოსწავლეთა ქართულენოვან სექტორებზე გადაყვანა.

ორივე ეს ტენდენცია უზრუნველყოს აზერბაიჯანულენოვანი თემის მოსწავლეთა სუბმერსიის პროგრამებით უზრუნველყოფას. სუბმერსიის პროგრამების კვლევამ, რომელიც ამ უკანასკნელ პერიოდში ჩატარდა, გამოაჩინა მნიშვნელოვანი ხარვეზები შემდეგი მიმართულებებით:

1. აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეები ვერ ახერხებენ აკადემიურ და სოციალურ ინტეგრაციას ქართულენოვან სკოლებში;
2. ქართულენოვანი სკოლები არ არიან მზად სუბმერსიის პროგრამის განხორციელებისათვის.
3. შემცირდა აზერბაიჯანულენოვანი სკოლების გავლენა და ასოცირება ხარისხიან განათლებასთან.

რაც შეეხება სომხურენოვანი სკოლების და მათში მოსწავლეთა რაოდენობას, 2022-2023 წლის მონაცემები წინა წლებთან შედარების საფუძველზე აჩვენებს, რომ მოსწავლეების რაოდენობა მცირედად დაკლებულია. საგულისხმოა, რომ მოსწავლეების ზრდისა და კლების დინამიკა არ არის დამოკიდებული ეთნიკურად სომხურენოვანი მოსახლეობის ენობრივი პრიორიტეტების ცვლილებაზე, რადგან მოსწავლეების სკოლებს შორის ტრანზიტი არ მიუთითებს სომხურენოვანი სკოლებიდან მოსწავლეების ქართულ, რუსულ ან სხვა ენოვან სკოლებში გადინებას. შესაბამისად, მოსწავლეების კლება ზოგად დემოგრაფიულ ცვლილებებთან, ყველაზე მეტად კი მოსახლეობის ემიგრაციასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ამრიგად, არსებული მონაცემები ცხადყოფს, რომ მოსწავლეების რაოდენობის ზრდის საერთო დინამიკა ბოლო წლებში არაერთგვაროვნად, განსხვავებულად არის ასახული სკოლებზე სწავლების ენის მიხედვით. მონაცემები ასევე აჩვენებს, რომ ზოგად სოციო-დემოგრაფიულ ცვლილებებთან ერთად, ცვლილებები ხორციელდება სწავლების ენის მიხედვით კონკრეტული ენის დატვირთვისა და მნიშვნელობის ცვლის მიხედვით ადგილობრივ თემებში.

ბილინგვური საპილოტე სკოლები

ბილინგვური / მულტილინგვური განათლების რეფორმის განხორციელება საქართველოში პირველი ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესის დაწყებასთან ერთად ინიცირდა, რაც აჩვენებს, რომ მისი აქტუალობა განათლების პოლიტიკის პერსპექტივიდან მრავალი წელია აღიარებულია. 2009 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო ბილინგვური განათლების პროგრამა, რომლისთვისაც არსებული 240 არაქართულენოვანი სკოლიდან საპილოტე ფაზაზე 40 სკოლა შეირჩა. მომდევნო წლებში შემუშავდა და დაინერგა ე.წ. „ბილინგვური სახელმძღვანელოების“ კონცეფცია, რომელიც არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებს საგნობრივი მასალის / ტექსტის 70%-ს მშობლიურ, ხოლო 30%-ს მშობლიურ ენაზე სთავაზობდა. 2010-2011 წლებში კი, ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში შეტანილი ცვლილების თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომლებშიც სწავლება ხორციელდებოდა არა სახელმწიფო ენაზე, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მხოლოდ სახელმწიფო ენაზე სწავლების ვალდებულება გაჩნდა. 2012 წელს საქართველოს სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა ბილინგვური განათლების მასწავლებლის სტანდარტი.

ბილინგვური განათლების მომდევნო ტალღა 2016 წელს ემთხვევა და გულისხმობდა „სამინისტროს მიერ შემუშავებულ ბილინგვური განათლების ახალ მოდელს, რომელიც 2010 წლის მოდელისგან განსხვავებით, სხვადასხვა საგნის სხვადასხვა ენაზე შესწავლას გულისხმობს“ (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო). თუმცა, ახალი სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესშიც, 2017 წლიდან არაქართულენოვანი სკოლები კვლავ ახალი სახელმძღვანელოებისა და ახალი მიდგომების გარეშე რჩებოდნენ.

2020-2021 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს პროექტს „სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში“, რომლის მიზანია ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით. პროგრამის ფარგლებში საწყის ეტაპზე 4 სკოლა და 165 მოსწავლე ჩაერთო. პროგრამის გაფართოებასთან ერთად, გაიზარდა პროგრამაში ჩართული სკოლების რაოდენობა (ბოლო მონაცემებით, 41 სკოლა და 4146 მოსწავლეა ჩართული; პროექტში ასევე ჩართულია 55 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი, 46 ადგილობრივი ორენოვანი მასწავლებელი). პროგრამაში ჩაერთო აგრეთვე 15 სკოლამდელი დაწესებულება, სადაც ბილინგვურ პროცესს უძღვება 35 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი, ხოლო სერვისს იღებს 1000-მდე სკოლამდელი ასაკის ბავშვი (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია).

ცხრილი #12.

წელი	სკოლა	მოსწავლეთა რაოდენობა
2020-2021	4	165
2021-2022	21	1518
2022-2023	16	2463
სულ	41	4146

ბილინგვურ საპილოტე პროგრამაში რეგიონების მიხედვით ქვემო ქართლის რეგიონი სჭარბობს, რადგან 41 სკოლის 22 სკოლა ქვემო ქართლიდანაა, 10 სკოლა - თბილისიდან და 9 - სამცხე-ჯავახეთიდან, თუმცა, მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, თბილისის სკოლები სჭარბობს, 4146 სკოლიდან თითქმის 2000 მოსწავლე თბილისის სკოლებს წარმოადგენს. დეტალური ინფორმაცია ჩართული მოსწავლეების პროცენტული გადანაწილების შესახებ რეგიონების შესაბამისად ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზეა წარმოდგენილი.

დიაგრამა #11



სწავლების ენის მიხედვით სომხურენოვანი სკოლები ქმნიან უმრავლესობას, თუმცა მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით ყველაზე მეტი მოსწავლე რუსულენოვანი სკოლებიდანაა, ყველაზე ნაკლები - სომხურენოვანი. დეტალური ინფორმაცია ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი #13.

	განაწილება სწავლების ენის მიხედვით		
	სკოლა	მოსწავლეთა რაოდენობა	
რუსული	8	1558	37.6%
სომხური	17	1068	25.8%
აზერბაიჯანული	16	1520	36.7%

მოსწავლეების გადანაწილება ბილინგვურ საპილოტე პროგრამაში შეესაბამება მოსწავლეების რაოდენობრივ გადანაწილებას სწავლების ენის მიხედვით (აზერბაიჯანულენოვან და რუსულენოვანი სკოლებში მოსწავლეების რაოდენობა მეტია, ვიდრე სომხურენოვან სკოლებში. სომხურენოვანი სკოლების რაოდენობა უსწრებს აზერბაიჯანული და რუსული სკოლების

როადენობას, თუმცა, მოსწავლეების ნაკლები რაოდენობით ხასიათდება და, შესაბამისად, არ არის პროპორციულად განაწილებული მოსწავლეების საერთო რაოდენობასთან).

საგულისხმოა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებულ მონაცემებში მასწავლებელთა დემოგრაფიისა და პროფესიული მზაობის შესახებ, ინფორმაცია ბილინგვური განათლების მასწავლებლის სტატუსის მქონე პირების შესახებ ცალკე არ იკვეთება. ამავდროულად, მულტილინგვური განათლების მასწავლებლის სტანდარტი შემუშავებული და შეტანილია საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ განმარტებული (თავი 21² - მასწავლებლის თანამდებობის სახეები და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, პუნქტი ზ: დაწყებითი საფეხურის მულტილინგვური განათლების მასწავლებელი – არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სექტორის მასწავლებელი, რომელიც სხვადასხვა ენაზე ასწავლის ერთ ან რამდენიმე საგანს დაწყებით საფეხურზე და თ) საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მულტილინგვური განათლების მასწავლებელი – არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სექტორის მასწავლებელი, რომელიც სხვადასხვა ენაზე ასწავლის ერთ ან რამდენიმე საგანს საბაზო და საშუალო საფეხურებზე).

ენობრივი პოლიტიკა ეროვნულ სასწავლო გეგმაში სამი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ანალიზის საფუძველზე

2005 წლიდან დაიწყო ეროვნული სასწავლო გეგმის რეფორმა, რომელიც რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. 2011 წლამდე მუშაობდა პირველი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2018 წლებში მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა და ამჟამად ხორციელდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა შესაბამისი ახალი სკოლის მოდელად წოდებული განათლების რეფორმით, რომელიც ამ სასწავლო გეგმის სასკოლო დონეზე განხორციელებას გულისხმობს

აღნიშნული სამი თაობის სასწავლო გეგმის განხორციელებისას იცვლებოდა საგნობრივი ჯგუფები, ისევე, როგორც იცვლებოდა ამ საგნობრივ ჯგუფებში სახელმწიფო და უცხოური ენების ჯგუფები, ამ საგნებს შორის საათობრივი გადანაწილებაც ცვალებადი იყო, ისევე, როგორც სასწავლო გეგმაში ასახული ენობრივი პოლიტიკა ტრანსფორმირდებოდა.

სწორედ ამ ცვლილებების აღწერას შევეცდებით ენობრივი პოლიტიკის ჭრილში.

სამი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმების საგნობრივ ჯგუფებსა და ამ საგნობრივ ჯგუფებს შიგნით სახელმწიფო და უცხოური ენის ჯგუფების ცვლილებებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გათვალისწინებულად დეტალურად. საგნობრივ ჯგუფებში მკვეთრი ცვლილებები არ განხორციელებულა, თუ არ ჩავთვლით 2011 წლიდან ტექნოლოგიების მიმართულების დამატებას და ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფი ჩაშლას სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფად. რაც შეეხება სახელმწიფო ენების ჯგუფს, ეს სახელწოდება 2011 წლის სასწავლო გეგმით შემოვიდა, ამავე წელს ამ ჯგუფს დაემატა საგანი ქართული, როგორც,

მეორე ენა, რომლის სახელწოდებაც 2018 წელს შეიცვალა ქართული ენით და ეს საგანი ისწავლება არაქართულენოვან სკოლებში. უცხოური ენების მიმართულებითაც 2011 წლიდან ინგლისური ენა ისწავლება პირველი კლასიდან, ხოლო მეორე და მესამე უცხოური ენების დაწყების და დასრულების, სავალდებულობის და არჩევითობის დინამიკა ცვალებადი იყო (კონკრეტული დეტალები იხილეთ წარმოდგენილ ცხრილში):

ცხრილი #14.

პირველი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა	მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა
<p>საგნობრივი ჯგუფები:</p> <p>1. ქართული ენა და ლიტერატურა (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზური და ქართული);</p> <p>2. მათემატიკა;</p> <p>3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;</p> <p>4. საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები;</p> <p>5. უცხოური ენები;</p> <p>6. ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა.</p>	<p>საგნობრივი ჯგუფები:</p> <p>1. სახელმწიფო ენა;</p> <p>2. მათემატიკა;</p> <p>3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;</p> <p>4. საზოგადოებრივი მეცნიერებები;</p> <p>5. უცხოური ენები;</p> <p>6. სპორტი;</p> <p>7. ესთეტიკური აღზრდა;</p> <p>8. ტექნოლოგიები;</p>	<p>საგნობრივი ჯგუფები:</p> <p>1. სახელმწიფო ენა;</p> <p>2. მათემატიკა;</p> <p>3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;</p> <p>4. საზოგადოებრივი მეცნიერებები;</p> <p>5. უცხოური ენები;</p> <p>6. სპორტი;</p> <p>7. ესთეტიკური აღზრდა;</p> <p>8. ტექნოლოგიები;</p>
<p>ენების ჯგუფი:</p> <p>ქართული ენა და ლიტერატურა (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზური და ქართული);</p>	<p>სახელმწიფო ენების ჯგუფი</p> <p>ა) ქართული ენა და ლიტერატურა (ისწავლება I-XII კლასებში);</p> <p>ბ) აფხაზური ენა და ლიტერატურა, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ისწავლება I-XII კლასებში);</p> <p>გ) ქართული, როგორც მეორე ენა, არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის (ისწავლება I-XII კლასებში).</p>	<p>სახელმწიფო ენების ჯგუფი</p> <p>ა) ქართული ენა და ლიტერატურა (ისწავლება I-XII კლასებში);</p> <p>ბ) აფხაზური ენა და ლიტერატურა, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ისწავლება I-XII კლასებში);</p> <p>გ) ქართული, როგორც მეორე ენა, არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის (ისწავლება I-XII კლასებში).</p>
<p>უცხოური ენები:</p> <p>ა) პირველი უცხოური ენა/ინგლისური (ისწავლება III-XI კლასებში);</p> <p>ბ) მეორე უცხოური ენა (ისწავლება V-XI კლასებში-არჩევითი ((რუსული,</p>	<p>უცხოური ენები:</p> <p>ა) პირველი უცხოური ენა/ინგლისური (ისწავლება I-XII კლასებში);</p> <p>ბ) მეორე უცხოური ენა (ისწავლება V-XII კლასებში-არჩევითი ((რუსული,</p>	<p>უცხოური ენები:</p> <p>ა) პირველი უცხოური ენა/ინგლისური (ისწავლება I-XII კლასებში);</p> <p>ბ) მეორე უცხოური ენა (ისწავლება V-XII კლასებში-არჩევითი ((რუსული,</p>

გერმანული, ფრანგული, იტალიური)	გერმანული, ფრანგული, იტალიური);	გერმანული, ფრანგული, იტალიური);
2008 წლიდან: ა) პირველი უცხოური ენა/ინგლისური (ისწავლება III-X ან XII კლასებში); ბ) მეორე უცხოური ენა (ისწავლება VII-XII კლასებში- არჩევითი ((რუსული, გერმანული, ფრანგული, იტალიური) გ) მესამე უცხოური ენა - X-XII კლასი, არჩევითი (დამატებით ან პირველი უცხოური ენის სწავლების შეწყვეტის ხარჯზე)((რუსული, გერმანული, ფრანგული, იტალიური)	გ) მესამე უცხოური ენა- ისწავლება მე-10 კლასიდან არჩევითად სკოლის სურვილის შემთხვევაში	გ) გ) მესამე უცხოური ენა- ისწავლება მე-10 კლასიდან არჩევითად სკოლის სურვილის შემთხვევაში

საათობრივი ბადის ცვლილებები სამი თაობის სასწავლო გეგმაში საკმაოდ ხშირი იყო და გარკვეულწილად განსაზღვრავდა ენობრივი პოლიტიკის მახასიათებლებსაც. საათობრივი ბადეში მნიშვნელოვანია ორი ფაქტორი, რომელსაც განვიხილავთ:

(1) რა წილი აქვს ენობრივ საგნობრივ ჯგუფების საგნებს საერთო საათობრივ ბადეში და როგორ ხორციელდებოდა ამ მიმართულებებით ცვლილებები;

(2) ენობრივ საგნობრივ ჯგუფებს შორის განსხვავება, კერძოდ, როგორია ენებს შორის გადანაწილება მშობლიური, მეორე, პირველ უცხოურ, მეორე უცხოურ ენებს შორის; (3) რა ცვლილებები განხორციელდა სხვადასხვა თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას შორის ამ თვალსაზრისით.

ამ მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენციის დანახვაა შესაძლებელი სასწავლო გეგმებში ენობრივი პოლიტიკის ცვლილებების დინამიკის თვალსაზრისით;

ქართულენოვან სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის (ანუ ქართული ენისა და ლიტერატურის) საათობრივი დატვირთვა სტაბილურია და მხოლოდ მცირედით შემცირდა ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შემოსვლასთან ერთად. ქართულის, როგორც მშობლიური ენის წილი ენობრივ ბლოკში მერყეობს 41-100% სხვადასხვა კლასსა თუ სხვადასხვა თაობის სასწავლო გეგმაში.

უმცირესობათა მშობლიური ენის წილი და რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია სხვადასხვა თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმებს შორის. თუ რეფორმის საწყის ეტაპზე ზოგიერთ კლასში მშობლიური ენისთვის დათმობილი მაქსიმალური კვირის დატვირთვა 10 საათსაც აღწევდა, დღესდღეობით ის 5 საათს არ აღემატება. ენობრივ ბლოკს შორის გადანაწილებაშიც მშობლიური

ენის ხვედრითი წილი მერყეობს 23-დან 45% -მდე სხვადასხვა კლასში, როცა 2007 წელს არსებული მონაცემით 38%-დან 73%-მდე მერყეობდა;

მშობლიური ენის სწავლების დატვირთვა შემცირებულია მეორე ენის ანუ ქართულის/სახელმწიფო ენის სწავლების საათობრივი ზრდის ხარჯზე. მეორე ენის კვირეული საათობრივი დატვირთვა შეადგენდა 3 საათს, რაც გაზრდილია, და დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს 5 საათს, ხოლო ენების ბლოკის შიგნით ქართულის, როგორც მეორე ენის წილი სხვადასხვა კლასში 2006-2007 წლებში მერყეობდა 23-დან 37%-მდე და ეს წილი დღევანდელი მდგომარეობით გაზრდილი სხვადასხვა კლასში 36-დან -46%-მდე;

შეცვლილია უცხოური ენის სწავლებაც. პირველ უცხოური ენად ყველა სკოლისთვის განისაზღვრა ინგლისური ენა, ისევე, როგორც უცხოური ენის სწავლების დაწყებად განისაზღვრა პირველი კლასი. 2006-2007 წლებში პირველი უცხოური ენის სწავლება მესამე კლასიდან იწყებოდა.

ენების ბლოკის ხვედრითი წილი მაღალია საერთო ეროვნულ სასწავლო გეგმაში, განსაკუთრებით არაქართულენოვან სკოლებში, თუმცა ქართულენოვანი სკოლებიც მაღალი დატვირთვით გამოირჩევა გაზრდილი მშობლიური ენის დატვირთვის ხარჯზე. ენობრივი ბლოკის ხვედრითი წილი ზოგიერთ შემთხვევაში, ანუ ზოგიერთ კლასში 50%-საც აჭარბებს და თუ გავითვალისწინებთ სხვა საგნების და საგანთა ჯგუფის სიმრავლესაც, ენობრივი პოლიტიკის ეს ასპექტი შესაძლოა გადასაზრებელი იყოს.

მცირე ეთნიკური და ლინგვისტური ჯგუფების ენა ასევე აისახა სასწავლო გეგმებში, თუმცა საათობრივ ბადეში და პრაქტიკაში და სკოლაში დანერგვის და რეალიზების ინსტრუმენტების განსაზღვრა ეროვნული სასწავლო გეგმით არ განხორციელებულა.

ენის ბლოკის საგნების შიდა ტრანსფორმაცია სამი თაობის სასწავლო გეგმებში აგრეთვე იყო ჩვენი ანალიზის ინტერესი და ქვემოთ წარმოგიდგენთ თითოეული ენის მიმართ განხორციელებული ტრანსფორმაციული მიმართულებებით.

ქართული ენა და ლიტერატურა (ქართულენოვან სკოლებში)

2005 წლამდე ქართულენოვან სკოლებში ქართული ენა და ლიტერატურა ისწავლებოდა კვირაში 5 საათი. 4 საათი ეთმობოდა ქართულ ლიტერატურას, ხოლო 1 საათი - ენას (ქართული ენის გრამატიკას). ეს გრძელდებოდა პირველიდან მე-11 კლასის ჩათვლით (ვინაიდან სწავლება 11-წლიანი იყო).

2005-2007 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, შეიცვალა საგანმანათლებლო ენობრივი პოლიტიკის პრინციპები. საგანი - მშობლიური ენა და ლიტერატურა მე-5 კლასამდე კვირაში 7 საათი ისწავლებოდა, მე-6 კლასის შემდეგ - 5-5 საათი მე-11 კლასის ჩათვლით.

2008 წლიდან, 12-წლიან სისტემაზე გადასვლამ დიდად არ შეცვალა საათობრივი განაწილების სისტემა და მე-12 კლასშიც დაემატა 5 საათი მშობლიური ენისა და ლიტერატურის საგანს.

2010 წლიდან მშობლიური ენის და ლიტერატურის სწავლების საათობრივმა წილმა იკლო: მხოლოდ 1-2 კლასებში ისწავლებოდა 7 საათი, ხოლო დანარჩენ კლასებში - 5 საათი კვირაში.

მომდევნო თაობის ეროვნული სასწავლო გეგმაში (2011-2016) კვლავ განხორციელდა ცვლილებები საათობრივი გადანაწილების თვალსაზრისით:

საგანი - ქართული ენა და ლიტერატურა გაერთიანდა ჯგუფში - „სახელმწიფო ენები“; იგი პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით ისწავლება: 2018 წლის ეროვნული სასწავლო გეგმის ახალ რედაქციაში (დღეს მოქმედი რედაქცია) საათობრივი განაწილება უცვლელი დარჩა.

ქართული, როგორც მეორე ენა

არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენა გამარტივებული პროგრამით ისწავლებოდა პირველივე კლასიდან და კვირაში ეთმობოდა 3 საათი.

2007 წლიდან არაქართულენოვან სკოლებში დაიწყო საგნის ქართული, როგორც მეორე ენა სწავლება. პირველიდან მე-11 კლასის ჩათვლით, ამ საგანს არაქართულენოვან სკოლებში კვირაში 3 საათი დაეთმო.

2008 წლიდან სწავლება 12-წლიანი ხდება. ქართულის, როგორც მეორე ენის საათების რაოდენობა მატულობს და პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით 5 საათი ეთმობა. 2010 წლის რედაქციაში ამ მხრივ ვითარება არ შეცვლილა.

2018-2024 წწ (დღეს მოქმედ) ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელდა ცვლილება: საგანს - „ქართული, როგორც მეორე ენა“ გადაერქვა სახელი - იგი გაერთიანდა ჯგუფში - „სახელმწიფო ენები“ ახალი სახელდებით - „ქართული ენა“. საათობრივი წილი (პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით - კვირაში 5 საათი) წინა რედაქციასთან შედარებით არ შეცვლილა.

მშობლიური ენა და ლიტერატურა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის)

2005 წლამდე არაქართულენოვანი სკოლების დიდი უმრავლესობა იყო რუსულენოვანი (სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე პირველიდან მე-11 კლასამდე). საგანი - რუსული ენა და ლიტერატურა ისწავლებოდა პირველი კლასიდან მე-11 კლასის ჩათვლით (კვირაში 5 საათი).

სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სკოლებში პირველიდან მე-11 კლასის ჩათვლით სწავლება მიმდინარეობდა მშობლიურ ენებზე პირველიდან მე-11 კლასის ჩათვლით; მშობლიური ენა და ლიტერატურა ისწავლებოდა კვირაში 5 საათი პირველი კლასიდან.

საქართველოში ასევე ფუნქციონირებდა აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი სკოლები, რომლებშიც მშობლიურ ენებზე სწავლება მიმდინარეობდა მხოლოდ მე-4 კლასის ჩათვლით. მე-5 კლასიდან სწავლების ენა იყო რუსული, მშობლიური ენა და ლიტერატურა ისწავლებოდა კვირაში 5 საათი.

2007 წლიდან არაქართულენოვან სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურისთვის გამოყოფილი დრო რადიკალურად გაიზარდა.

2009 წლიდან არაქართულენოვანი სკოლებიც 12-წლიან სწავლებაზე გადავიდნენ. შეიცვალა საათობრივი გადანაწილების პრინციპი: საათობრივი გადანაწილება მშობლიური ენისა და ლიტერატურის საგნისთვის მთლიანობაში კიდევ უფრო გაიზარდა:

2011 წლის რედაქციაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის საათები შემცირებულია: პირველიდან მე-9 კლასის ჩათვლით - 5 საათი, მე-10 - მე-12 კლასებში - 4-5 საათი.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლამდე განათლების და მეცნიერების სამინისტროს არ ჰქონია შემუშავებული არაქართულენოვანი სკოლების სწავლების ენებისთვის (რუსული, სომხური, აზერბაიჯანული) სტანდარტი: ეს ენები (როგორც მშობლიური ენები) ისწავლებოდა მეზობელ ქვეყნებში შემუშავებული პროგრამითა და შემოტანილი სახელმძღვანელოებით.

2015 წელს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტმა შეიმუშავა მშობლიური ენების ზოგადი სტანდარტი, რომელზე დაფუძნებითაც დაგეგმილია მშობლიური ენების (სომხური, აზერბაიჯანული...) სახელმძღვანელოების შედგენა პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით.

2018-2024 წლის მოქმედ რედაქციაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის საათები 1-დან მე-12 კლასის ჩათვლით განისაზღვრა 3-5 საათით კვირაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად, ბოლო 2 რედაქციის მიხედვით, შეინიშნება უმცირესობათა ენების სწავლების დროის შემცირების ტენდენცია.

უცხოური ენები

უცხოური ენებიდან ქართულენოვან სკოლებში რუსული იყო სავალდებულო და მისი სწავლება იწყებოდა მეორე კლასიდან (კვირაში 3 საათი), რომელიც მე-11 კლასის ჩათვლით ისწავლებოდა; სავალდებულო იყო ასევე მეორე უცხოური ენის სწავლებაც, მეორე უცხოური ენა იყო არჩევითი და მე-5 კლასიდან შემოთავაზებულთაგან მოსწავლეებს უნდა აერჩიათ ერთი მათგანი: ინგლისური, გერმანული, ფრანგული და იტალიური. უცხოური ენები მე-5 - მე-11 კლასებში ისწავლებოდა კვირაში 3 საათი.

რუსულენოვან სკოლებში პირველ უცხოურ ენად არჩევით-სავალდებულო მიდგომა იყო: მე-5 კლასიდან შემოთავაზებულთაგან მოსწავლეებს უნდა აერჩიათ ერთი მათგანი: ინგლისური, გერმანული, ფრანგული და იტალიური.

სომხურ- და აზერბაიჯანულენოვან სკოლებში პირველი უცხოური ენა მეორე კლასიდან იყო რუსული. მე-5 კლასიდან სავალდებულო იყო შემოთავაზებული ენებიდან ერთ-ერთის სწავლება: ინგლისური, გერმანული, ფრანგული და იტალიური (კვირაში 3 საათი).

2007 წლის საგანმანათლებლო რეფორმამ კარდინალურად შეცვალა უცხოურ ენათა სწავლების პოლიტიკა: როგორც ქართულენოვან, ისე არაქართულენოვან სკოლებში პირველ უცხოური ენად სავალდებულო გახდა ინგლისურის სწავლება; ამ ეტაპზე პირველი უცხოური ენა (ინგლისური) - მე-3 კლასიდან ისწავლებოდა: მეორე უცხოური ენა (რუსული, გერმანული, ფრანგული, იტალიური) - მე-5 კლასიდან ისწავლებოდა; ამ ენების სტატუსი იყო არჩევითი:

2008 წლის ეროვნულ სასწავლო გეგმაში, როგორც ითქვა, მნიშვნელოვანი სხვაობაა ის, რომ სწავლება 12-წლიანი ხდება. შესაბამისად, საათობრივი ბადე იცვლება უცხოური ენებისთვისაც: პირველი უცხოური ენის სწავლას მოსწავლე იწყებს მე-2 კლასში, მეორისას კი - მე-7 კლასში. მეათე კლასიდან ნებადართულია პირველი უცხოური ენის სწავლისათვის თავის დანებება და მესამე უცხოური ენის სწავლის დაწყება (X-XII კლასებში). ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მესამე კლასამდე დაიწყონ სკოლებმა უცხოური ენის სწავლება, ან მეშვიდე კლასამდე ასწავლონ ორი უცხოური ენა, თუ სკოლა გადაწყვეტს, რომ მას აქვს ამის საშუალება და ხედავს ამ საგნების შეთავაზების მნიშვნელობას. თუმცა პირველ ორ კლასში უცხოური ენის სწავლება არ არის რეკომენდებული. ასევე სკოლას აქვს უფლება ორ უცხოური ენაზე მეტი ასწავლოს თავის მოსწავლეებს.

2011 წლიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პირველი უცხოური ენის სწავლების ვადებთან და საათობრივ განაწილებასთან დაკავშირებით, ინგლისური გახდა სავალდებულო პირველი კლასიდანვე:

მეორე უცხოური ენის სწავლება მე-5 კლასიდან იწყება (წინა თაობის გეგმისგან განსხვავებით, სადაც მე-7 კლასიდან იწყებოდა მეორე უცხოური ენის სწავლება): 2018 წლის რედაქციაში უცხოური ენების სწავლების საათობრივი გადანაწილების თვალსაზრისით ცვლილებები არ განხორციელებულა; თუმცა, აღსანიშნავია, რომ არაქართულენოვან სკოლებში გარკვეული პრობლემა შეიქმნა მეორე უცხოური ენის არჩევასთან დაკავშირებით: რეგულაციების მიხედვით, სკოლას უფლება აქვს, შემოიტანოს მეორე უცხოური ენა (არჩევითი: რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული), მხოლოდ ამ საათების გადანაწილება უნდა განხორციელდეს მშობლიური ენისა და ლიტერატურის საათების ხარჯზე. ამ რეგულაციამ არაქართულენოვან სკოლებში (განსაკუთრებით - სამცხე-ჯავახეთის რაიონში) უკმაყოფილება გამოიწვია.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებებისა, მნიშვნელოვანი საკითხია, რომ მესამე თაობის გეგმაში ორ მუხლი ეძღვნება განათლების ენებსა და ენობრივ განათლებასა და განათლების ენებს, სადაც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის ხედვა და სულისკვეთება ენობრივი განათლების მიმართ. პირველი მუხლი ქართულენოვან სკოლებში ენობრივ განათლებას ეხება, ხოლო მეორე მუხლი არაქართულენოვანი სკოლების ენობრივი განათლების პრინციპებს განსაზღვრავს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ენებს შემდეგი დანიშნულება და მნიშვნელობა აქვს; (ა) ენები და მათი დაუფლება მნიშვნელოვანი საფუძველია სხვა საგნების შესამეცნებლად; (ბ) განათლების ენებად განსაზღვრულია: 1) სწავლა-სწავლების ენა, რომელზედაც მიმდინარეობს სასკოლო საგანთა სწავლა და სწავლება; 2) საგნის ენას, რომელზედაც მიმდინარეობს კონკრეტული საგნობრივი შინაარსის სწავლება. საგნის ენა არის სწავლა-სწავლების ენის სახესხვაობა, რომელიც ხასიათდება სპეციფიკური ენობრივი ნორმებით; 3) ენას, როგორც საგანს, რომლის მიზანი ენის სწავლებაა. (დ) ხაზგასმულია ციფრული და მედიაწიგნიერების როლი და პრინციპები ენის სწავლებისას; (ე) ენობრივი განათლებისა და წიგნიერების დონის ასამაღლებლად აუცილებელია, რომ მოსწავლეთა ენობრივი უნარების გამომუშავებასა და განვითარებაში ხაზგასმულია ყველა საგნის როლი; (ვ) ხაზგასმულია განათლების ენათა ინტეგრირებული სწავლების პრინციპის დანერგვის აუცილებლობა; ხაზგასმულია ორენოვანი სწავლების მნიშვნელობა ორენოვანი წიგნიერებისთვის.

ცალკე მუხლით რეგულირდება ენობრივი განათლება არაქართულენოვან სკოლებში. არაქართულენოვანი სკოლების კონტექსტში განსაკუთრებით ხაზგასმულია ორენოვანი

განათლებისა და ორენოვანი წიგნიერების განვითარების მნიშვნელობა. მნიშვნელოვანი ჩანაწერი შემოდის იმ სკოლებისთვის, სადაც ქართულენოვანი სწავლებაა, თუმცა მოსწავლეები ეთნიკური უმცირესობები არიან: სკოლას ეძლევა უფლებამოსილება, მათ შესთავაზოს მშობლიური ენის სწავლების გაკვეთილები, თუმცა ეს მუხლი პრაქტიკაში ნაკლებად რეალიზდება (ჯაჯანიძე, 2023).

მასწავლებელთა მონაცემები და არსებული რესურსები

ზოგადი მონაცემები მასწავლებლების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე ენობრივი პოლიტიკის საკითხების განხილვისას, მნიშვნელოვანია არსებული პედაგოგიური რესურსის შეფასებაც, რადგან ამგვარი შეფასება გაცხადებული და განხორციელებული პოლიტიკის მახასიათებლების განსაზღვრის საშუალებას იძლევა. სწავლების ენის მიხედვით მასწავლებლების რაოდენობა 2015 წლიდან 2022-2023 წლებამდე ცვლილებას განიცდიდა:


ცხრილი #15.

სწავლების ენა	წელი							სხვაობა 2016-2017 წლიდან 2022-2023 წლამდე
	2016-2017	2017-2018	2018-2019	2019-2020	2020-2021	2021-2022	2022-2023	
აზერბაიჯანული	3269	3155	3148	2781	2756	2856	2734	83.6%
რუსული	1183	1054	1085	997	1051	1004	853	72.1%
სომხური	2982	2903	2874	2405	2437	2574	2499	83.8%
უკრაინული							57	
ქართული	50850	50398	50454	46251	46062	46638	45182	88.9%
სულ	58284	57510	57561	52434	52306	53072	51325	88.1%

ამ პერიოდში მასწავლებელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად არის შემცირებული, თუმცა, რაოდენობამ განსაკუთრებით 2019-2020 წლებში დაიკლო, რაც მეტწილად დაკავშირებულია საპენსიო ჯილდოს რეფორმის გატარებასთან. მასწავლებლების რაოდენობის შედარებით ინტენსიური კლებით ხასიათდება 2022-2023 (მიმდინარე) სასწავლო წელიც. კერძოდ, საჯარო სკოლებში მასწავლებლების რაოდენობა 1700-ზე მეტი მასწავლებლით შემცირდა. მეორე მხრივ, 2016-2017-დან -2022-2023 წლამდე პერიოდში, მასწავლებლების საერთო რაოდენობის შემცირება ყველაზე მეტად რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურენოვან სკოლებში, ყველაზე ნაკლებად კი ქართულენოვან სკოლებშია შემცირებული.

მეტი თვალსაჩინოებისათვის, მასწავლებლების რაოდენობრივი ცვლილება მოცემულია ქვემოთ, მე-12 დიაგრამაზე.

დიაგრამა #12



6-წლიან ჭრილში ასევე თვალსაჩინოა ცვლილებები, რომლებიც მასწავლებლების კორპუსმა პროფესიული წინსვლის კუთხით განიცადა. მე-13 ცხრილში მოცემულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების პოლიტიკის შედეგად მასწავლებლების სტატუსის ცვლილებები. 2016-2017 სასწავლო წელი მასწავლებლების პროფესიული სტატუსის მიხედვით გადანაწილების საწყის პერიოდს წარმოადგენდა; „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მასწავლებლების განაწილების წესში“ (2015 წლის 20 თებერვლის № 74 დადგენილება) შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, მენტორის სტატუსის მატარებელი მასწავლებელი სისტემაში არ არსებობდა, ხოლო მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა პრაქტიკოსის სტატუსის მატარებელი იყო

ცხრილი #13.

	მაძიებელი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე	უფროსი	წამყვანი	მენტორი
2016-2017	0.0%	71.0%	2.0%	26.8%	0.3%	0.0%
2017-2018	0.0%	66.8%	3.6%	29.3%	0.3%	0.0%
2018-2019	0.0%	55.9%	4.1%	39.2%	0.7%	0.0%
2019-2020	3.6%	21.2%	3.6%	66.2%	4.9%	0.5%
2020-2021	3.1%	16.1%	5.4%	61.2%	13.6%	0.5%
2021-2022	1.2%	5.1%	10.6%	68.4%	14.2%	0.5%
2022-2023	1.3%	4.2%	10.4%	69.7%	13.8%	0.7%

რაც შეეხება სკოლის მასწავლებლების პროფესიულ სტატუსს სკოლის ტიპის (საჯარო/კერძო) მიხედვით, მასწავლებლების პროფესიული წინსვლის დინამიკა განსხვავებულ სურათს აჩვენებს.

საჯარო სკოლები							
სასწავლო წელი	მაძიებელი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე	უფროსი	წამყვანი	მენტორი	სულ
2016-2017	0.0%	72.2%	1.3%	26.3%	0.2%	0.0%	58284
2017-2018	0.0%	68.7%	2.2%	28.8%	0.3%	0.0%	57510
2018-2019	0.0%	57.4%	2.6%	39.4%	0.6%	0.0%	57561
2019-2020	3.0%	20.8%	2.6%	68.0%	5.2%	0.5%	52434
2020-2021	2.5%	15.9%	4.3%	62.3%	14.6%	0.5%	52306
2021-2022	0.9%	5.5%	9.1%	69.0%	14.9%	0.6%	53072
2022-2023	0.9%	4.5%	9.0%	70.3%	14.6%	0.7%	51325

კერძო სკოლები							
სასწავლო წელი	მაძიებელი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე	უფროსი	წამყვანი	მენტორი	სულ
2016-2017	0.0%	57.4%	9.7%	32.1%	0.9%	0.0%	5225
2017-2018	0.0%	49.8%	15.9%	33.3%	0.9%	0.0%	6333
2018-2019	0.0%	42.3%	18.3%	38.2%	1.2%	0.0%	6419
2019-2020	9.6%	25.1%	11.9%	50.9%	2.3%	0.2%	5984
2020-2021	8.6%	18.5%	15.5%	51.8%	5.3%	0.3%	5852
2021-2022	4.3%	0.6%	27.7%	61.1%	6.0%	0.2%	4634
2022-2023	5.4%	0.4%	26.1%	63.5%	4.3%	0.3%	4791

სკოლების სტატუსის (კერძო/საჯარო) შედარება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ კერძო სექტორი პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში იმ ეთნიკური ჯგუფების ენებზე, რომლებიც სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და ნაწილობრივ, კახეთში, დომინანტ ჯგუფებს წარმოადგენენ. შესაბამისად, ის განსხვავებები, რომლებიც სტატუსის მიხედვით მასწავლებლების პროფესიული მომზადების კუთხით არსებობდა და კერძო სკოლების მასწავლებლების უფრო მაღალ მზაობაზე მიუთითებდა 2018-2019 წლამდე, არ ეხებოდათ ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელ მოსწავლეებს, რომელთა სწავლა/სწავლების ენა არ იყო ქართული (და ასევე რუსული და ინგლისური).

თუმცა, მომდევნო წლებში, საჯარო სკოლის მასწავლებლების კარიერულ კიბეზე წინსვლის ინტენსივობამ მოიმატა. 2022-2023 წელს, საჯარო სკოლაში, მასწავლებლების 70%-ზე მეტი უფროსი, 14.6% წამყვანი, და 0.7% მენტორია. პრაქტიკოსებისა და სტატუსის გარეშე მასწავლებლების წილი კი, 14%-ზე ნაკლები. მცირეა მაძიებლის სტატუსის მქონე მასწავლებლები და მათი რიცხვი 1%-ზე ნაკლებია.

ასაკობრივ ჭრილში საქართველოში, 2022-2023 წლებში მასწავლებლების კორპუსის ასეთი გადანაწილება გვაქვს:

ცხრილი #19.

ასაკობრივი კატეგორია	<20	20-25	26-30	31-35	36-40	41-45	46-50	51-55	56-60	61-65	66-70	71-75	76-80	81-87
მასწავლებლების რაოდენობა	4	939	2499	3788	5508	6784	9221	7963	7516	6499	3622	1496	227	50
წილი საერთო რაოდენობაში	0.0%	1.7%	4.5%	6.8%	9.8%	12.1%	16.4%	14.2%	13.4%	11.6%	6.5%	2.7%	0.4%	0.1%


შესაბამისად, 30 წლამდე მასწავლებლები საერთო რაოდენობის 6.1%-ს შეადგენენ, 31-45 წლისა კი - 28.7%-ს. 46-60 წლის მასწავლებლების წილი ყველაზე მაღალი, 44%-ია, ხოლო 60 წელს ზევით - 21.2%. ასეტი განაწილება აჩვენებს, რომ 2018 წელს ჩატარებული TALIS-ის მაჩვენებლები შეცვლილია, და 60 წელს ზევით მასწავლებლების რაოდენობა 26.2%-დან 21.2%-მდეა ჩამოსული, ხოლო 30 წლამდე მასწავლებლების რაოდენობა 3.9%-დან 6.1%-მდეა ასული. ამგვარი პოზიტიური დინამიკა სავარაუდოდ, საპენსიო ჯილდოსა და მასწავლებლების პროფესიაში შესვლის რეფორმასთან დაკავშირებით განხორციელებულ ცვლილებებს უკავშირდება.

მიუხედავად ამ მონაცემებისა, საქართველოში მასწავლებლების კორპუსი OCDE ქვეყნების საშუალოზე მაღალი რჩება.

ქართული (მშობლიური) ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები

განათლების საინფორმაციო მართვის სისტემის მონაცემებით, ქართული ენის მასწავლებლების რაოდენობა საჯარო და კერძო სკოლებში 8438-ია, საიდანაც საჯარო სკოლებში 7677 მასწავლებელია დასაქმებული, რაც საჯარო სექტორში დასაქმებული მასწავლებლების 10%-ს შეადგენს. მასწავლებლების ასეთი გადანაწილება მეტნაკლებად თანხვედრაშია საჯარო სკოლების წილობრივ ფარდობასთან საქართველოში.

ზოგადი ტენდენციის შესაბამისად, 2016 წლიდან დღემდე, ქართულის (მშობლიური ენისა და ლიტერატურის) ენის მასწავლებლების რაოდენობა იცვლებოდა:



როგორც ცხრილიდან ჩანს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების რაოდენობის ზრდა განსაკუთრებით თვალსაჩინოა 2017-2018 და 2022-2023 წლებში, რაც არ არის თანხვედრაში მასწავლებლების რაოდენობის დინამიკასთან. ზოგადი დინამიკა 2019 წლიდან მასწავლებლების რაოდენობის კლებას აჩვენებს.

ენობრივი პოლიტიკის კონტექსტში, მნიშვნელოვანია ენობრივი მიმართულების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე დაკვირვებაც. ქართული ენის მასწავლებლებთან მიმართებით კი, განსაკუთრებით, იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების სერტიფიცირების პროცესი პროფესიული განვითარების სქემის დასაწყისშივე, 2010 წლიდან მიმდინარეობს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია 2010 -2015 წლებში ქართული ენისა და მასწავლებლების გამოცდაზე რეგისტრაციის, გამოსვლისა და მინიმალური ზღვრის გადალახვის მაჩვენებლები. ეს მონაცემები მიუთითებს ორ ტენდენციაზე:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები საბაზისო და საშუალო საფეხურზე სწავლებისათვის უფრო დიდი ალბათობით, გადალახავენ მინიმალური კომპეტენციების ზღვარს, ვიდრე დაწყებითი (I-VI) საფეხურის მასწავლებლები.

2. მთლიანობაში, მასწავლებლების უფრო დიდი წილი რეგისტრირდებოდა და გადიოდა გამოცდაზე, ვიდრე სხვა საგნის მასწავლებლები.

მომდევნო წლებში, 2016-2017-დან 2022-2023-მდე პერიოდში, საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებლების საერთო რაოდენობის 1%-ზე მეტმა მიაღწია მენტორის სტატუსს, 73%-მდე გახდა უფროსი და 20%-ზე მეტი კი - წამყვანი მასწავლებელი. ამ მონაცემებით, ქართული ენის მასწავლებლების პროფესიული სტატუსი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს მასწავლებლების სტატუსი საშუალოდ.

	მაძიებელი	მენტორი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე	უფროსი	წამყვანი	სულ
2016-2017	0.0%	0.0%	57.5%	0.8%	41.3%	0.5%	5964
2017-2018	0.0%	0.0%	52.4%	0.9%	46.2%	0.4%	8288
2018-2019	0.0%	0.0%	41.9%	1.2%	55.8%	1.0%	6004
2019-2020	1.5%	0.9%	9.9%	1.5%	77.7%	8.6%	5406
2020-2021	1.2%	0.9%	6.4%	1.5%	67.9%	22.1%	5373
2021-2022	0.4%	1.0%	0.0%	5.8%	70.3%	22.5%	5322
2022-2023	0.3%	1.1%	0.0%	4.2%	72.6%	21.8%	7677

2022-2023 წლებში კი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების სრული რაოდენობა, 6-წლიან ჭრილში ყველაზე დინამიურმა ტემპზე მიუთითებს და მთლიანად 8438 მასწავლებელს შეადგენს (თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების ყველაზე დიდი რაოდენობა - 9326 - 2017-2018 წელს აღირიცხებოდა).

	მაძიებელი	მენტორი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე	უფროსი	წამყვანი	სულ
2016-2017			3704	84	2748	34	6570
2017-2018		4	4746	205	4321	50	9326
2018-2019		3	2734	173	3711	77	6698
2019-2020	123	48	657	149	4590	490	6057
2020-2021	107	54	438	163	4054	1231	6047
2021-2022	35	54	1	429	4107	1248	5874
2022-2023	50	90	0	466	6109	1723	8438

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები

განათლების საინფორმაციო მართვის სისტემის მონაცემებით, 2022-2023 სასწავლო წელს, არაქართულენოვანი სკოლებისთვის /სექტორებისთვის ქართული ენის მასწავლებლების საერთო რაოდენობა 914-ია, საიდანაც 13 მასწავლებელი კერძო გერმანულენოვან (2 მასწავლებელი) და რუსულენოვან (11 მასწავლებელი) სკოლაში, ხოლო დანარჩენები კი საჯარო სკოლებში არიან დასაქმებულები. სწავლების ენის მიხედვით, ქართული ენის მასწავლებლები საჯარო სკოლებში შემდეგნაირად არიან გადანაწილებულები:

ცხრილი #11.


სწავლების ენა

ქართული ენის მასწავლებლების რაოდენობა

აზერბაიჯანული	392
რუსული	144
სომხური	361
უკრაინული	4

თუ წლების დინამიკაში შევხედავთ, ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლების რაოდენობა გაიზარდა 2017-2018 სასწავლო წელს; შემდეგ წლებში იყო კლება და ბოლო ერთი წლის განმავლობაში მკვეთრად, 36%-ით არის გაზრდილი.

დიაგრამა #20.



ამ პერიოდში გერმანულენოვან და რუსულენოვან კერძო სკოლებში ქართული ენის მასწავლებლების რაოდენობა 11-დან 15-მდე მერყეობს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი რაოდენობრივი ცვლილება საჯარო სკოლებშია მოცემული. 2016-დან 2023 წლამდე საჯარო სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა პროფესიული სტატუსის უკეთესობისაკენ ცვლილება ასევე თვალსაჩინოა და 23-ე ცხრილშია წარმოდგენილი:

ცხრილი #23.

სასწავლო წელი	მაბიებელი	მენტორი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე	უფროსი	წამყვანი	სულ
2016-2017			565	5	143	4	717
2017-2018			726	29	228	4	987
2018-2019		1	440	24	214	7	686
2019-2020	10	3	204	12	348	28	605
2020-2021	6	3	163	15	326	67	580
2021-2022	1	5	72	12	425	64	579
2022-2023	6	7	92	30	668	98	901

ცხრილში კარგად ჩანს, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლების უმრავლესობა უფროსის სტატუსის მატარებელია. მეორე მხრივ, 2022-2023 წლებში, პრაქტიკოსის სტატუსის მქონე მასწავლებლების რაოდენობა (რომელიც მიღევადი საფეხურია), მომატებულია - მიუხედავად იმისა, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლების სასერთიფიკაციო გამოცდა საგნობრივი მიმართულებით, ქართული/მშობლიური ენის მასწავლებლების საგნობრივი გამოცდისგან დამოუკიდებლად მრავალი წელია მიმდინარეობს. ქართული, როგორც მეორე ენის პრაქტიკოსი მასწავლებლების არსებობა მეტწილად აიხსნება მათ მიერ ქართული ენის არასაკმარისი კომპეტენციებით, რასაც არაერთი ჩატარებული კვლევა და დაკვირვებაც

ადასტურებს. კვლავ არსებობს შემთხვევები, როდესაც არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის მასწავლებლებად დასაქმებულები არიან ადგილობრივი კადრები ალტერნატიული, კვალიფიციური კადრების დეფიციტის მოტივით.

საინტერესოა, რომ 2021-2022-წლიდან შეიცვალა ქართული ენის მასწავლებლების ოფიციალური სახელწოდებაც და თუ 2020-2021 წლამდე ისინი „ქართულის, როგორც მეორე ენის“ პედაგოგებად იყვნენ მოხსენიებულნი, 2022 წლიდან მათი სწავლების საგანი განსაზღვრულია, როგორც „ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) (ესგ)“.

რეგიონულ ჭრილში, მასწავლებლები სტატუსის მიხედვით ასე გადანაწილდებიან:

ცხრილი #24.

2022-2023	აჭარა	თბილისი	იმერეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	სულ
ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) (ესგ)	23	80	5	46	7	313	440	914
%	2.5%	8.8%	0.5%	5.0%	0.8%	34.2%	48.1%	2.5%


ყველაზე მეტი ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგი ქვემო ქართლის რეგიონშია განთესილი, რაც თანხვედრაშია არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებში მოსწავლეების რაოდენობისა. ამასთან, აჭარის, იმერეთისა და სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონებში ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები მხოლოდ რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებში არიან წარმოდგენილნი, ხოლო თბილისის სკოლების 80 მასწავლებლიდან 61 - რუსულენოვან სკოლასა და სექტორშია დასაქმებული, ხოლო 19 კი სხვა, ქართულისგან განსხვავებული სწავლების ენის სკოლასა და სექტორში,

ცხრილი #25..

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები თბილისში	აზერბაიჯანული	გერმანული	რუსული	სომხური	უკრაინული
80	8	2	61	7	2

რაც შეეხება ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლების გადანაწილებას სტატუსის მიხედვით, სურათი ასეთია:

დიაგრამა #21



დიაგრამიდან კარგად იკვეთება, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლების თითქმის 3/4 უფროსი მასწავლებლის სტატუსის მატარებელია, ხოლო წამყვანი და პრაქტიკოსი მასწავლებლები თითქმის ერთნაირი რაოდენობით - 10-10 %-ით არიან წარმოდგენილები; ისევე, როგორც მენტორი და მაძიებელი მასწავლებლები არიან წარმოდგენილები დაახლოებით ერთი და იმავე პროპორციით (0.7-0.8%). რაც შეეხება მასწავლებლებს სტატუსის გარეშე - ისინი საერთო რაოდენობის 3.3%-ს შეადგენენ.

აღსანიშნავია, რომ აჭარისა და იმერეთის რეგიონებში მასწავლებლების აბსოლუტური უმრავლესობა უფროსის ან წამყვანის სტატუსის მატარებელია, ხოლო მაძიებელი საერთოდ არ ფიქსირდება. ასევე, ამ რეგიონებში არ არის წარმოდგენილი მენტორი მასწავლებელი.

მეტი თვალსაჩინოებისათვის, წარმოვადგენთ სტატუსის მიხედვით გადანაწილების სიხშირეებს მასწავლებლის სტატუსების საერთო რაოდენობასთან მიმართებით რეგიონულ დონეზე:

ცხრილი #26.

2021-2022	აჭარა	თბილისი	იმერეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	სულ
მაძიებელი	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	33.3%	66.7%	6
მენტორი	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	100.0%	7
პრაქტიკოსი	0.0%	2.2%	0.0%	0.0%	1.1%	35.9%	60.9%	92
სტატუსის გარეშე	0.0%	0.0%	0.0%	3.3%	0.0%	23.3%	73.3%	30
უფროსი	3.2%	10.1%	0.6%	6.0%	0.9%	35.9%	43.2%	680
წამყვანი	1.0%	9.1%	1.0%	4.0%	0.0%	27.3%	57.6%	99
სულ	2.5%	8.8%	0.5%	5.0%	0.8%	34.2%	48.1%	914

თავად რეგიონებში განთესილ მასწავლებლებს შორის სტატუსის მიხედვით გადანაწილება ასეთია:

ცხრილი #27.

2022-2023	ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის /სექტორებისთვის) (ესგ)	მაძიებელი	მენტორი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე	უფროსი	წამყვანი
აჭარა	23	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	95.7%	4.3%
თბილისი	80	0.0%	0.0%	2.5%	0.0%	86.3%	11.3%
იმერეთი	5	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	80.0%	20.0%
კახეთი	46	0.0%	0.0%	0.0%	2.2%	89.1%	8.7%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	7	0.0%	0.0%	14.3%	0.0%	85.7%	0.0%
სამცხე-ჯავახეთი	313	0.6%	0.0%	10.5%	2.2%	78.0%	8.6%
ქვემო ქართლი	440	0.9%	1.6%	12.7%	5.0%	66.8%	13.0%

ცხრილიდან ჩანს, რომ აჭარაში, იმერეთსა და კახეთში პრაქტიკოსის სტატუსის მქონე მასწავლებელი საერთოდ აღარ ჰყავთ, მაშინ, როდესაც სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში პრაქტიკოსი მასწავლებლების წილი 10-14%-ს შორის მერყეობს. თუ სწავლების ენის მიხედვით გავანალიზებთ ამ მასწავლებლების სტატუსს, ასეთ სურათს მივიღებთ:

თბილისში 2 პრაქტიკოსი მასწავლებელი რუსულენოვან სკოლაშია დასაქმებული, ხოლო წამყვანი 9 მასწავლებლიდან 7 რუსულ, 1 სომხურ და 1 უკრაინულ სკოლაში. სამცხე-ჯავახეთში 33 პრაქტიკოსი მასწავლებლიდან ყველა სომხურენოვან სკოლაში/სექტორზე ასწავლის, ხოლო ქვემო ქართლის 56 პრაქტიკოსი მასწავლებლიდან 50 აზერბაიჯანულენოვან, 5 სომხურენოვან და 1 რუსულენოვან სკოლებშია გადანაწილებული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია უკავშირდება ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლების ასაკობრივ გადანაწილებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში, მოცემულია მასწავლებლების ასაკობრივი კატეგორიები და კატეგორიების მიხედვით გადანაწილება 2022-2023 სასწავლო წლისათვის.

ცხრილი #29.

მასწავლებლების ასაკი	>25	26-30	31-35	36-40	41-45	46-50	51-55	56-60	61-65	66-70	71-75	76+
რაოდენობა	15	84	103	141	117	131	92	107	72	39	11	2
წილი საერთო რაოდენობიდან	1.6%	9.2%	11.3%	15.4%	12.8%	14.3%	10.1%	11.7%	7.9%	4.3%	1.2%	0.2%

შესაბამისად, 30 წლამდე მასწავლებლები საერთო რაოდენობის 10.8%-ს შეადგენს, ხოლო, 45 წლამდე მასწავლებლები კი 39.5%-ს. 46-60 კატეგორიაშია განთავსებული 36.1% მასწავლებლებისა. ხოლო 13.6%-მასწავლებლები კი 60 წელზე მეტისაა. ამ მონაცემებით, ქართულის, როგორც მეორე

ენის მასწავლებლების კორპუსი მნიშვნელოვნად ახალგაზრდაა საქართველოს მასწავლებლების საშუალო ოდენობასთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტენდენციის ზუსტი მიზეზები უცნობია (დამატებით კვლევას საჭიროებს), შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლების დაბალი ასაკი შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე ფაქტორით:

1. ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებთან მიმართებით სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმისადმი ინტერესით;
2. ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლების მაღალი მოთხოვნით როგორც სკოლებში, ასევე ადგილობრივ თემებში;
3. 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის ე.წ. ასისტენტ მასწავლებლებების პროგრამის, „ეთნიკური უმცირესობების სკოლების დახმარების პროგრამისა“ და კონსულტანტ მასწავლებლების პროგრამის არსებობით.

არაქართულენოვანი სკოლების მშობლიური ენის მასწავლებლები (ეროვნული უმცირესობების ენები)


განათლების ჭრილში ენობრივი პოლიტიკის ანალიზისას, მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების სკოლების მშობლიური ენის მასწავლებლები. სტატისტიკის მიხედვით, 2016-2017 წლებში, მშობლიური ენის მასწავლებლები არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებზე, 2776 პირს შეადგენდა, რომლებიც სწავლების ენის მიხედვით, ცხრილში მოცემული რაოდენობით იყვნენ სკოლებში გადანაწილებულები.

ცხრილი #30.

მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები) 2016- %		
27 სასწავლო წელს		
აზერბაიჯანული	1228	44.3%
რუსული	456	16.4%
სომხური	1091	39.3%
სულ	2775	

მომდევნო წლებში მშობლიური ენის მასწავლებლების რაოდენობა წარმოდგენილია დიაგრამაზე.


დიაგრამა #22.



თვალსაჩინოა, რომ მომდევნო წლებში, მშობლიური ენის მასწავლებლების რაოდენობა კლების მკაფიო დინამიკით ხასიათდება. 2017-2018 წელს, მშობლიური ენის მასწავლებლების რაოდენობა წინა წელთან შედარებით, ორი მესამედით არის შემცირებული. მხოლოდ 2021-2022 და 2022-2023 წლებში ფიქსირდება მცირე მატება. თუმცა, 2016-2017-დან 2022-2023 წლამდე, მასწავლებლების რაოდენობა 2047 ადამიანით შემცირდა, და მთლიანობაში, საწყისი რაოდენობის 26.2% შეადგინა.

თუ მასწავლებლების პროფილს მშობლიური ენის მიხედვით გავანალიზებთ, აქაც ჩანს გარკვეული სხვაობა რაც მომდევნო დიაგრამაზე არის წარმოდგენილი;

დიაგრამა #23.



მასწავლებლების მკვეთრი კლებისათვის, სხვადასხვა ფაქტორს შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაოდენობის ასაკობრივ ჯგუფში ანალიზია. 2016-2017 წლის მონაცემების მიხედვით, მშობლიური ენის მასწავლებლების 51%-ზე მეტი 50 წელზე მეტი ასაკის იყო, საიდანაც, 5%-ზე მეტი 70 წელს იყო გადაცილებული.

ცხრილი #31.

ასაკობრივი ჯგუფი	<20	20-25	26-30	31-35	36-40	41-45	46-50	51-55	56-60	61-65	66-70	71-75	76-86
მასწავლებლების რაოდენობა	1	35	131	240	249	266	295	383	413	371	249	77	65
მასწავლებლის წილი	0.0%	1.3%	4.7%	8.6%	9.0%	9.6%	10.6%	13.8%	14.9%	13.4%	9.0%	2.8%	2.3%

ამ მოცემულობაში, 6-წლიან დინამიკაში, მასწავლებლების რაოდენობრივი შენარჩუნების მნიშვნელოვან წინაპირობას დაბერებული კადრების ახლით ჩანაცვლება წარმოადგენს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი მშობლიური ენის მასწავლებელს არ ამზადებს, ბუნებრივია, მშობლიური ენის მასწავლებლების ჩანაცვლება ვერ ხორციელდება.

მეორე მხრივ, მშობლიური ენის მასწავლებლების კადრების შემცირება და ახალგაზრდა პროფესიონალების არარსებობა ენობრივი პოლიტიკის ხედვებთან არის დაკავშირებული, რომელიც არ ეხმიანება ენის ეკოლოგიის კონცეფციას, განსაკუთრებით კი იმ ფონზე, როდესაც რამდენიმე წლის ჭრილში, არაქართულენოვანი სკოლების რაოდენობა არ შემცირებულა, მშობლიური ენის მასწავლებლების რაოდენობრივი კლება კი თვალსაჩინოა.

რაც შეეხება მასწავლებლების პროფესიულ სტატუსს: იმდენად, რამდენადაც მშობლიური ენის მასწავლებლებს 2021 წელს პირველად მიეცათ ტესტირების გავლის და კვალიფიკაციის დადასტურების საშუალება, ტესტირების შედეგები და, შესაბამისად, სტატუსის ცვლილება, 2021-2022 სასწავლო წლიდან აისახა:

ცხრილი #33.

	2020-2021			2021-2022			2022-2023		
	აზერბაიჯანული	რუსული	სომხური	აზერბაიჯანული	რუსული	სომხური	აზერბაიჯანული	რუსული	სომხური
მამიებელი	2.3%	5.3%	2.5%	1.8%	1.7%	0.4%	1.3%	0.0%	0.4%
პრაქტიკოსი	85.6%	34.8%	86.0%	70.5%	9.6%	70.7%	73.5%	7.4%	47.7%
სტატუსის გარეშე	10.5%	0.8%	6.2%	16.7%	1.7%	8.1%	16.1%	2.5%	7.9%
უფროსი	1.6%	56.8%	5.4%	11.0%	82.6%	20.7%	16.1%	87.6%	44.1%
წამყვანი	0.0%	2.3%	0.0%	0.0%	4.3%	0.0%	0.0%	2.5%	0.0%

ცხრილში თვალსაჩინოა რუსულენოვანი მასწავლებლების მაღალი დონე პროფესიული სტატუსის თვალსაზრისით. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ რუსულის (მშობლიური) ენის მასწავლებლებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჰქონდათ პროფესიული კვალიფიკაციის დადასტურების შესაძლებლობა რუსულის, როგორც უცხოური ენის კომპეტენციების დადასტურების საშუალებით. თუმცა, ის, რომ მშობლიური ენის მასწავლებლების პროფესიული ზრდის თვალსაზრისით, სწავლების ენის მიხედვით განსხვავება იკვეთება, კარგად ჩანს 2022-2023 წელს სომხურის, როგორც მშობლიური ენის მასწავლებლების მნიშვნელოვანი ნაწილი პრაქტიკოსის სტატუსიდან უფროსის სტატუსისკენ ინაცვლებს და შესაბამისად, განსხვავება მნიშვნელოვანია აზერბაიჯანული, როგორც მშობლიური ენის მასწავლებლებთან შედარებით.


2021-2022 წლებში, ეთნიკური ენის პრაქტიკოსის სტატუსის მქონე მასწავლებლების რაოდენობა პრაქტიკულად ერთნაირი იყო. თუმცა, 2022-2023 წელს, აზერბაიჯანულ სკოლებში მშობლიური ენის

პრაქტიკოსი მასწავლებლების წილი გაზრდილია, ხოლო სომხურენოვნების კი, პრაქტიკულად ^{1/3}-ით არის გაუმჯობესებული.


საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ბოლო წლებში შეცვლილია საგნისა და მასწავლებლების სტატუსის სახელწოდება და „მშობლიური ენის“ მაგივრად, აზერბაიჯანული, სომხური და რუსული ენები „ეთნიკური უმცირესობების ენების“ სახელით არის განხილული ახალ, 2022-2030 წლების განათლების ეროვნულ სტრატეგიაში, ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ასევე მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის განახლებულ დოკუმენტში, რაც ასევე ენობრივი პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგია, თუმცა არგუმენტაცია საჯაროდ არ განხილულა და არ არის ოფიციალურ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი.

უცხოური, როგორც მეორე და მესამე ენის არჩევანი და სწავლა-სწავლების შესაძლებლობები

უცხოური ენის სწავლებას თუკი შვიდწლიან ჭრილში შევხედავთ, მასწავლებლების რაოდენობა მთლიანობაში 21.2%-ით არის შემცირებული.



საჯარო სკოლებში მასწავლებლების რაოდენობა ასევე შემცირებულია; ზოგადად, მასწავლებლების საერთო რაოდენობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 19%-ით არის შემცირებული.



ამავდროულად, უცხოური ენის მასწავლებლების შემცირება მასწავლებლების შემცირების ზოგადი მაჩვენებლისგან განსხვავდება, რაც იმავე წლებისათვის 11.6%-ია. შეფარდება მასწავლებლების საერთო რაოდენობასთან მიმართებით, 2016-2017-დან 2022-2023 წლამდე

პერიოდში ასევე შემცირებულია და 2016-2017 წლის 17 პროცენტისა და 2022-2023 წელს 15.2 პროცენტს შეადგენს.

2016-2017	2017-2018	2018-2019	2019-2020	2020-2021	2021-2022	2022-2023
17.05%	16.00%	16.5%	16.7%	16.7%	16.7%	15.2%

მასწავლებლების რაოდენობრივი ცვლილება არაერთგვაროვანია სწავლების ენების და მათი ფუნქციის თვალსაზრისითაც:

სწავლების ენა / მასწავლებლები	2016-2017	2017-2018	2018-2019	2019-2020	2020-2021	2021-2022	2022-2023
არჩევითი - მესამე უცხოური ენა (გერმანული)	54	85	64	57	57	53	78
არჩევითი - მესამე უცხოური ენა (ესპანური)				4	4	2	4
არჩევითი - მესამე უცხოური ენა (თურქული)				2	1	2	5
არჩევითი - მესამე უცხოური ენა (იაპონური)				1			
არჩევითი - მესამე უცხოური ენა (იტალიური)				9	12	9	1
არჩევითი - მესამე უცხოური ენა (რუსული)				26	18	16	9
არჩევითი - მესამე უცხოური ენა (ფრანგული)				21	30	22	19
სულ მესამე უცხოური ენა	54	85	64	120	122	117	116
დამატებითი მომსახურება - მესამე უცხოური ენა (თურქული ენა)							
დამატებითი მომსახურება - მესამე უცხოური ენა (იტალიური ენა)						1	1
დამატებითი მომსახურება - მესამე უცხოური ენა (რუსული ენა)						1	
მეორე უცხოური ენა (გერმანული)	480	518	468	427	443	406	444
მეორე უცხოური ენა (ესპანური)	10	12	10	6	11		3
მეორე უცხოური ენა (თურქული)	7	5	4	2	3	1	3
მეორე უცხოური ენა (ინგლისური)				12			
მეორე უცხოური ენა (იტალიური)			17	14	16	16	24
მეორე უცხოური ენა (რუსული)	379	318	3751	3307	3296	3258	2540
მეორე უცხოური ენა (ფრანგული)	136	142	137	94	93	104	108
პირველი უცხოური ენა (ინგლისური)	633	606	6110	5729	5755	5585	5255
პირველი უცხოური ენა (რუსული)				1			
პირველი უცხოური ენა (ფრანგული)				15			
სულ			10561	9727	9739	9610	8530


⁴ 2016-დან 2018 წლამდე პერიოდში, ინგლისურ ენას არ გააჩნდა ერთადერთი პირველი უცხოური ენის სტატუსი.

2018-2019 წლიდან 2019-2020 სასწავლო წელს სწავლების ენის სტატუსსა და მასწავლებლების რაოდენობაში განსხვავებები გამოწვეულია იმ ცვლილებებით, რომლებიც კანონმდებლობაში განხორციელდა. როგორც ცხრილში იკითხება, ამ წელს, წინა წლებისგან განსხვავებით, გაზრდილია არჩევითი, მესამე უცხოური მასწავლებლების რაოდენობა და, პრაქტიკულად, გაორმაგებულია.

რაც შეეხება მეორე უცხოურ ენებს, ცხრილში ასევე კარგად იკვეთება, რომ რუსულის, როგორც მეორე უცხოური ენის მასწავლებლების შემცირების დინამიკა რეგულარულია წლიდან წლამდე. 2016- 2017 წლიდან 2022-2023 წლამდე, რუსულის, როგორც მეორე უცხოური ენის მასწავლებლების რაოდენობა 1259-ით (32.2%) არის შემცირებული. ასევე, რუსულის, როგორც მესამე, არჩევითი ენის მასწავლებლების რაოდენობაც ბოლო 4 წლის დინამიკაში, შემცირებულია. მასწავლებლების რაოდენობის სისტემური კლება იკვეთება ინგლისურის, როგორც პირველი უცხოური ენის შემთხვევაშიც. 2016-2017 წლიდან, 2022-2023 წლამდე პერიოდში, მასწავლებლების რაოდენობა 1084-ით (13%) არის შემცირებული, რაც მასწავლებლების რაოდენობის საერთო ცვლილების, 11.6%-ით შემცირების მაჩვენებელზე მეტია.

უცხოური ენების მასწავლებლების რაოდენობის ცვლილება მეტწილად ინგლისურისა და რუსული ენის მასწავლებლების რაოდენობრივი ცვლილებების დინამიკით არის განპირობებული. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ყველა სხვა უცხოური ენის მასწავლებლების რაოდენობა მცირედად, მაგრამ გაზრდილია. ამ ტენდენციის საპირისპიროდ, 2021-2022 სასწავლო წლიდან 2022-2023 სასწავლო წლების განმავლობაში, რუსული და ინგლისური ენის მასწავლებლების რაოდენობა შემცირებულია. შემცირების წლების მიხედვით ანალიზი აჩვენებს, რომ მასწავლებლების რაოდენობა საპენსიო რეფორმის ფარგლებში განსაკუთრებით არის შემცირებული, რაც ადასტურებს უცხოური ენის მასწავლებლების დაბერების ტენდენციას.

ამავდროულად, უფრო მაღალი პროფესიული სტატუსის მქონე უცხოური ენის მასწავლებლის წილი უფრო მაღალია, ვიდრე მთლიანად, ყველა საგნის მასწავლებლისა. სტატუსის მიხედვით მასწავლებლების განაწილება 3-წლიან ჭრილში, მოცემულია დიაგრამაში.



დიაგრამიდან კარგად ჩანს, რომ 2023 წლისათვის უცხოური ენის მასწავლებლების მეტი პროცენტი არის როგორც უფროსი, ასევე წამყვანის სტატუსის მქონე - მთლიანად მასწავლებლების პროცენტულ მაჩვენებელთან შედარებით.

რაც შეეხება რეგიონულ გადანაწილებას, მასწავლებლების რაოდენობა რეგიონის დონეზე შემდეგნაირად არის გამოხატული:

რეგიონი	2018-2019	2019-2020	2020-2021	2021-2022	2022-2023
აფხაზეთი	56	36	37	49	42
აჭარა	1079	1003	1016	974	885
გურია	368	300	313	339	282
თბილისი	2687	2560	2549	2310	2205
იმერეთი	1594	1542	1468	1466	1372
კახეთი	772	691	698	735	675
მცხეთა-მთიანეთი	304	268	263	284	224
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	163	147	156	158	108
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1020	947	926	888	781
სამცხე-ჯავახეთი	669	595	617	586	499
ქვემო ქართლი	1180	1046	1062	1066	878
შიდა ქართლი	669	592	634	638	579
სულ	10561	9727	9739	9493	8530

რეგიონების მიხედვით მასწავლებლების რაოდენობრივი ცვლილება გვაჩვენებს, რომ ზოგიერთ რეგიონში მასწავლებლების უფრო დიდი წილია შემცირებული, რაც მეტ-ნაკლებად თანხვედრაშია მასწავლებლების რაოდენობის საერთო ცვლილებასთან შესაბამის წლებში.

თუმცა, რეგიონულ ჭრილში საინტერესოა მეორე უცხოური და მესამე, არჩევითი უცხოური ენის მასწავლებლების გადანაწილება, რაც მიუთითებს გეოგრაფიული განფენილობის მიხედვით, მოსწავლეების არჩევითი უცხოური ენის დაუფლების განსხვავებულ შესაძლებლობებს.

სამწლიან ჭრილში, ყველაზე მეტად, ინგლისური ენის მასწავლებლების რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლშია შემცირებული. იმ შემთხვევაში, თუ რაჭა-ლეჩხუმში მასწავლებლების შემცირება მაღალი მიგრაციის ხარისხსა და

მოსწავლეების მკვეთრ შემცირებას შეიძლება უკავშირდებოდეს, დანარჩენ ორ რეგიონში, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური განსახლებით და მოსწავლეების პოპულაციის მზარდი მაჩვენებლით ხასიათდება, მასწავლებლების რაოდენობის მეტ შემცირებას სხვა რეგიონების მასწავლებლებს შორის, დამატებით ანალიზს საჭიროებს და ენობრივი პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების საკითხებს უკავშირდება. შესაძლებელია, რომ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში არაქართულენოვანი სკოლების სიუხვე, ენობრივი პრიორიტეტები, სკოლის რესურსების ხელმისაწვდომობა და ენათაშორისი გადანაწილების ხედვები მესამე უცხოური ენის სწავლა-სწავლების საკითხებს ნაკლებად მნიშვნელოვან დატვირთვას ანიჭებდეს.

რუსული ენის მასწავლებლების შემცირების დინამიკა განსაკუთრებით საგრძნობია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, ასევე, შედარებით მაღალია მცხეთა-მთიანეთში. სხვა რეგიონებში, მასწავლებლების რაოდენობის მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეიმჩნევა. სავარაუდოდ, რუსული ენის მასწავლებლების შემცირება საგნის მასწავლებლების დაბერების პრობლემებს და არა ენისადმი ინტერესის გაქრობას უკავშირდება.

რაც შეეხება გეოგრაფიულ განფენილობას, უცხოური ენის მასწავლებლების საშუალო რაოდენობა სოფელსა და ქალაქში მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ქალაქის სკოლებში მასწავლებლების საშუალო შეფარდება სკოლების რაოდენობასთან არის 1:6,96. სოფლის სკოლებში კი, უცხოური ენების მასწავლებლების შეფარდება სკოლებთან 1:2.46-ია. მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში უცხოური ენის მასწავლებლების წილი თანხვედრაშია ქალაქისა და სოფლის სკოლებში მოსწავლეების რაოდენობის წილთან, იკვეთება არა რაოდენობრივი დანაკლისი, არამედ არჩევანის სიმცირე სოფლის სკოლების მოსწავლეებისათვის.

ცხრილში კარგად ჩანს, რომ სოფლის სკოლებში მეორე და მესამე ენების არჩევანი შეზღუდულია, ხოლო უცხოური ენის მასწავლებლების 95.5%-ს რუსულის ან ინგლისურის მასწავლებლები შეადგენენ.

სოფლის სკოლები	სულ უცხოური ენის მასწავლებლების რაოდენობა	არჩევითი - მესამე (გერმანული)	არჩევითი - მესამე (რუსული)	არჩევითი - მესამე (ფრანგული)	მეორე უცხოური ენა (გერმანული)	მეორე უცხოური ენა (რუსული)	მეორე უცხოური ენა (ფრანგული)	პირველი უცხოური ენა (ინგლისური)
აფხაზეთი	12				2	4		6
აჭარა	433	2		2	1	154		274
გურია	191	1		1	6	64	1	118

თბილისი								
იმერეთი	642	4	1	2	44	199	3	389
კახეთი	483	4		1	8	155	5	310
მცხეთა-მთიანეთი	175				9	55	3	108
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	91			2	9	27		53
სამეგრელო-ზემო სვანეთი	486	3	1	1	24	159		298
სამცხე-ჯავახეთი	356	1			6	119	1	229
ქვემო ქართლი	538	1	1		7	175	1	353
შიდა ქართლი	361	4	2	2	4	127		222
სულ	3768	20	5	11	120	1238	14	2360

კიდევ უფრო მცირეა უცხოური ენის არჩევანი 46 დაბის სკოლაში, სადაც 161 უცხოური ენის მასწავლებლიდან, 155 (96.3%) მასწავლებელი რუსულისა და ინგლისურისაა. თუმცა, მასწავლებლების შეფარდება სკოლების რაოდენობასთან, 3.5-ია.

რაც შეეხება ქალაქის სკოლებს, რუსულისა და ინგლისური ენის მასწავლებლების წილი უცხოური ენის მასწავლებლების რაოდენობის 89.1%-ს შეადგენს. ფრანგული ენის მასწავლებლები ქალაქის სკოლების 13%-ში ნაწილდება, ხოლო გერმანული ენის მასწავლებლები კი სკოლების 54%-ში გერმანულის, როგორც მეორე ან მესამე უცხოური ენის სწავლებას ახორციელებენ.

მეორე მხრივ, ინგლისური და რუსული ენის მასწავლებლების პროფესიული სტატუსი გეოგრაფიული განსახლების მიხედვით ასევე განსხვავებულია და სასოფლო და დაბის ტიპის დასახლების სკოლებში წამყვანის სტატუსის მქონე უცხოური ენის მასწავლებლების რაოდენობა თითქმის ორჯერ ნაკლებია.

რუსული ენის მასწავლებლები							
ი საჯარო სკოლებში	მაძიებელი	მენტორ	პრაქტიკოსი	სტატუსი ს გარეშე	უფროსი	წამყვანი	სულ
ქალაქი	0.0%	0.5%	0.3%	0.2%	83.8%	15.2%	1017
დაბა	0.0%	1.9%	0.0%	5.8%	82.7%	9.6%	52
სოფელი	0.2%	0.2%	3.5%	5.1%	82.0%	8.9%	1245
სულ	2	9	47	69	1916	271	2314

განსხვავება მნიშვნელოვანია ინგლისური ენის წამყვანი მასწავლებლების წილის შემთხვევაში, რაც სტატუსის არმქონე მეტი მასწავლებლის რაოდენობით აიხსნება დაბისა და სოფლის სკოლებში.

ინგლისური ენის მასწავლებლები							
საჯარო სკოლებში	მაძიებელი	მენტორი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე	უფროსი	წამყვანი	სულ
ქალაქი	0.0%	1.7%	0.3%	1.5%	75.4%	21.1%	2091
დაბა	0.0%	1.0%	0.0%	4.9%	76.7%	17.5%	103
სოფელი	1.4%	0.3%	4.1%	6.6%	74.5%	13.2%	2361
სულ	34	43	102	192	3414	770	4555

უცხოური ენის მასწავლებლების მონაცემების ანალიზი სკოლაში სწავლების ენის მიხედვით რამდენიმე ტენდენციას აჩვენებს:

1. მეორე უცხოური ენის არჩევანი, გარდა რუსულისა, შეზღუდულია იმ სკოლებში, სადაც სწავლების ენა სხვაა, ვიდრე ქართული.
2. რუსულის, როგორც უცხოური ენის მასწავლებლების წილი ქართულენოვან სკოლებში ყველა სხვა უცხოური ენის მასწავლებლების 31%-ზე მეტს შეადგენს.
3. რუსული ენა არაქართულენოვანი სწავლების სკოლებში, პრაქტიკულად უალტერნატივო უცხოური ენაა; რუსული ენის მასწავლებლების პროპორცია/ ხვედრითი წილი ამ სკოლებში მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ქართულენოვანი სკოლების რუსულის, როგორც მეორე უცხოური ენის მასწავლებლების წილს.
4. ინგლისური ენის მასწავლებლების თანაფარდობა სკოლასთან განსხვავებულია სწავლების ენების მიხედვით და ყველაზე მაღალია ქართულენოვან სკოლებში (საშუალოდ 2.33 მასწავლებელი სკოლაზე). რასაც მოჰყვება მეორე სიდიდის თანაფარდობა რუსულენოვან სკოლებში (საშუალოდ 1.8 მასწავლებელი სკოლასა და სექტორზე) და წარმოადგენს 1.33 მასწავლებელს აზერბაიჯანულ და სომხურენოვან სკოლებსა და სექტორებზე. მიუხედავად იმ სხვაობისა, რაც სკოლების ზომის მიხედვით იკვეთება სკოლებში, იმის გათვალისწინებით, რომ ქართულენოვან სკოლებში მეორე უცხოური ენის 420 მასწავლებელი ასწავლის უცხოურ ენას, რომელიც სხვაა და არა ინგლისური, უცხოური ენის მასწავლებლების გადანაწილება სკოლის სწავლების ენის მიხედვით დისპროპორციულია და მიუთითებს როგორც მეორე უცხოური ენის არჩევანის, ასევე პედაგოგიური რესურსის არათანაბარ წვდომაზე.

სწავლების ენა	აზერბაიჯანული	რუსული	სომხური	უკრაინული	ქართული	სულ
არჩევითი - მესამე უცხოური ენა (გერმანული)					63	63
არჩევითი - მესამე უცხოური ენა (ესპანური)					2	2
არჩევითი - მესამე უცხოური ენა (თურქული)					2	2
არჩევითი - მესამე უცხოური ენა (იტალიური)					8	8

არჩევითი - მესამე უცხოური ენა (რუსული)					15	15
არჩევითი - მესამე უცხოური ენა (ფრანგული)					29	29
დამატებითი მომსახურება - მესამე უცხოური ენა (იტალიური ენა)					1	1
მეორე უცხოური ენა (გერმანული)	1	5	2		344	352
მეორე უცხოური ენა (თურქული)					2	2
მეორე უცხოური ენა (იტალიური)		1			15	16
მეორე უცხოური ენა (რუსული)	89	1	97		2112	2299
მეორე უცხოური ენა (ფრანგული)		4			59	63
პირველი უცხოური ენა (ინგლისური)	209-	85	168	8	4085	4555
სულ	299	96	267	8	6737	7407

ჩვენ საინტერესოდ მივიჩნიეთ მასწავლებლების პროფესიული სტატუსის ანალიზი რეგიონებისა და სკოლაში სწავლების ენის მიხედვითაც;

ინგლისური როგორც პირველი უცხოური ენის მასწავლებლები	მაძიებელი	მენტორი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე	უფროსი	წამყვანი	სულ
აფხაზეთი	0.0%	0.0%	0.0%	18.8%	81.3%	0.0%	16
აჭარა	0.0%	0.4%	0.0%	9.5%	79.1%	11.1%	253
გურია	0.0%	2.2%	0.0%	1.1%	79.1%	17.6%	91
თბილისი	0.0%	0.2%	0.2%	0.0%	87.9%	11.7%	428
იმერეთი	0.3%	0.8%	0.0%	1.7%	77.7%	19.5%	359
კახეთი	0.5%	0.5%	1.0%	1.9%	88.9%	7.2%	208
მცხეთა-მთიანეთი	0.0%	0.0%	0.0%	1.4%	87.0%	11.6%	69
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0.0%	0.0%	0.0%	9.4%	87.5%	3.1%	32
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0.0%	0.0%	0.0%	3.5%	81.4%	15.2%	231
სამცხე-ჯავახეთი	0.0%	0.0%	9.3%	4.3%	84.0%	2.5%	162
ქვემო ქართლი	0.0%	0.0%	10.5%	4.0%	81.5%	4.0%	275
შიდა ქართლი	0.0%	0.5%	0.0%	0.5%	81.6%	17.4%	190
სულ	0.1%	0.4%	2.0%	3.0%	82.8%	11.7%	2314

რეგიონების ჭრილში კარგად ჩანს: მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში რუსული ენის მასწავლებლების უმეტესი წილი უფროსის ან წამყვანის პროფესიულ სტატუსს ფლობს, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში პრაქტიკოსი და სტატუსის გარეშე მასწავლებლების წილი მნიშვნელოვნად მეტია სხვა რეგიონების მოცემულობაზე. ხოლო, მასწავლებლები სტატუსის გარეშე, თითქმის 20% შეადგენს აფხაზეთის სკოლებში, დაახლოებით 10%-ს - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, ასევე - აჭარის რეგიონებში.

სწავლების ენის მიხედვით, რეგიონებში ასევე თვალსაჩინოა განსხვავება, რომელიც ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიულ სტატუსებს შორის არსებობს; აზერბაიჯანულენოვან სკოლებში, კახეთსა და ქვემო ქართლში, მასწავლებლების დიდი ნაწილი პრაქტიკოსის სტატუსის

მქონეა. ისევე, როგორც ბევრია მასწავლებელი სტატუსის გარეშე, რაც შესაბამისად აისახება უფროსი და წამყვანი სტატუსის მქონე მასწავლებლების წილზე. თუმცა, თბილისში მსგავსი ტენდენცია არ ფიქსირდება, რაც აჩვენებს, რომ სწავლების ენა გავლენას ახდენს მასწავლებლის პროფესიულ სტატუსზე რეგინების მიხედვით. რაც შეეხება სომხურენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიულ სტატუსს, ამ შემთხვევაშიც, პრაქტიკულად არ გვხვდება წამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებლები.

საინტერესოა რუსულენოვან სკოლებში ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული სტატუსიც, რომელიც ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში, სრულად უფროსი მასწავლებლის სტატუსით არის მოცემული, თუმცა, თბილისში ინგლისური ენის მასწავლებლების წილი ქართულენოვან სკოლებში წამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებლების წილს უახლოვდება.

რეგიონი	მაძიებელი	მენტორი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე	უფროსი	წამყვანი	სულ
აჭარა	0.0%	0.4%	0.0%	9.2%	79.8%	10.7%	262
რუსული	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	100.0%	0.0%	9
ქართული	0.0%	0.4%	0.0%	9.5%	79.1%	11.1%	253
თბილისი	0.0%	0.2%	0.4%	0.0%	88.6%	10.8%	472
აზერბაიჯანული	0.0%	0.0%	33.3%	0.0%	66.7%	0.0%	3
რუსული	0.0%	0.0%	2.3%	0.0%	95.5%	2.3%	44
სომხური	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	100.0%	0.0%	2
ქართული	0.0%	0.2%	0.0%	0.0%	87.9%	11.8%	423
იმერეთი	0.3%	0.8%	0.0%	1.7%	78.0%	19.3%	363
რუსული	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	100.0%	0.0%	4
ქართული	0.3%	0.8%	0.0%	1.7%	77.7%	19.5%	359
კახეთი	0.5%	0.5%	1.0%	1.9%	88.9%	7.2%	208
აზერბაიჯანული	0.0%	0.0%	20.0%	20.0%	60.0%	0.0%	5
რუსული	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	100.0%	0.0%	1
სომხური	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	100.0%	0.0%	1
ქართული	0.5%	0.5%	0.5%	1.5%	89.6%	7.5%	201
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0.0%	0.0%	0.0%	3.4%	81.7%	14.9%	235
რუსული	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	100.0%	0.0%	4
ქართული	0.0%	0.0%	0.0%	3.5%	81.4%	15.2%	231
სამცხე-ჯავახეთი	0.0%	0.0%	10.6%	3.9%	82.1%	3.4%	179
რუსული	0.0%	0.0%	23.5%	0.0%	64.7%	11.8%	17
სომხური	0.0%	0.0%	18.8%	2.5%	78.8%	0.0%	80
ქართული	0.0%	0.0%	0.0%	6.1%	89.0%	4.9%	82
ქვემო ქართლი	0.0%	0.0%	10.0%	4.5%	82.0%	3.5%	311
აზერბაიჯანული	0.0%	0.0%	32.1%	7.4%	59.3%	1.2%	81
რუსული	0.0%	0.0%	5.6%	8.3%	86.1%	0.0%	36
სომხური	0.0%	0.0%	21.4%	7.1%	71.4%	0.0%	14
ქართული	0.0%	0.0%	0.0%	2.2%	92.2%	5.6%	180

რუსულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლების პროფესიული სტატუსი დამოკიდებულია როგორც რეგიონზე, ასევე სწავლების ენაზე. ზემოთ მოცემულ ცხრილში კარგად ისახება, რომ პრაქტიკოსის სტატუსის ან სტატუსის არმქონე მასწავლებლები განაწილებულნი არიან სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულენოვან სკოლებში, თუმცა, პრაქტიკულად არ გვხვდებიან ქართულენოვან სკოლებში არცერთ რეგიონში. ამავდროულად, ყველა რეგიონის აზერბაიჯანულენოვან სკოლებში მასწავლებლების დიდი ნაწილი სტატუსის გარეშე ან პრაქტიკოსის სტატუსიანია, ხოლო სომხურენოვან და რუსულენოვან სკოლებში (რუსულენოვანი სკოლების შემთხვევაში, ქართული ან სხვა სწავლების ენის სექტორი), მასწავლებლები უფროსი და წამყვანი მასწავლებლების სტატუსს შორის ნაწილდებიან, მეტ-ნაკლები პრაქტიკოსი და/ან სტატუსის არმქონე მასწავლებლების წილით. თუმცა, რეგიონი გავლენას ახდენს მასწავლებლების სტატუსზე, სადაც თბილისში სტატუსის გარეშე მასწავლებელი არც ერთი სწავლების ენის სკოლაში არ არის დასაქმებული, ხოლო ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში, რუსული ენის მასწავლებლები სტატუსის გარეშე, ქართულენოვან სკოლებშიც გვხვდებიან.

მიგნებები

ამრიგად, მასწავლებელთა მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ:

1. უცხოური ენის მასწავლებლების პროფესიული სტატუსი მთლიანობაში უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს მასწავლებლების სტატუსი ზოგადად;
2. უცხოური ენის მასწავლებლების რაოდენობა სკოლებში უფრო მკვეთრად არის შემცირებული საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ვიდრე ზოგადად მასწავლებლების რაოდენობა;
3. საჯარო სკოლებში უცხოური ენის მასწავლებლების რაოდენობა ნაკლებად არის შემცირებული, ვიდრე კერძო სკოლებში, რაც მეტწილად საპენსიო ჯილდოს გავლენის შედეგია.
4. რეგიონებში ინგლისურისა და რუსული ენის მასწავლებლების წილი უცხოური ენის მასწავლებლებთან მიმართებით უფრო მაღალია, ვიდრე თბილისში;
5. სოფლებსა და დაბებში უცხოური ენის მასწავლებლები უფრო მაღალი წილით არის წარმოდგენილი რუსული, როგორც მეორე უცხოური ენის სახით, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სოფლისა და დაბის სკოლების მოსწავლეებს უფრო ნაკლები არჩევანი აქვთ უცხოური ენის სწავლა-სწავლებისათვის.

6. ქალაქის სკოლებში, ინგლისურისა და რუსული ენის მასწავლებლებს, მთლიანობაში, უფრო მაღალი პროფესიული სტატუსი გააჩნიათ სოფლის სკოლებთან შედარებით.
7. განსხვავება იკვეთება მასწავლებლების პროფესიულ სტატუსში როგორც სწავლების ენის მიხედვით ზოგადად, ასევე სწავლების ენებს შორის, რეგიონულ ჭრილში.
8. განსხვავება იკვეთება მასწავლებლების პროფესიულ სტატუსში როგორც ქართულენოვან სკოლებსა და ქართულის გარდა სწავლების ენის სკოლებს შორის, ასევე აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულენოვან სკოლის მასწავლებლების პროფესიული სტატუსის თვალსაზრისითაც.
9. განსხვავებულია უცხოური ენის მასწავლებლების პროპორცია სკოლების რაოდენობასთან სწავლების ენის მიხედვით - როგორც ინგლისურის, ასევე რუსულის, როგორც მეორე უცხოური ენისათვის.

მცირე ეთნიკური უმცირესობების ენების მასწავლებლები

მცირე ეთნიკური უმცირესობების ენები ასახულია სასწავლო გეგმებში და ისწავლება იმ თემებში, სადაც ამ ენების წარმომადგენელი ბავშვები სწავლობენ. საგანი არჩევითია და სწავლების საათობრივი ბადა არ არის სასწავლო გეგმის მიხედვით გაწერილი.

ქვემო წარმოდგენილია ამ ენების მასწავლებელთა რაოდენობა 6-წლიან ჭრილში:

2016-2017 სასწავლო წელს, მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობის ენა, როგორც არჩევითი საგანი, 8 სკოლაში იყო შეთავაზებული და ამ ენების 9 მასწავლებელი იყო დასაქმებული. ამ წელს არჩევითი საგანი თბილისის ორ და რეგიონის (ძირითადად კახეთის) 6 სკოლაში იყო შეთავაზებული. 2017-2018 წელს, არჩევითი მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობის ენის სწავლება გაფართოვდა და უკვე 11 სკოლაში 20 მასწავლებელი ასწავლიდა. საიდანაც, სამი მასწავლებელი ქვემო ქართლის კერძო სკოლაში ახორციელებდა პრაქტიკას.

2018-2019 სასწავლო წელს კი ენებს 14 მასწავლებელი ასწავლიდა.

2019-2020 წელს მასწავლებლების რაოდენობა 2-ით გაიზარდა და 16 შეადგინა, მათ შორის ჩეჩნურის - 6, ხუნძურის - 6, ოსურის - 3 და ასურულის - 1 მასწავლებელი.

2020-2021 წელს მასწავლებელთა რაოდენობა დრამატულად დაეცა და 6 ადამიანი შეადგინა, ხოლო 2021-2022 სასწავლო წელს - 10 მასწავლებელი.

2022-2023 წელს მცირერიცხოვან ეთნიკურ უმცირესობათა ენებს 7 მასწავლებელი ასწავლიდა.

საგულისხმოა, რომ მასწავლებლების ნაწილს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში დადასტურებული აქვს კომპეტენციები და უფროსი მასწავლებლის სტატუსს ფლობს.

მასწავლებლების რაოდენობის ხშირი და არასისტემური ცვლა რამდენიმე ფაქტორზე მიუთითებს:

1. მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენა აღიარებულია ენობრივი პოლიტიკის ოფიციალურ დონეზე, თუმცა არ განიხილება, როგორც ღირებული და მნიშვნელოვანი პრაქტიკული ინსტრუმენტი განხორციელების პოლიტიკის დონეზე.
2. არ არსებობს სისტემური მიდგომა ამ ენების სწავლების თვალსაზრისით, რასაც ეროვნულ სასწავლო გეგმაში მისი მხოლოდ ნაწილობრივი ასახვაც ადასტურებს.
3. მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენების შესწავლისათვის არ არის გამოყოფილი რეგულარული რესურსი, რომელიც ახალი მასწავლებლების ზრდის, შესაბამისი რესურსების განვითარებისა და, შესაბამისად, ენის შესწავლის უწყვეტობას განაპირობებდა.

რაც შეეხება სახელმწიფო - აფხაზურ ენას, მისი სწავლება ქართულ სკოლებში ასევე არ ხასიათდება რეგულარულობით და მასწავლებელთა რესურსების ცვლილების მიხედვით, 1-დან 5 მასწავლებლამდე მერყეობს 6 წლიან ჭრილში. კერძოდ, ყველაზე მეტი, 5 მასწავლებელი 2019-2020 წლებში ახორციელებდა ენის სწავლებას, ხოლო 2017-2018 და 2021-2022 წლებში - 2 მასწავლებელი. დანარჩენი 3 წლის განმავლობაში სწავლებას მხოლოდ ერთი მასწავლებელი ახორციელებდა. შესაბამისად, რთულია ენობრივი პოლიტიკის ხედვასა და მისი პრაქტიკული განხორციელების განზრახვასთან დაკავშირებით არგუმენტირებული მოსაზრების ჩამოყალიბება.

მიგნებები

- ენის მასწავლებლების რაოდენობა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ არის გაზრდილი 2022-2023 წლებში - საერთო ზრდის დინამიკის ფონზე კი.
- ქართული ენის მასწავლებლები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კიბეზე, სხვა საგნების მასწავლებლების ფონზე, დაწინაურებულები არიან, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ქართული (მშობლიური) ენის მასწავლებლებს ყველაზე ადრეული პერიოდიდან მიეცათ პროფესიული წინსვლის საშუალება სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების თვალსაზრისით, მათი პროფესიული ზრდის დადასტურება კარიერული წინსვლის კიბეზე შესაბამისი დინამიკით არ არის გამოხატული.
- ქართული ენის მასწავლებლების რიცხვი არაქართულენოვან სკოლებში რაოდენობრივი ზრდით ხასიათდება, განსაკუთრებით 2022-2023 სასწავლო წელს, ისევე, როგორც პროფესიული სტატუსი, მზარდ დინამიკას აჩვენებს.
- პრაქტიკოსის სტატუსის მქონე ქართული ენის მასწავლებლები არაქართულენოვან სკოლებში უფრო ინტენსიურად არიან წარმოდგენილნი სამეგრელო-ზემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, ხოლო წამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებლები - იმერეთში, ქვემო ქართლსა და თბილისში.
- ქართული ენის მასწავლებლების კონტინგენტი არაქართულენოვან სკოლებში გაახალგაზრდადებულია სხვა მასწავლებლებთან შედარებით, რაც მიმდინარე რეფორმებს და საგნისადმი განათლების პოლიტიკის განსაკუთრებულ აქცენტს შეიძლება უკავშირდებოდეს.
- მშობლიური ენის მასწავლებლების რაოდენობა ასევე გაზრდილია ბოლო წლის განმავლობაში, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ამ მასწავლებლების დაბერების მაჩვენებელი, რაც ახალგაზრდა კადრების დეფიციტით არის გამოწვეული.
- პროფესიული სტატუსის მიხედვით, მნიშვნელოვანია განსხვავება რუსული ენის მასწავლებლებსა და სომხურისა და აზერბაიჯანული ენის მასწავლებლებს შორის. უფროსის სტატუსის მქონე რუსულენოვანი მასწავლებლების წილი 3/4-ზე მეტია, 44%-ს აღწევს სომხურენოვან მასწავლებლებში და 16%-ია აზერბაიჯანულენოვან მასწავლებლებში, მიუხედავად იმისა, რომ რუსული ენის მასწავლებლებს უფრო ადრიდან ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ პროფესიული სტატუსი რუსულის, როგორც უცხოური ენის საგნობრივი გამოცდის საშუალებით დაედასტურებინათ, სომხური ენის მასწავლებლების პროფესიული წინსვლა, ერთი მხრივ, მშობლიური ენის

მასწავლებლების არათანაბარ პროფესიულ მომზადებაზე, ხოლო, მეორე მხრივ კი - მოტივაციაზე შეიძლება მეტყველებდეს.

ზოგადი განათლების საფეხურზე ენობრივი პოლიტიკისთვის გამოვლენილი გამოწვევები და შესაბამისი დასკვნები

ზემოთ მოცემული დეტალური აღწერის გარდა, სტატისტიკური მონაცემების, ეროვნული სასწავლო გეგმების და არსებული საკანონმდებლო რეგულაციების შინაარსის შესწავლის შედეგად შემდეგი მიმართულებით გამოიკვეთა გამოწვევები ზოგად განათლებაში ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით:

- **სკოლამდელი განათლების და დაწყებითი განათლების არაინტეგრირებულობა და კავშირის არარსებობა ენობრივი კომპეტენციის განვითარების თვალსაზრისით;**

ბილინგვური განათლების რეფორმისთვის მნიშვნელოვანია სკოლამდელი და დაწყებითი განათლების საფეხურების ინტეგრირება და ბილინგვური განათლების პროგრამების შესაბამისი დაგეგმვა.

ენობრივი კომპეტენციების განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც ლოგიკურ, თანამიმდევრულ და ეტაპობრივ განვითარებას გულისხმობს საწყისი ეტაპიდან მაღალი აკადემიურ-კოგნიტურ კომპეტენციების განვითარებამდე. ამ ლოგიკურ ჯაჭვში ჰარმონიულ კავშირში უნდა განიხილებოდეს სკოლამდელი და დაწყებითი განათლების საფეხურები (კუმინსი, 1986). ამ მხრივ საქართველოს განათლების სისტემაში სისტემური პრობლემაა: სკოლამდელი დაწესებულებები სამართლებრივად ადგილობრივ თვითმმართველობებს ექვემდებარება, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (სამივე საფეხური) - განათლების და მეცნიერების სამინისტროს. ეს აჩენს ერთგვარ ზღვარს სკოლამდელ და დაწყებით საფეხურებს შორის, რაც, სხვა მიმართულებებთან ერთად, პრობლემებს ქმნის მოზარდთა ენობრივი უნარების ჰარმონიული, საფეხურბრივი / ეტაპობრივი განვითარების თვალსაზრისით. ამ პროცესს ართულებს არსებული დისბალანსი სკოლამდელ და სასკოლო განათლებას შორის უმცირესობათა კომპაქტური განსახლების რეგიონებში. მუნიციპალიტეტების მიხედვით, მნიშვნელოვანი სხვაობაა სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რასაც გადაამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სკოლამდელ და სასკოლო განათლების პროგრამებისა და სერვისების დასაგეგმად. მაგალითად, გვაქვს მუნიციპალიტეტები, სადაც სკოლამდელი დაწესებულებების მნიშვნელოვანი დეფიციტია: წალკის მუნიციპალიტეტში 31 სკოლა და მხოლოდ 7 სკოლამდელი დაწესებულებაა, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში - 38 სკოლა და 12 სკოლამდელი დაწესებულება, მარნეულის მუნიციპალიტეტში - 74 საჯარო სკოლა და მხოლოდ 14 სკოლამდელი დაწესებულება, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში - 65 სკოლა და 16 სკოლამდელი დაწესებულება, ასპინძის მუნიციპალიტეტში - 18 საჯარო სკოლა და 4 სკოლამდელი დაწესებულება და ა.შ.

შესაბამისად, შეუძლებელი ხდება ამ კონფიგურაციაში ერთიანი სკოლამდელი და დაწყებითი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, რაც ბილინგვიზმის განვითარებისა და ბილინგვური განათლებისთვის უმნიშვნელოვანესია.

- პრობლემურია არაქართულენოვან სკოლებში პირველ კლასში სამი ენის სწავლების ერთდროულად დაწყება; ამ კონტექსტში, ასევე გამოწვევას წარმოადგენს წერისა და კითხვის სწავლების დაწყება პირველივე კლასში ინგლისურ ენაში, ისევე, როგორც ქართულ ენაში;

კვლევა აჩვენებს, რომ ბავშვები ყველაზე კარგად სწავლობენ იმ ენაზე, რომელიც მათ უკვე ესმით (UNESCO, 2016). მშობლიურ ენაზე განათლებისა და მშობლიურ ენაზე წიგნიერების განვითარება იძლევა დადებით ეფექტს როგორც ბილინგვიზმის აგრეთვე კოგნიტური და აკადემიური უნარების განსავითარებლად (Cummins, 1986, 009). მსოფლიო ბანკმა, არსებულ კვლევებზე დაფუძნებით, 2021 წელს გამოყო 5 მნიშვნელოვანი პრინციპი ენის სწავლების პოლიტიკის მიმართულებით: (ა) ასწავლეთ ბავშვებს მშობლიურ ენაზე სკოლამდელი განათლების საფეხურიდან მინიმუმ დაწყებითი განათლების ექვსი კლასის ჩათვლით; (ბ) კითხვისა და წერის მიმართულებით აკადემიური საგნების სწავლებისთვის გამოიყენეთ მოსწავლის პირველი ენა; (გ) მეორე ენის სწავლება საწყის ეტაზე განხორციელდეს მხოლოდ ზეპირმეტყველების მიმართულებით; (დ) მშობლიური ენის სწავლება გაგრძელდეს მაშინაც კი, როდესაც მეორე ენა გახდება სწავლების ძირითადი ენა; (ე) სწავლების ენის უწყვეტი დაგეგმვა, განვითარება, ადაპტირება ქვეყნის ენობრივი პოლიტიკის კონტექსტისა და საგანმანათლებლო მიზნებთან შესაბამისად.

კვლევები ცხადყოფს, რომ პირველი კლასიდან ორ ენაზე წიგნიერების განვითარება პარალელურად არ არის მიზანშეწონილი. ამის შესახებ მიუთითებს „გლობალური განათლება პარტნიორობის“ მიერ ჩატარებული წიგნიერების განვითარების კვლევები და პრაქტიკაც. ეს მიდგომა ასახული უცხოური ენისა და მეორე ენის სწავლების ეროვნულ სასწავლო გეგმებშიც, სადაც ვკითხულობთ: „ I და II კლასი დაეთმობა მოსწავლის კითხვისათვის მომზადებას, კითხვის სისტემური კურსის შეთავაზება კი მესამე კლასიდან დაიწყება“. თუმცა პირველი კლასის ინდიკატორები რეალურად მოითხოვს მასწავლებლებისგან კითხვის სწავლებას და პრაქტიკაში გულისხმობს პარალელურად სამი ენის ანბანის, კითხვისა და წერის ელემენტების სწავლებას არაქართულენოვან სკოლებში.

როგორც აღინიშნა, კვლევები ადასტურებს, რომ ჯერ მშობლიურ ენაზე წიგნიერების განვითარება, ხოლო მეორე ენაში ზეპირმეტყველებაზე ფოკუსირება არის მნიშვნელოვანი მიდგომა ორენოვნების განსავითარებლად. ენის დიდაქტიკის ექსპერტები აგრეთვე თანხმდებიან იმაზე, რომ ენობრივი უნარების განვითარება გარკვეული თანმიმდევრობით უნდა ხდებოდეს, მოზარდის ასაკობრივი განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით. კითხვისა და წერის უნარების განვითარება მომდევნო ეტაპია ზეპირმეტყველებითი უნარების (მოსმენა, ლაპარაკი) საბაზისო უნარების ჩამოყალიბება-განვითარების შემდგომ. ეროვნული სასწავლო გეგმის მოქმედი რედაქციის მიხედვით, პირველ კლასში ქართული ენის (არაქართულენოვანი სკოლებისთვის) სტანდარტი ითვალისწინებს წიგნიერების (კითხვა, წერა) საწყისი უნარების განვითარებასაც, რაც არ არის რეკომენდებული მეორე ენის ექსპერტთა მხრიდან (იხ. ია ხასაია, უცხოური ენის შესწავლის ხელშემწყობი პრობები დაწყებით კლასებში, სადოქტორო დისერტაცია, 2018). უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში უკმაყოფილებას გამოთქვამენ აღნიშნულის მიმართ, რაც არაერთხელ აისახა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრის აპარატის ანგარიშებში (სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2013-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები).

- არ არსებობს ბილინგვიზმის განვითარების ხედვები ქართულენოვან სკოლებში ინგლისურ ენასთან მიმართებით, ხოლო ენის ცოდნის დონე კი, არათანაბარია და არაპროპორციულად ნაწილდება სკოლების სხვადასხვა მახასიათებლების შესაბამისად.

ზოგადი განათლების სისტემის პოლიტიკა აღიარებს ინგლისური ენის სწავლის აუცილებლობას თანამედროვე სამყაროში წარმატებული ოპერირებისა და საერთაშორისო საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის; ამ მიმართულებით მიღებულია გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც 2019 წლიდან პირველი უცხოური ენა საქართველოს ყველა სკოლაში ინგლისურია.

კვლევამ გამოავლინა ინგლისური ენის მასწავლებლების არაერთგვაროვანი რაოდენობრივი მაჩვენებლები როგორც გეოგრაფიული განსახლების, ასევე კვალიფიკაციის თვალსაზრისით, რაც სოფლის/დაბის მოსახლე მოსწავლეებს არათანაბარ პირობებში აყენებს ურბანული სკოლის მოსწავლეებთან შედარებით. მეორე მხრივ, კვლევა აჩვენებს, რომ მთლიანობაში, ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული კვალიფიკაცია უფრო მაღალია სხვა საგნების მასწავლებლებთან შედარებით, რაც არასაკმარისად გარდაისახება მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებში. საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მონაცემები მოსწავლეების ინგლისური ენის აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით არ გროვდება, კერძო რეპეტიტორობის პრაქტიკაში უცხოურ, უფრო კონკრეტულად კი ინგლისურ ენას პრაქტიკულად ყველაზე დიდი წილი უჭირავს ქართული ენისა და ლიტერატურის შემდეგ (ჩახაია, 2019). კიდევ ერთი საკითხი უკავშირდება ინგლისური ენის სტატუსს საქართველოს სკოლებში, რაც მას პირველ უცხოურ ენად განსაზღვრავს, თუმცა, რეალურად, პოლიტიკურ-სოციალური ორიენტირების მიხედვით, ინგლისური ენა ბავშვებისათვის არა უცხო, არამედ მეორე ენის ფუნქციას უფრო და უფრო ინტენსიურად იძენს. თუ მივიჩნევთ, რომ მეორე ენის სწავლის შედეგები განსხვავდება უცხოური ენის სწავლის შედეგებისგან, სწავლების მეთოდისა და მიდგომებისგან, რესურსების, სწავლისგან მიღებული მოლოდინების და სხვა ფაქტორების მიხედვით (ოქსფორდი 1996), შესაძლოა, რომ ინგლისური ენის ბილინგვიზმის არასრულყოფილების ერთ-ერთ მიზეზად ენის სწავლების არასწორი ხედვა და, შესაბამისად, პოლიტიკა მივიჩნიოთ.

- პრობლემატურია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება რუსულენოვან საჯარო და კერძო სკოლებში, სადაც მოსწავლეების ნაწილი სხვადასხვა კლასში ენის ნულოვანი ან არასაკმარისი კომპეტენციით იწყებენ სწავლას, ხოლო ქართული ენა მათთვის, ენობრივი და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ბევრ შემთხვევაში მეორე ენას არ წარმოადგენს.

2022-2023 წლის სტატისტიკით, საქართველოში რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე რუსულენოვანი მოსწავლეების რიცხვი დრამატულად გაიზარდა და დაახლოებით 17 500 მოსწავლე შეადგინა, რაც წინა წლებთან შედარებით 2000 მოსწავლით მეტია. ამასთან, სისტემაში მხოლოდ რუსეთის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების რიცხვმა 2040-ს მიაღწია. ამასთან, სისტემაში შემოსული იმიგრანტი მოსწავლეების 70%-ზე მეტს საქართველოს სკოლაში სწავლის დაწყების მომენტისათვის, სწავლა უკვე ჰქონდა დაწყებული სახლში. ამ მოსწავლეების დიდი ნაწილისათვის ქართულენოვანი გარემო სრულიად ახალ რეალობას წარმოადგენდა და შესაბამისად, გააჩნდა ქართული ენის ნულოვანი კომპეტენციები. მიდგომა, რომელსაც სისტემა ამ მოსწავლეების მიმართ ქართული, როგორც მეორე ენის სტანდარტს აფუძნებს, ხისტი და არაშესაბამისია მოსწავლეების შესაძლებლობებისა და რიგ შემთხვევებში, მიზნებთან მიმართებითაც, რაც აისახა მოსწავლეების დაუძლეველ გამოწვევებში ენის ფლობის თვალსაზრისით, რაც ხშირად ფრუსტრაციას და ენისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის დაბნეულობას და სიტუაციის მართვის უუნარობას ან, ზოგ შემთხვევაში, გამოსავლის ძიების არაკადემიურ გზებსაც მოიცავდა. 2023 წელს ჩატარებული რუსული სკოლების კვლევამ აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევებში მოსწავლეებისათვის ენის სწავლა ფიქტიურ აქტივობად რჩება, ხოლო ენის შესწავლით დაინტერესებული მშობლები გამოსავალს რეპეტიტორის მომსახურებაში ხედავენ (რუსულენოვანი სკოლების კვლევა რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში, 2023 (გამოუქვეყნებელი)

ზემოთ მოყვანილი ანალიზის საფუძველზე, შემდეგი დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი:

- საკომპენსაციო და რემედიაციის პროგრამები არ არის დეტალურად აღწერილი სასწავლო გეგმაში, ისევე, როგორც უგულვებელყოფილია ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები ამ ტიპის პროგრამების განხორციელებისათვის;
- მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში ენობრივი პოლიტიკა აღიარებს ბილინგვიზმს/მულტილინგვიზმს, როგორც ხედვას და ინსტრუმენტს სახელმწიფო ენის სრულყოფილი დაუფლებისათვის, პრაქტიკაში ამის მიღწევა ვერ ხერხდება;
- სუბმერსიის პროგრამები ძლიერი ბილინგვური პროგრამების ნაცვლად;
- სუბმერსიის პროგრამებში მშობლიური ენის სწავლების კომპონენტის ეროვნული სასწავლო გეგმის ჩანაწერის პრაქტიკული რეალიზების ინსტრუმენტების ვერ შექმნა ვაუჩერებში ან პროგრამულ დაფინანსებაში ასახვის სახით;
- ენისა და საგნის ინტეგრირებულ სწავლებაზე ნაკლები ფოკუსი;
- ქართულ-ინგლისურ ბილინგვიზმზე არასაკმარისი ფოკუსირება და სასწავლო გეგმის შეუსაბამობა;
- მეორე და მესამე უცხოური ენის სწავლების არაეფექტურობა (ზედმეტი დატვირთვა და

შეზღუდული ფინანსური რესურსების ხარჯვა);

- ენობრივ ბლოკზე გადაჭარბებული ფოკუსირება;
- მეორე უცხოური ენის შემოტანა მშობლიური ენის ხარჯზე არაქართულენოვან სკოლებში;
- მეორე ენის გაძლიერება მშობლიური ენის ხარჯზე არაქართულენოვან სკოლებში, სადაც მნიშვნელოვანია გამამდიდრებელი და არა შემამცირებელი კონტექსტი;
- ენის მასწავლებლების პროფესიული სტატუსის მოპოვებისა და განვითარებისადმი უნივერსალური მიდგომა;
- ენის მასწავლებლების პროფესიული კვალიფიკაციის მკვეთრი განსხვავებები სკოლების პროფილის მიხედვით;
- მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენების მიმართ არასისტემური და არამკაფიო ხედვები და, შესაბამისად, მხარდაჭერის განხორციელებისთვის არასაკმარისი ნება და საჭირო რესურსები;

რეკომენდაციები

სისტემური ხასიათის რეკომენდაციები

ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის ენობრივი პოლიტიკის, მათ შორის მულტილინგვური განათლების სტრატეგიისა და სამოქმედო მიზნების ჩამოყალიბება ზოგადი განათლების საერთო სტრატეგიასთან ინტეგრირებისა და თავსებადობის პრინციპების გათვალისწინებით;

საკვანძო საკანონდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტაციის (კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, საგნობრივი სტანდარტი, დირექტორის სტანდარტი) გადახედვა ენობრივი პოლიტიკის ხედვებთან შესაბამისობაში მოყვანისა და მიზნების მკაფიოდ ასახვისათვის;

ბილინგვური ხედვების ინტეგრირება ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომელიც ინგლისურის, როგორც მეორე / უცხო ენის სწავლებაში ინტეგრირებაზე გააკეთებს შესაბამის აქცენტებს;

მშობლიური, მეორე და უცხოური ენის მასწავლებლების განსხვავებული როლის, ზოგადი განათლების პოლიტიკის განსხვავებული ენობრივი საჭიროებების, ასევე მასწავლებლების პროფესიული განვითარების განსხვავებული საჭიროების აღიარება სისტემის მიერ და პროფესიული განვითარების, კვალიფიკაციის დადასტურებისა და კარიერული ზრდის შესაბამისად ასახვა სქემაში.

ენობრივი ბლოკის გადახედვა მთლიანი სასწავლო გეგმის კონტექსტში და მისი განტვირთვის, გონივრული გადანაწილების, განსხვავებული შესაძლებლობების განხილვა

ორენოვანი განათლება ქართულენოვან და არაქართულენოვან სკოლებში

ბილინგვური სწავლების დანერგვა ქართულენოვან სკოლებში ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებისათვის, ბილინგვური განათლების განსხვავებულ მოდელებს, მათ შორის ენისა და საგნის სწავლების პრინციპებს დაეფუძნება არსებული რესურსების, სკოლების ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ადგილობრივი გეოგრაფიულ, სოციალური და კულტურული საჭიროებების შესაბამისად;

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერა და გაძლიერება ბილინგვური განათლების სხვადასხვა მოდელების, მათ შორის, მშობლიურ ენაზე დაფუძნებული ბილინგვიზმის ძლიერი პროგრამების სწრაფი, პროაქტიული დანერგვისათვის; მხარდაჭერა შეიძლება მოიცავდეს:

- სკოლების დახმარებას სკოლების არსებული საჭიროების დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარების, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისა და ამ რეკომენდაციების შესრულების გეგმის ჩამოყალიბებისას;
- ფინანსური რესურსების მობილიზებას ბილინგვური განათლების შესაბამისი მოდელის და განხორციელების სტრატეგიის, ადამიანური და სასწავლო რესურსების მოძიებისა და მობილიზების, სწავლების წარმართვისათვის;
- მშობლიური ენის სწავლების გაძლიერებას ეფექტური რესურსებისა და ადეკვატური საათობრივი ბადის უზრუნველყოფით; სკოლებისათვის ფინანსური

რესურსის უზრუნველყოფა მშობლიური ენის დამატებითი სწავლების უზრუნველსაყოფად ადგილობრივ თემებსა და მოსწავლეებში ამგვარი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში

- წახალისების მოქნილი მექანიზმების შემუშავებას პროაქტიული, მაღალპოტენციური, მოტივირებული და პერფორმანსის ზრდაზე ორიენტირებული სკოლებისათვის;
- სკოლებში შორისი გაცვლების წახალისებას გეოგრაფიული განფენილობისა და მობილობის გათვალისწინებით კარგი პრაქტიკების, რესურსებისა და გამოცდილების გაცვლის მიზნით;
- ბილინგვური განათლების ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ალტერნატიული შესაძლებლობების შეთავაზებას ან მოძიებულის დაფინანსებისა და მხარდაჭერას, აღიარების საშუალებით

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, (განსაკუთრებით აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე), ქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერა სუბმერსიული პროგრამების განხორციელებისათვის, რაც შეიძლება მოიცავდეს:

- ფინანსურ მხარდაჭერას ვაუჩერული და სხვა დაფინანსების მობილიზებისა და სკოლების დემოგრაფიული მონაცემების შესაბამისად;
- საკომპენსაციო და რემედიაციის პროგრამების ასახვა სასწავლო გეგმაში და ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების უზრუნველყოფა;
- სკოლების გაძლიერება სუბმერსიული პროგრამებისათვის სასწავლო და პედაგოგიური კადრების მომზადებისა და მობილიზაციისათვის;
- სკოლების წახალისება სუბმერსიული პროგრამების ფარგლებში მოსწავლეების მშობლიური ენის ქმედითი მხარდაჭერისათვის

არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლების განსხვავებული საჭიროების, მათ შორის მოსწავლეების განსხვავებული მზაობისა და შესაძლებლობების აღიარება და შესაბამისად ასახვა პოლიტიკის დოკუმენტებში, რაც სკოლებს მეტ მოქნილობას მიანიჭებს სწავლების განხორციელებისას;

რუსულენოვანი სკოლებისა და სექტორების მოსწავლეებისათვის მათი ენობრივი კომპეტენციების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისი პროგრამების შეთავაზება საკომპენსაციო და რემედიაციული პროგრამების გააქტიურების და ქართული, როგორც მეორე და უცხოური ენის მეთოდის არჩევნის მიცემის, პედაგოგიური კადრების მომზადების მრავალფეროვანი შესაძლებლობების შეთავაზებისა და უფლებამოსილების საშუალებით.

მასწავლებლების განათლება და პროფესიული მომზადება

მასწავლებლის მულტილინგვური / ბილინგვური განათლების პროგრამების, მათ შორის ქართულ-ინგლისური პროგრამის, როგორც პრიორიტეტის გამოცხადება და დანერგვის მხარდაჭერა უნივერსიტეტებში

მასწავლებლის მულტილინგვური / ბილინგვური განათლების არსებული პროგრამის
გამოცდილების გათვალისწინებით, ახალი პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა
არაქართულენოვანი სკოლების საჭიროებების ოპერატიული და ეფექტიანი გადაჭრისათვის

მასწავლებელთა პროფესიული მომზადების ბილინგვური პროგრამების შემუშავება და
შეთავაზება

ბილინგვალი მასწავლებლების სკოლაში დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკის დაგეგმვა და
განხორციელება

გამოყენებული ლიტერატურა

Eloise Caporal-Ebersold. Language policy and practices in early childhood education and care
(ECEC) : a case study of an english-french bilingual crèche in Strasbourg. Linguistics. Université
de Strasbourg, 2018. English. ffNNT : 2018STRAC020ff. fftel-02050546ff

Jajanidze, L. E. (2023). Linguistic Minority Students in Linguistic Majority Schools and Teaching in Diverse
Classroom Environment. Proceedings of IAC 2023 in Budapest, 18

Ministry of Education, the Arts and Culture and Ministry of Science and Research (2008), language Education
Policy Profile, Austria, Language Policy Division, Strasbourg www.coe.int/lang

Papakosma, M. (2023), Policy responses to diversity in early childhood education and care: Setting the
agenda and meeting the challenges, European Educational Research Journal 1-20, Article reuse
guidelines:sagepub.com/journals-permissions DOI: 10.1177/14749041231181935
journals.sagepub.com/home/eer

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ,

ადრეული და სკოლამდელი განათლების სტანდარტი

ეროვნული სასწავლო გეგმა 2011, 2016, 2022

ზოგადი განათლების კანონი

მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემა

მასწავლებლის სტანდარტი

ჩახაია, ლ (2019), სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში:

კვლევის ანგარიში, მომზადებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის

თავი 4

ენობრივი პოლიტიკა უმაღლეს განათლებაში

შესავალი

თანამედროვე სამყაროში უმაღლესი განათლება სოციოლინგვისტური ან გამოყენებითი ლინგვისტიკის სფეროებისთვის საინტერესო კვლევის მიმართულებაა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ერთი შეხედვით, სახელმწიფო (ანუ ეროვნულ) დონეზე ფუნქციონირებად ინსტიტუტებს წარმოადგენენ, მაგრამ, ამავე დროს, არიან საერთაშორისო მნიშვნელობის მოთამაშეები გლობალურ საგანმანათლებლო ბაზარზე და გლობალურ კონკურენციაში იმყოფებიან ერთმანეთთან (Hultgren et al. 2014). მრავალფეროვანი, ზოგჯერ დაპირისპირებული დისკურსების გლობალური და ეროვნული ურთიერთქმედება ხშირად იწვევს უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებში ენობრივი პოლიტიკის ბუნდოვანებას, დილემებსა და მოლოდინებს. ამიტომ თანამედროვე მსოფლიოში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უფრო მკაფიოდ აქვთ ფორმულირებული საკუთარი ენობრივი პოლიტიკა სტრატეგიულ დოკუმენტებში.

საქართველოშიც ენობრივი პოლიტიკა უმაღლეს განათლებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც სრულიად შეუსწავლელია და ვერ ნახავთ კვლევასა თუ ანგარიშს, რომელიც ამ საკითხს შეეხება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არსებული მდგომარეობის შესწავლა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში განხორციელდა მიზანმიმართული შერჩევის პრინციპით საჯარო და კერძო ოცი უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის კვლევა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრატეგიული დოკუმენტების თემატური ანალიზის გარდა, იმავე გამოვლენილი თემების ქვეშ გაანალიზდა უმაღლესი განათლების არსებული სტატისტიკა, რომელიც ენობრივი პოლიტიკის ასპექტებს შეეხება უმაღლეს განათლებაში. ერთი მხრივ, არსებული სტატისტიკური მონაცემები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სწავლების, კვლევისა თუ ადმინისტრირების მიმართულებით და, მეორე მხრივ, ამ სასწავლებლების სტრატეგიულ დოკუმენტებში ასახული ენობრივი პოლიტიკის ასპექტები სწავლების, კვლევის და ადმინისტრირების მიმართულებით წარმოადგენს აღნიშნული კვლევის მონაცემებს, რომელსაც ეფუძნება ანალიზი, მიგნებები და შესაბამისი რეკომენდაციები.

უნივერსიტეტების პოლიტიკის დოკუმენტების თემატური ანალიზი

პოლიტიკის, როგორც დისკურსის იდეა ნათლად წარმოაჩენს პოლიტიკაში რეალურად დასახულ პოლიტიკურ მიმართულებებს. სტრატეგიულ დოკუმენტებში ასახული ენაც მნიშვნელოვანი ასპექტია არსებული თემების დასაანხად და გასაანალიზებლად. როგორ რეგულირდება ენის გამოყენება უმაღლეს განათლებაში, როგორ ხდება გადაწყვეტილებების მართვა ინსტიტუციურ გარემოში ენების შესახებ - საფუძველს იძლევა ენობრივი პოლიტიკის ორიენტირებული ხედვისათვის (პენიკუკი, 2006, გვ. 65).

ინგლისური ენის უფრო მდგრადი პოზიცია საზოგადოებაში, ანუ უნივერსიტეტის კონტექსტის მიღმა, როგორც ჩანს, გავლენას ახდენს უნივერსიტეტებში დაინტერესებული მხარეების დებატებსა და პოზიციებზე. შესაბამისად, არის თუ არა ინგლისური უფრო უცხოური ენა, მეორე

ენა თუ პირველი ენა, სავარაუდოდ, აყალიბებს დისკურსებს მისი როლისა და პოზიციის შესახებ უმაღლეს განათლებაში (დოიზი და სხვ., 2013, გვ. xvii). ზოგადად რომ ვთქვათ, ინგლისური უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც წესი, განიხილება ორობითი ტერმინებით, როგორც „საერთაშორისო“ ინგლისური ან „გლობალური“ ინგლისური (ბალი, 2012): „საერთაშორისო“ ინგლისური არის ენა, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთობის ხელშეწყობისთვის; ვინაიდან „გლობალური“ ინგლისური უფრო სხვა მნიშვნელობით, უარყოფითი კონოტაციით გამოიყენება: რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა (ეროვნული) ენების გრძელვადიან არსებობას უმაღლეს განათლების სფეროებში. ამ სახის ბინარიზმი შეინიშნება ევროპაში, როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კონტექსტში (სოლერი და სხვ., 2018; კოტსი და სხვ. 2014); თუმცა, როგორ არის ინგლისური წარმოდგენილი საქართველოს კონტექსტში - როგორც საერთაშორისო და მნიშვნელოვანი სამეცნიერო ენა თუ როგორც გლობალური ენა და საფრთხე ქართული სამეცნიერო ენისთვის, არასდროს შესწავლილა და საინტერესოა, სტრატეგიულ დოკუმენტებში თუ აქვთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს ამ თვალსაზრისით რაიმე ხედვა.

უმაღლეს განათლებაში ენობრივი პოლიტიკა სამი მიმართულებით გაანალიზდა:

- (ა) სწავლება;
- (ბ) კვლევა;
- (გ) ადმინისტრირება.

სწორედ ამ სამი მიმართულებით გავაანალიზებთ უნივერსიტეტების ენობრივ პოლიტიკას, როგორც საერთო, ისე განმასხვავებელ მახასიათებლებზე ფოკუსირებით.

ენობრივი პოლიტიკა კვლევის მიმართულებით

კვლევების მიმართულებით ინტერნაციონალიზაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ზოგადად უმაღლესი განათლება გამოირჩევა ინტერნაციონალიზაციით, მათ შორის - კვლევების მიმართულებით, რაც შესაბამის ენობრივ პოლიტიკას უნდა ეფუძნებოდეს. ამ უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული კვლევა (ჩაჩხიანი და ტაბატაძე, 2023) გამოყოფს იმ მიმართულებებს, რა კუთხითაც ახდენენ საერთაშორისო თანამშრომლობას კვლევების თვალსაზრისით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები თუ ინდივიდუალური მეცნიერები. ამ თვალსაზრისით, კვლევამ გამოკვეთა ევროპისა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობები კვლევითი თანამშრომლობის თვალსაზრისით, აგრეთვე გეოგრაფიული, ისტორიის, პირადი კონტაქტებისა თუ ენობრივი კომპეტენციების თვალსაზრისით თანამშრომლობა თვალსაზრისით იყო თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ირანის, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან. თითოეული ამ მიმართულებით გამოიკვეთა ენობრივი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ამ კვლევითი თანამშრომლობის არჩევანსა და ეფექტურობასაც (ჩაჩხიანი და ტაბატაძე, 2023).

უმაღლეს განათლებაში კვლევების ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობა ასახულია სხვადასხვა საუნივერსიტეტო თუ ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტში. თუმცა, კვლევების ინტერნაციონალიზაციის ეფექტურად განსახორციელებლად მნიშვნელოვანია შესაბამისი

ენობრივი პოლიტიკა. წარმოგიდგენთ კვლევების ინტერნაციონალიზაციის კუთხით არსებულ ვითარებას და უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტებში ასახულ შესაბამის ენობრივ პოლიტიკას. კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია და შესაბამისი ენობრივი პოლიტიკა ასახულია უნივერსიტეტების სტრატეგიულ დოკუმენტებშიც და ამ თვალსაზრისით შემდეგი მიმართულებები და ენობრივი არჩევანი იკვეთება:

(ა) გამოქვეყნება უცხოენოვან ჟურნალებში

უცხოენოვან (ძირითადად ინგლისურენოვან) ჟურნალებში გამოქვეყნება უნივერსიტეტების პოლიტიკის ნაწილია. მსგავსი მოთხოვნები წაყენებული აქვთ დოქტორანტებს დოქტორანტურის დებულებებიდან გამომდინარე, ისევე, როგორც პროფესორებს (ზოგიერთ შემთხვევაში - სავალდებულო, ზოგ შემთხვევაში - წამახალისებელი ინსტრუმენტებით). საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების მოთხოვნის პარალელურად, შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმებიც არის უნივერსიტეტების სტრატეგიულ დოკუმენტებში, მათ შორის - ენობრივი მხარდაჭერის თვალსაზრისით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებისთვის მიღწევადი პოლიტიკის, მათ შორის ენობრივი პოლიტიკის კონტურები მხოლოდ ზოგიერთი უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტებში იკვეთება. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ექვსიდან პირველ სტრატეგიულ მიზნად გვთავაზობს სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის განვითარებას, რომლის მე-3 ამოცანად დასახულია სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლება - მაღალი რეიტინგის სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების ხელშეწყობა წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში (თსუ სტრატეგია, ამოცანა 3); მე-5 ამოცანა ითვალისწინებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ადმინისტრაციულ და ფინანსურ მხარდაჭერას იმ სამეცნიერო-პერიოდული გამოცემების მომზადებაში, რომლებიც აკმაყოფილებს საერთაშორისო ელექტრონული ბაზების მოთხოვნებს (თსუ სტრატეგია, ამოცანა 5). თუმცა ადმინისტრაციულ და ფინანსურ მხარდაჭერაში მოიაზრება თუ არა ენობრივი მხარდაჭერის მექანიზმები (ენობრივი თარგმნა, ინგლისური ენის რედაქტირების სერვისი, ინგლისური ენის კომპეტენციების ამაღლების შესაძლებლობა) და ამის ინსტიტუციონალიზაცია, ამ სტრატეგიულ დოკუმენტებში დაზუსტებული არ არის, ისევე როგორც ამის ინსტიტუციონალიზებული სერვისი არ არსებობს კონკრეტულ საუნივერსიტეტო სივრცეში.

საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების თვალსაზრისით, ზოგიერთი უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტში ასახულია აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესების თვალსაზრისით: „უცხოური ენებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების უფასო კურსების შეთავაზება პერსონალისთვის“ - გახლავთ თავისუფალი უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება (თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგია), თუმცა, მსგავსი ხედვა და მხარდაჭერის მექანიზმები, როგორც წესი, სხვა უნივერსიტეტებს შეთავაზებული არ აქვთ აკადემიური პერსონალისთვის. „აკადემიური პერსონალისთვის ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება“ - გახლავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვა (თსუ სტრატეგია), თუმცა ეს

ხედვა უფრო მეტად ფოკუსირებული ინგლისური ენის მცოდნე აკადემიური პერსონალის დეფიციტის კონტექსტში, ვიდრე აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად.

აკადემიური პერსონალისა და მეცნიერთა მხარდაჭერა მათი კვლევების თარგმანის ან სხვა ენაზე შესრულებული სტატიის რედაქტირების პროცესში არ არის აღნიშნული არც ერთი უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტებში, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სხვადასხვა რეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნების ფინანსური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა, შესაძლოა ენობრივ საკითხებსაც მოიცავდეს და ამ თვალსაზრისით ადმინისტრაციულ და ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობდეს. ყოველ შემთხვევაში, ეს პრაქტიკა არ არის ინსტიტუციონალიზებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ზემოაღნიშნული პოლიტიკის კონტექსტში საინტერესოა იმ მონაცემების ანალიზი, რომლებიც საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების თვალსაზრისით იკვეთება ქართველ მეცნიერებში. კვლევების ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, საინტერესოა ინდიკატორია სკოპუსის სამეცნიერო ბაზაში არსებული კვლევების პუბლიკაციები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოპუსის ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნება გულისხმობს ძირითადად საერთაშორისო გამოქვეყნებას, რადგან მხოლოდ 5 ჟურნალია საქართველოდან ინდექსირებული სკოპუსის ბაზაში. ამავე დროს, სკოპუსის ბაზაში ინდექსირებული ჟურნალების აბსოლუტური უმრავლესობა ინგლისურენოვანია, ხოლო არაინგლისურენოვან ჟურნალებში მინიმუმ აბსტრაქტებია წარდგენილი ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი სასარგებლოა როგორც კვლევების ინტერნაციონალიზაციის, ასევე შესაბამისი ენების გამოყენების ანალიზის თვალსაზრისით უმაღლეს განათლებასა და კვლევებში.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია სამეცნიერო დარგების მიხედვით ამ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში ქართველ მეცნიერთა გამოქვეყნებები. ცხრილის ერთი სვეტი გვიჩვენებს მხოლოდ 2022 წლის გამოქვეყნებებს, ხოლო მეორე - 1996-2022 წლების გამოქვეყნებების საერთო რაოდენობებს. თუ ცხრილს გავანალიზებთ, თვალსაჩინოა რამდენიმე მოწინავე დარგი, რომელიც სტაბილურად მაღალ შედეგებს აჩვენებს (მედიცინა, ფიზიკა და ასტრონომია და მათემატიკა); ამავე დროს ჩანს მზარდი სამეცნიერო დარგები, რომლებიც ზრდიან თავიანთ წილს (სოციალური მეცნიერებები, იმუნოლოგია და მიკრობიოლოგია, ნეირომეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები) და აგრეთვე დარგები, რომლებიც მოწინავე იყო კვლევის თვალსაზრისით, თუმცა ბოლო წლებში შედარებით ნაკლები პროდუქტიულობით ხასიათდება (დედამიწის და პლანეტის შემსწავლელი მეცნიერებები, ქიმია, საინჟინრო მეცნიერებები, ნივთიერებათა მეცნიერებები). დეტალებისთვის იხილეთ ცხრილი 4.1..


ცხრილი # 4.1. სამეცნიერო დარგების მიხედვით ამ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში ქართველ მეცნიერთა გამოქვეყნებები.

სამეცნიერო დარგი	პუბლიკაციების რაოდენობა 2022 წელი	სამეცნიერო დარგი	პუბლიკაციების რაოდენობა 1996-2022
მედიცინა	892	მედიცინა	7574

ფიზიკა და ასტრონომია	316	ფიზიკა და ასტრონომია	6945
მათემატიკა	209	მათემატიკა	3758
სოციალური მეცნიერებები	202	სოციალური მეცნიერებები	1889
საინჟინრო მეცნიერებები	176	საინჟინრო მეცნიერებები	2852
ბიოქიმია, გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია	172	ბიოქიმია, გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია	2029
აგრარული და ბიოლოგიური მეცნიერებები	166	აგრარული და ბიოლოგიური მეცნიერებები	1569
გარემოს მეცნიერებები	151	გარემოს მეცნიერებები	1220
მულტიდისციპლინარული	136	მულტიდისციპლინარული	1282
კომპიუტერული მეცნიერებები	108	კომპიუტერული მეცნიერებები	1364
დედამიწის და პლანეტის შემსწავლელი მეცნიერებები	91	დედამიწის და პლანეტის შემსწავლელი მეცნიერებები	1768
იმუნოლოგია და მიკრობიოლოგია	84	იმუნოლოგია და მიკრობიოლოგია	692
ნივთიერებათა მეცნიერებები	71	ნივთიერებათა მეცნიერებები	1728
ხელოვნების და ჰუმანიტარული მეცნიერებების	69	ხელოვნების და ჰუმანიტარული მეცნიერებების	773
ნეირომეცნიერებები	69	ნეირომეცნიერებები	584
ქიმია	63	ქიმია	1322
ფსიქოლოგია	59	ფსიქოლოგია	456
ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და ფინანსები	45	ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და ფინანსები	291
ბიზნესი, მენეჯმენტი და ბუღალტერია	44	ბიზნესი, მენეჯმენტი და ბუღალტერია	394

საექთნო	40	საექთნო	302
ფარმაკოლოგია, ტოქსიკოლოგია და ფარმაცევტიკა	38	ფარმაკოლოგია, ტოქსიკოლოგია და ფარმაცევტიკა	437
ქიმიური ინჟინერია	34	ქიმიური ინჟინერია	487
ჯანმრთელობის პროფესიები	34	ჯანმრთელობის პროფესიები	315
ენერგია	29	ენერგია	327
გადაწყვეტილებათა მეცნიერებები	20	გადაწყვეტილებათა მეცნიერებები	202
სტომატოლოგია	19	სტომატოლოგია	83
ვეტერინარია	10	ვეტერინარია	79

დიაგრამა #4.1.. 2022 წელს სკოპუსის ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ქართველი მეცნიერების პუბლიკაციების პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად



(ბ) თანამშრომლობა უცხოელებთან (საერთაშორისო) საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან კვლევებისთვის

საერთაშორისო თანამშრომლობა უცხოენოვან საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან ყველა უნივერსიტეტის გაცხადებულ ამოცანას წარმოადგენს. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული დოკუმენტი განსაზღვრავს: „III სტრატეგიული მიზანს სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. ამ სტრატეგიული მიზნის სამივე ამოცანა (სამეცნიერო კვლევების ინტერნაციონალიზაცია (უცხოეთის წამყვან უსდ-ებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობის გაძლიერება), საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით“ (თსუ სტრატეგია). თუმცა ამ დოკუმენტებში არც კონკრეტული საერთაშორისო მიმართულებებია განსაზღვრული კვლევითი საქმიანობისთვის და არც შესაბამისი ენობრივი პოლიტიკა სადოქტორო საფეხურის პროგრამებზე თუ აკადემიური პერსონალის მიმართულებით, რათა შესაძლებელი იყოს ერთობლივი საერთაშორისო კვლევითი პროექტების ინიცირება და განხორციელება.

უცხო ქვეყნებში პროფესორთა მივლინება და მათი საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობით პროფესიული განვითარება ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან პრიორიტეტს უნივერსიტეტებისთვის: „პროფესორთა გაცვლა: უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს კონკურსის საფუძველზე შერჩეული აკადემიური პირების მივლინებას პარტნიორ უნივერსიტეტებში; მასპინძლობას გაუწევს უცხოელ ლექტორებს... უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს მეცნიერ-თანამშრომელთა მივლინებას კვლევის ჩასატარებლად პარტნიორ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში (ბსუ სტრატეგია).

(გ) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების საზღვარგარეთ გაძლიერება და/ან საზღვარგარეთ ფილიალების დაარსება/პროგრამების განხორციელება

საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების, მათ შორის საზღვარგარეთ არსებული ქართველოლოგიის სკოლების, ისევე, როგორც ქართული უნივერსიტეტების მიერ საზღვარგარეთ ფილიალების დაარსება, ორი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და ორივე შესაბამისი ენობრივი პოლიტიკის განსაზღვრას მოითხოვს.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უფრო აქტიური ნაბიჯები აქვთ გადადგმული საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების გაძლიერების თვალსაზრისით. ამ მხრივ გამორჩეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკა, რაც ასახულია ორგანიზაციის სტრატეგიაში და გულისხმობს თანამშრომლობას საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების საზღვარგარეთ არსებულ ცენტრებთან: ლაიდენის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები), ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი, ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი (გერმანია), კამოუშის ინსტიტუტი (პორტუგალია); ლუნდის უნივერსიტეტი (შვედეთი) და სხვა. ამ ინსტიტუციებთან ერთობლივად განხორციელებულ კვლევებსა თუ პროექტებში ინგლისურ ენას განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ენიჭება (თსუ სტრატეგია).

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ ფილიალების დაარსება და შესაბამისი ენობრივი და საგანმანათლებლო პოლიტიკის მიმართულებები და ხედვები საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრატეგიებში გაწერილი არ არის.

(დ) უცხოურ ენებზე ან ორენოვანი ჟურნალების გამოცემა

უცხოურ ენებზე ჟურნალების გამოცემა და საერთაშორისო ბაზებში მათი ინტეგრირება, აგრეთვე მნიშვნელოვანი ნაბიჯია კვლევების მიმართულებით ენობრივი პოლიტიკის წარმართვისთვის. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტების ნაწილს აქვს გარკვეული ხედვა, ნაწილი პრაქტიკულადაც ახორციელებს ამ მიმართულებით კონკრეტულ ენობრივ პოლიტიკას; ნაწილს კი საერთოდ არ გააჩნია ამ მხრივ პრაქტიკული გამოცდილება და არც სტრატეგიულ დოკუმენტებში აქვთ ასახული.

საქართველოდან ზოგადად მხოლოდ 5 სამეცნიერო ჟურნალია სკოპუსის სამეცნიერო ბაზაში ინტეგრირებული. ამათგან ოთხი ინგლისურენოვანი ჟურნალია, ხოლო 1 - ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი აბსტრაქტებით. აღსანიშნავია, რომ 5 ჟურნალიდან 3 ჟურნალი მათემატიკის მიმართულებითაა, 1 - მედიცინის, ხოლო - 1 მულტიდისციპლინარულია. სკოპუსის სამეცნიერო ბაზაში ინდექსირებული ჟურნალებიდან ორის გამომცემელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაა (ერთ-ერთი - ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტთან თანამშრომლობით), 2 გამოცემა მეცნიერთა კერძო ინიციატივების შედეგია და მხოლოდ ერთი გამოცემა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ. სკოპუსში შემდეგი ჟურნალებია ინდექსირებული საქართველოდან: 1. Georgian medical news; 2. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences; 3. Transactions of A. Razmadze Mathematical Institute; 4. Advanced Studies: Euro-Tbilisi Mathematical Journal; 5. Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics (წყარო: https://www.scimagojr.com/journalrank.php?country=GE&order=item&ord=desc&min=30&min_type=cd&type=j).

მიუხედავად იმისა, რომ სკოპუსში ინდექსირებული უცხოენოვანი ჟურნალებიდან (განსაკუთრებით, რომლებიც უნივერსიტეტის მიერ გამოიცემა) მხოლოდ ერთადერთია ენობრივი პოლიტიკის ჭრილში საინტერესო. უნივერსიტეტების ნაწილს აქვს გარკვეული ხედვა და პრაქტიკა ამ თვალსაზრისით; მაგალითად, თსუ-ში გამოიცემა რამდენიმე ინგლისურენოვანი და ორენოვანი ჟურნალი: ორენოვანი სამეცნიერო პერიოდული ჟურნალი "სამართლის ჟურნალი"; "საკონსტიტუციო სამართლისა და პოლიტიკის ჟურნალი", „Georgian Geographical Journal“ (მხოლოდ ინგლისურ ენაზე); „თსუ ფსიქოლოგია“; „სპეკალი“, „კავკასიის ენები“ (სამენოვანი ჟურნალი) და სხვ. აგრეთვე თსუ-ს გააჩნია ჟურნალები (განსაკუთრებით ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით), რომლებიც ქართულენოვანია და მხოლოდ აბსტრაქტები ითარგმნება ინგლისურადაც (მაგალითად, ჟურნალი „ჰუმანიტარული კვლევები“).

როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთ უნივერსიტეტს სტრატეგიულ ხედვად აქვს გამოტანილი ინგლისურენოვანი ან ორენოვანი საერთაშორისო ჟურნალის გამოცემა: „მაღალრეიტინგული ჟურნალი: უნივერსიტეტი ჩამოაყალიბებს ავტორიტეტულ სარედაქციო კოლეგიას უცხოელ ექსპერტთა ჩართვით და უზრუნველყოფს რეცენზირებადი ჟურნალის გამოცემას მიმართულებების მიხედვით“- აღნიშნულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტში (ბსუ სტრატეგია), ანალოგიურად, გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტში აღნიშნულია: „საერთაშორისო -სამეცნიერო ჟურნალების დაარსების/ფუნქციონირების მხარდაჭერის გაძლიერება“ (გორის უნივერსიტეტის სტრატეგია).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უნივერსიტეტების დიდ ნაწილს ამ თვალსაზრისით არც პოზიტიური პრაქტიკა და არც სამომავლო ხედვა სტრატეგიულ დოკუმენტებში ასახული არ აქვთ, ისევე, როგორც საერთაშორისო ჟურნალის შესაძლო ენობრივი პოლიტიკა, უნივერსიტეტის კონტექსტიდან გამომდინარე.

ე) სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა უცხოური ენიდან და პირუკუ

ყველა უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებაა უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმნა ქართულ ენაზე. მაგალითად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის სტრატეგიაში ვკითხულობთ: „უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს უცხოური ენებიდან თანამედროვე სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ნაშრომების თარგმნას“ (ბსუ სტრატეგია). თავისუფალ უნივერსიტეტს საკუთარი საგამომცემლო საქმიანობის პრიორიტეტად დასახული აქვს ინგლისურენოვანი როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრული ლიტერატურის თარგმნა (თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგია). თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ასევე სტრატეგიულ მიმართულებად აქვს გამოყოფილი, ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემასთან ერთად: „ორიგინალური ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნა და აღიარებული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნა“ (თსუ სტრატეგია).

ვ) ქართული ენის, როგორც სამეცნიერო ენის განვითარება

თავისუფალი უნივერსიტეტი გახლავთ ერთ-ერთი გამონაკლისი ინსტიტუცია, რომელსაც ქართული ენის, როგორც სამეცნიერო და ტექნოლოგიური ენის განვითარება აქვს ხაზგასმული საკუთარ სტრატეგიაში: „უზრუნველყოს სწავლება და სწავლა ქართულ ენაზე, რათა ამ გზით ხელი შეუწყოს ქართული ენის, როგორც სამეცნიერო და საკომუნიკაციო ენის, განვითარებას. ქართულ ენაზე ორიგინალური სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემის მნიშვნელობა ხაზგასმულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტშიც. სტრატეგიულ დოკუმენტებში გაცილებით დიდი აქცენტია გაკეთებული ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში ინგლისურენოვანი პროგრამების და სწავლების დანერგვაზე და ამავე კონტექსტში უცხოელთათვის ქართული ენის შესწავლა ან ქართულის, როგორც სამეცნიერო და ტექნოლოგიების ენის განვითარება კონკრეტული უნივერსიტეტების სტრატეგიაში არ ჩანს. როგორც უკვე აღინიშნა, თავისუფალი უნივერსიტეტი წარმოადგენს ერთგვარ გამონაკლისს ამ თვალსაზრისით (თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგია).

ენობრივი პოლიტიკა სწავლების მიმართულებით

(ა) უცხოური ენის სწავლება

უცხოური ენის სწავლება ყველა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პოლიტიკაა. უნივერსიტეტების უმრავლესობას მითითებული აქვთ სტრატეგიულ დოკუმენტებში სტუდენტებისთვის უცხოური ენის სწავლების პრიორიტეტულობა, თუმცა დეტალური ენობრივი

პოლიტიკა ამ თვალსაზრისით წარმოდგენილია მხოლოდ თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიაში, სადაც აღნიშნულია:

„პირველკურსელებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი უცხოური ენა ჩააბარეს და როგორ ჩააბარეს, უნივერსიტეტში რეგისტრაციისას უტარდებათ ინგლისური ენის დონის განსაზღვრის ტესტი (Placement Test). სტატისტიკურად 33% პირველკურსელს უკვე აქვს B2 დონე და ისინი თავისუფლდებიან ინგლისური ენის საგნისგან, რომელიც შედის საუნივერსიტეტო განათლებაში. ამ კრედიტების ნაცვლად მათ შეუძლიათ აიღონ ნებისმიერი არჩევითი საგანი. პირველკურსელების 63% ინგლისური ენას A2 დონეზე ან უკეთ ფლობს, ისინი სხვადასხვა მოცულობით სწავლობენ ინგლისურ ენას B2 დონემდე. პირველკურსელების 4% A2-ზეც ვერ ფლობს ინგლისურ ენას. ეს სტუდენტები 3-კვირიანი საორიენტაციო პროგრამის ფარგლებში ინტენსიურად სწავლობენ ინგლისური ენის პირველ საფეხურს პირველი სემესტრის განმავლობაში და შემდგომ, სამი სემესტრის განმავლობაში, ეუფლებიან ენას B2 დონემდე (თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგია).

თავისუფალ უნივერსიტეტში პირველივე კურსიდან ისწავლება ინგლისური ენა და ყველა სტუდენტი ინგლისური ენის ცოდნის მინიმუმ B2 დონეს აღწევს. შესაბამისად, სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ უცხოური ლიტერატურა და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში. ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა ასევე ხელს უწყობს მათ შემდგომ კარიერულ წინსვლას (თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგია).

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ენის სწავლების პოლიტიკა ასახული არ არის სტრატეგიულ დოკუმენტებში, ყველა უნივერსიტეტს მოეპოვება ამ მიმართულებით გარკვეული პოლიტიკა, რაც თვალსაჩინო ხდება უნივერსიტეტების მიერ მისაღებ გამოცდებზე დაწესებული უცხოური ენის მინიმალური ზღვრებისა და, მინიმალური ზღვრიდან გამომდინარე, შემდგომ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებში უცხოური ენის ასახვის თვალსაზრისით. ჩვენ შევისწავლეთ 2023 წლის მისაღები გამოცდების ცნობარების საფუძველზე უნივერსიტეტების მიერ დაწესებული ზღვრები უცხოური ენის ცოდნის თვალსაზრისით. ქვემოთ გთავაზობთ დეტალურ ინფორმაციას უნივერსიტეტების მიერ კონკრეტულ პროგრამებში დაწესებულ უცხოური ენის მინიმალური ზღვრების შესახებ მისაღებ გამოცდებზე ქართულენოვან და ინგლისურენოვან პროგრამებზე.

საინტერესოა, რომ ინგლისურენოვან პროგრამებზე მინიმალური ზღვრის მოთხოვნა საკმაოდ დაბალია. პროგრამების 30% მინიმალურ ზღვრად ინგლისურის საგანზე სახელმწიფოს მიერ დაწესებულ 20%-იან ზღვარს აწესებს, ხოლო ინგლისურენოვანი პროგრამების ზღვრად მხოლოდ 30% აქვს დაწესებული, რაც შესამჩნევად დაბალი მოთხოვნაა სწავლების ენად ინგლისურის განსაზღვრის პირობებში.

ცხრილი # 4.2. უნივერსიტეტების მიერ ინგლისურენოვან პროგრამებზე დაწესებული უცხოური ენის მინიმალური ზღვრები.

ინგლისურენოვანი პროგრამები	ზღვრის %	პროგრამების რაოდენობა	% საერთო რაოდენობასთან
	20%	24	30%

	39-50%	24	30%
	60-75%	31	38%
	75%+	2	2%

ქართულენოვან პროგრამებზე დაწესებულ უცხოური ენის ზღვარს რაც შეეხება, აქაც პროგრამების აბსოლუტური უმრავლესობა აწესებს მინიმალურ 20%-იან ზღვარს (613 პროგრამიდან - 490). მხოლოდ 21 პროგრამაა, სადაც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 41%-ს აღემატება. ეს პროგრამები ძირითადად მაღალი კონკურენციით გამორჩეული პროგრამებია (სოციოლოგია, საზოგადოებრივი გეოგრაფია, სოციალური მუშაობის, პოლიტიკის მეცნიერებების, საერთაშორისო ურთიერთობების, ჟურნალისტიკა, სოციალური მეცნიერებები, მედიცინა).

ცხრილი # 4.3. უნივერსიტეტების მიერ ქართულენოვან პროგრამებში დაწესებული უცხოური ენის მინიმალური ზღვრები

ქართულენოვანი პროგრამები	ზღვარის %	პროგრამების რაოდენობა	% საერთო რაოდენობასთან
	20%	490	80%
	21-40%	102	17%
	41%+	21	3%

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს სავალდებულო საგნად უცხოური ენის სწავლება, თუმცა უცხოური ენის სწავლება განსხვავებულია სხვადასხვა უნივერსიტეტსა და პროგრამაზე. როგორც უკვე აღინიშნა, ერთიანი ხედვა სტუდენტების ენობრივი კომპეტენციის განვითარების თვალსაზრისით წარმოდგენილი აქვს თავისუფალ უნივერსიტეტს, სხვა უნივერსიტეტების პირობებში რთულია ლოგიკური ურთიერთკავშირის დადგენა. ზოგადად, უცხოური ენის სწავლების შემდეგი სურათი იკვეთება: (1) უნივერსიტეტების მიერ ცენტრალიზებულად განსაზღვრული უცხოური ენის სავალდებულო კრედიტები ყველა ფაკულტეტისთვის; (2) ფაკულტეტების და/ან პროგრამების მიერ განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა უცხოური ენის შესასწავლად, რაც შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა პროგრამისთვის ერთსა და იმავე უნივერსიტეტში; (გ) მისაღებ გამოცდებზე დაწესებული ზღვრის შესაბამისი კურსები (მაგალითად, მაღალი მარჟა მისაღებ გამოცდებზე, რის გამოც პროგრამა აღარ ასწავლის უცხოური ენას ან ასწავლის მინიმალური დატვირთვით რამეთუ უკვე მომზადებული არიან ჩარიცხული სტუდენტები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესების ენობრივი პოლიტიკა დაფუძნებულია ენის ცოდნის, როგორც ცალკე აღებული, კომპეტენციას და არა სასწავლო პროგრამისთვის საჭირო ენობრივი კომპეტენციების განვითარებისკენ მიმართული პოლიტიკა, რათა პროგრამაზე ეფექტურად სწავლა შეძლოს სტუდენტმა. ამ თვალსაზრისით საჭირო ენობრივი კომპეტენციები უცხოენოვან პროგრამებს ჩამოყალიბებული და განსაზღვრული არ აქვთ, ისევე, როგორც მისი გაზომვის ინსტრუმენტები არ აქვთ შემუშავებული. უნივერსიტეტების მიერ უცხოური ენის სწავლების

მიდგომები დეტალურად უნივერსიტეტების მიხედვით ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილშია ასახული:

ცხრილი # 4.4. უნივერსიტეტების მიერ უცხოური ენის სწავლების მიდგომები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტი და საბუნებისმეტყველო-საბაკალავრო პროგრამებზე საფაკულტეტო სავალდებულო 20 კრედიტი (ინგლისური); ასევე, არჩევით კურსებად სთავაზობენ ფრანგულ და იაპონურ ენებს (10-10 კრედიტი)	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სავალდებულო - 10 კრედიტი. არჩევითად სთავაზობს - ლათინური, ბერძნული, არაბული, ებრაული... 10 კრედიტიან კურსებს.	სოციალური და პოლიტიკური - ინგლისური - 10 კრედიტი - სავალდებულო.	ფსიქოლოგია-განათლება - ინგლისური 10 კრედიტი - სავალდებულო.	მედიცინა-10 კრედიტი (სავალდებულო - უცხოური ენა	იურიდიული/ეკონომიკა/ზიზნესი -10 კრედიტი (სავალდებულო - უცხოური ენა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ენერგეტიკის ფაკულტეტი - 10 კრედიტი - უცხოური ენა (სავალდებულო-არჩევითი - ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)			ყველა სხვა ფაკულტეტი-20 კრედიტი - უცხოური ენა (სავალდებულო-არჩევითი - ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)		
ილიას უნივერსიტეტი	საუნივერსიტეტო სავალდებულო სტატუსითაა ყველა ფაკულტეტზე - 24 კრედიტი ინგლისური					
აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საუნივერსიტეტო სავალდებულო ყველა ფაკულტეტზე: 15 კრედიტი - უცხოური ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)					
აგრარული უნივერსიტეტი	საუნივერსიტეტო სავალდებულო ყველა ფაკულტეტზე: 7 კრედიტი - ინგლისური.					
ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი	საუნივერსიტეტო სავალდებულო სტატუსითაა – 20 კრედიტი ინგლისური)					
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტი/ ბიზნესის და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი - 18 (უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)			განათლების ფაკულტეტი/საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტი - 21 (18+3 (დარგობრივი საფაკულტეტო უცხოური ენა - (უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)		
თელავის იაკობ გოგებაშვილის უნივერსიტეტი	საუნივერსიტეტო სავალდებულო - 20 კრედიტი - უცხოური ენა (ინგლ., გერმ., რუს.)					

გორის სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტი	საუნივერსიტეტო სავალდებულო-20 კრედიტი - ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი			
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საუნივერსიტეტო სავალდებულო-20 კრედიტი - ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი			
საქართველოს უნივერსიტეტი	საუნივერსიტეტო სავალდებულო 6 კრედიტი			
კავკასიის უნივერსიტეტი	საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები უცხოური ენა - 25 კრედიტი. ზოგი ფაკულტეტი იღებს 10 კრედიტი ინგლისური, 15 კრედიტი - უცხოური ენა (ფრანგული ენა /გერმანული ენა /თურქული ენა /ესპანური ენა / სპარსული ენა) (უმრავლესობა); ზოგიერთ ფაკულტეტზე - მაგ. სამართლის ფაკულტეტზე - 25 კრედიტი - მხოლოდ ინგლისური.			
სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	საუნივერსიტეტო სავალდებულო - 25 კრედიტი - ინგლისური			
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ბიზნეს ადმინისტრირება – საზუღალო ადრეცხვა და აუდიტი; ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები - ბიზნეს ინგლისური - 10 კრედიტი	კომპიუტერული მეცნიერება - პროფესიული ინგლისური - 4 კრედიტი	ჟურმალისტიკა - პროფესიული ინგლისური - 10 კრედიტი; სამართალმცოდნეობა - დარგობრივი ინგლისური ენა - 10 კრედიტი	საერთაშორისო ურთიერთობები = 30 კრედიტი - არჩევით-სავალდებულო უცხოური ენა (ინგლისური ენა / რუსული ენა: თურქული ენა /ფრანგული ენა / გერმანული ენა /ესპანური ენა არაბული ენა /ჩინური ენა /კორეული ენა:
ჯიპა	სამართალი/საერთაშორისო ურთიერთობები/ბიზნესის ადმინისტრირება - 24 ინგლისური	პოლიტიკის მეცნიერებები/ სოციოლოგია/ეკონომიკა- 15 კრედიტი ინგლისური		

უშუალოდ საბაკალავრო პროგრამებში ინტეგრირების გარდა, უნივერსიტეტთა ნაწილს აქვს „ენების ცენტრი“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს დამატებით ეძლევათ ენის შესწავლის შესაძლებლობა. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „უნივერსიტეტში მოქმედი უცხოური ენების შემსწავლელი ცენტრი უზრუნველყოფს ინგლისური, გერმანული ფრანგული, იტალიური, თურქული, არაბული, ებრაული, ჩინური, ქართული (როგორც მეორე ენა) სწავლებას. სავალდებულო 10 კრედიტის გარდა, ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს შეუძლია აირჩიოს და შეისწავლოს ჩამოთვლილ ენათაგან ნებისმიერი B2 დონემდე (თითოეული დონე მოცემულია 5-კრედიტიანი კურსის სახით)“ (თსუ სტრატეგია).

(ბ) უცხოენოვანი პროგრამები

უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა საკმაოდ დიდია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. დღევანდელი მდგომარეობით, 224 უცხოენოვანი პროგრამაა აკრედიტებული და აქიდან 199 პროგრამა ინგლისურენოვანია, ხოლო 22 - რუსულენოვანი. საფეხურების მიხედვით, თითქმის ნახევარი ბაკალავრიატის საფეხურზე გვხვდება, რასაც მოსდევს მაგისტრატურის საფეხურზე პროგრამების რაოდენობა და ერთსაფეხურიანი სამედიცინო უცხოენოვანი პროგრამები, რომელთა რაოდენობაც 36-ს შეადგენს. მხოლოდ ერთი პროგრამაა ინგლისურენოვანი მასწავლებელთა განათლების 60 კრედიტიანი პროგრამებიდან და 18 პროგრამა - დოქტურანტურის საფეხურზე.

4.6. უცხოენოვანი პროგრამები საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით

	ინგლისურენოვანი	რუსულენოვანი	ქართულ-ფრანგული	ქართულ-ინგლისური	სულ:
ბაკალავრიატი	89	15	0	1	105
მაგისტრატურა	60	4	0	0	64
დოქტურანტურა	16	0	1	1	18
ერსაფეხურიანი სამედიცინო	33	3	0	0	36
მასწავლებელთა მომზადების	1	0	0	0	1
სულ	199	22	1	2	224

სპეციალობების მიხედვით, უცხოენოვან პროგრამებს სჭარბობს ბიზნესის ადმინისტრირების, მედიცინის, ინჟინერიის, საერთაშორისო ურთიერთობების, ფილოლოგიისა და განათლების მეცნიერებების პროგრამები.

ცხრილი 4.7. უცხოენოვანი პროგრამები სპეციალობების მიხედვით

ბიზნესის ადმინისტრირება	38
სამედიცინო	36
ინჟინერია	22
საერთაშორისო ურთ./გლობალური პოლიტიკა	17
კომპიუტერული ტექნოლოგიები	14
განათლება	8
ფილოლოგია	8
ეკონომიკა	6
ფინანსები	3
ამერიკათმცოდნეობა	3
მულტიდისციპლინური და სხვადასხვა	69

უცხოენოვანი პროგრამები უნივერსიტეტების მიხედვითაც საინტერესოდ ნაწილდება, უცხოენოვანი პროგრამები ფართოდ აქვთ წარმოდგენილი როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტებს

(ტექნიკური უნივერსიტეტი, თსუ, ილიას უნივერსიტეტი, სამედიცინო), აგრეთვე კერძო უნივერსიტეტებს (შავი ზღვის, საქართველოს უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი).

ცხრილი 4.8. უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა უნივერსიტეტების მიხედვით

	ინგლისურენოვანი	რუსულენოვანი	ქართულ- ფრანგული	ქართულ- ინგლისურ ი	სულ :
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	17	12	0	0	29
თსუ	21	4	1	0	26
შავი ზღვის უნივერსიტეტი	26	0	0	0	26
საქართველოს უნივერსიტეტი	18	0	0	0	18
კავკასიის უნივერსიტეტი	18	0	0	0	18
ილიას უნივერსიტეტი	17	0	0	0	17
ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	11	0	0	0	11
თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტი	5	2	0	0	7
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	7	0	0	0	7
ვებსტერ უნივერსიტეტი	6	0	0	0	6
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	5	0	0	0	5
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	4	0	0	0	4
ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი	4	0	0	0	4
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	3	0	0	0	3
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	3	0	0	0	3
შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	1	2	0	0	3
შპს „ბრიტანული სასწავლო	3	0	0	0	3

უნივერსიტეტი საქართველოში“					
-------------------------------	--	--	--	--	--

საინტერესოა 2023 წლის მისაღებ გამოცდებზე გამოცხადებული ადგილებისა და პროგრამების შეფასება სწავლების ენის მიხედვით. 2023 წლის გამოცდებიდან გამომდინარე, ქართულენოვანი პროგრამები დომინირებს. 2023 წელს 786 პროგრამაზე გამოცხადდა მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, რომელთაგან 697 პროგრამა ქართულენოვანი იყო, ხოლო 81 - ინგლისურენოვანი; ასევე, 8 პროგრამა - რუსულენოვანი. ყველაზე მეტი უცხოენოვანი პროგრამა შავი ზღვის უნივერსიტეტს, კავკასიის უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ჰქონდა. ამასთანავე, კერძო უნივერსიტეტებში ინგლისურენოვანი პროგრამებია, ხოლო ტექნიკური უნივერსიტეტის 10 უცხოენოვანი პროგრამიდან, რომელზეც გამოცხადდა სტუდენტთა მიღება 2023 წელს, 4 ინგლისურენოვანია, ხოლო 6 - რუსულენოვანი.

ცხრილი # 4.9. 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამები სწავლების ენისა და უნივერსიტეტების მიხედვით

	# ქართულ- ენოვანი	# ინგლისურ- ენოვანი	# რუსულ- ენოვანი	სულ
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	48	5	2	55
სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	24			24
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	63	4	6	73
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	13			13
ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	7			7
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	12	1		13
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	50			50
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	27	7		34

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	28			28
სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	22			22
შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი	4			4
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	9			9
შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	12	1		13
შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	10			10
შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	1	1		2
შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	8			8
შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი	2			2
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	11	1		12
შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	11	11		22
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	17			17
შპს - ალტე უნივერსიტეტი	7	2		9
შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	8	1		9
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	15			15

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	28			28
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	39			39
შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	11	2		13
შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	9	2		11
შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	24	7		31
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	21	10		31
შპს - სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	4	1		5
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	13			13
შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	6			6
სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	20			20
შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	3	2		5
ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	10			10
შპს "გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი"	6	2		8
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	8			8

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	10	3		13
ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	10			10
ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი	5			5
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	8			8
შპს - ევროპის უნივერსიტეტი	10			10
შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	5			5
შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნი“	3			3
ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	1	5		6
სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	7			7
შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი		2		2
შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	4			4
სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი		3		3
შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	2	1		3

შპს „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“		2		2
შპს - აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი		1		1
ვებსტერ უნივერსიტეტის, ინკ.-ის ფილიალი საქართველოში		3		3
შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი		1		1
შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	7			7
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქო გრემის სასულიერო სემინარია	2			2
ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია	2			2
ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია	6			6
ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი	1			1
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე	1			1

ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარია				
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარია	2			2
სულ	697	81	8	786

საინტერესოა ადგილების რაოდენობა ქართულენოვან და უცხოენოვან პროგრამებზე. 2023 წლის ცნობარის მიხედვით, უნივერსიტეტებში არსებული 43843 ადგილიდან 40996 ადგილი ანუ ადგილების 93,5% ქართულენოვანი პროგრამებისთვისაა გამოყოფილი. ინგლისურენოვან პროგრამებზე გამოყოფილი ადგილების ხვედრითი წილი 6,3% ანუ 2772 ადგილია; 75 ადგილი აქვს გამოყოფილი რუსულენოვან პროგრამებს.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი დეტალურ ინფორმაციას იძლევა უნივერსიტეტების მიხედვით ქართულენოვან, ინგლისურენოვან და რუსულენოვან პროგრამებზე გამოყოფილი ადგილების შესახებ.

ცხრილი # 4.10. 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამებზე ადგილების რაოდენობა სწავლების ენისა და უნივერსიტეტების მიხედვით

	# ქართულ- ენოვანი	# ინგლისურ- ენოვანი	# რუსულ- ენოვანი	სულ
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	6129	250	10	6389
სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	107			107
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	3532	140	65	3737
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	169			169
ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	343			343
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	900	20		920

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2511			2511
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	4097	162		4259
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	840			840
სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	757			757
შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი	200			200
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	376			376
შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	900	40		940
შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	611			611
შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	45	30		75
შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	104			104
შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი	92			92
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	684	25		709
შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	575	470		1045
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	558			558
შპს - ალტე უნივერსიტეტი	870	40		910
შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	460	10		470
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	216			216
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	349			349

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1776			1776
შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	1800	60		1860
შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	344	40		384
შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	1040	50		1090
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	1155	380		1535
შპს - სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	240	15		255
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	120			120
შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	700			700
სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	738			738
შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	130	30		160
ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	772			772
შპს "გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი"	270	40		310
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	560			560
შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	2450	59		2509
ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	470			470
აიპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი	99			99
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	136			136
შპს ევროპის უნივერსიტეტი	342			342

შპს ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	280			280
შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნი“	300			300
ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	25	105		130
სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	270			270
შპს ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი		16		16
შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	1010			1010
სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი		370		370
შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	120	20		140
შპს „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“		100		100
შპს - ადმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი		15		15
ვებსტერ უნივერსიტეტის, ინკ.-ის ფილიალი საქართველოში		265		265
შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი		20		20
შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	129			129
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქო გრემის სასულიერო სემინარია	20			20
ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და	40			40
ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი	120			120

ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია				
ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი	35			35
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარია	50			50
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარია	30			30
სულ	40996	2772	75	43843

უნივერსიტეტების ინდივიდუალურ სტრატეგიებში ასახულია უცხოურ ენებზე სწავლების მიმართულებები და მათი პრიორიტეტულობა. მაგალითად, თსუ-ს სწავლების პროცესში უცხოური ენების აქტიურ როლზე მიუთითებს II სტრატეგიული მიზანი: სამეცნიერო კვლევების ინტეგრირება სასწავლო პროცესში (თსუ სტრატეგია, ამოცანა II.2); დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლება (კრიტერიუმები: ორმაგი და ერთობლივი აკადემიური ხარისხების მიმნიჭებელი სადოქტორო პროგრამების რაოდენობა; ე.წ. კოტუტელის ხელშეკრულებების რაოდენობა; დოქტორანტების უცხოელი თანახელმძღვანელების რაოდენობა; დოქტორანტურის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ორმაგი და ერთობლივი აკადემიური ხარისხების რაოდენობა; გაცვლით პროგრამებში მონაწილე დოქტორანტების რაოდენობა...) (თსუ სტრატეგია).

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებაა. ინტერნაციონალიზაციის ჭრილში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ერთობლივ პროგრამებს, როგორც უმაღლესი განათლების ხარისხის უწყვეტი განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის მდგრად მექანიზმს. აღსანიშნავია, რომ ამჟამად თსუ-ში მოქმედებს 22 უცხოენოვანი პროგრამა (სწავლების სამივე საფეხურზე), რომელთაგან 7 პროგრამა გასცემს დიპლომს ორმაგი აკადემიური ხარისხით. უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს თსუ-სა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ერთობლივი, უცხოენოვანი საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და მათემატიკური მიმართულებების (STEM) საბაკალავრო პროგრამები (თსუ სტრატეგია).

ინგლისურენოვანი, ზოგადად უცხოენოვანი პროგრამების ამუშავება ყველა უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიაში ხაზგასმულია: „უცხოენოვანი და ბილინგვური, ორმაგი და

ერთობლივი ხარისხების მიმნიჭებელი სასწავლო პროგრამების შემდგომი განვითარება“ (თსუ სტრატეგია, ამოცანა V.4).

(გ) ქართული ენის სწავლების პროგრამები უცხოელებისთვის;

ქართული ენის შემსწავლელი პროგრამები უცხოელთათვის უნივერსიტეტების უმრავლესობას აქვს და ეს მიმართულება ზოგიერთ შემთხვევაში ასახული აქვთ სტრატეგიულ დოკუმენტებში, თუმცა გვაქვს მაგალითები, როცა ინფორმაცია პროგრამებისა და ცენტრის საქმიანობის ჩამონათვალში იძებნება, ხოლო სტრატეგიულ მიმართულებად უნივერსიტეტს არ აქვს გამოყოფილი.

იკვეთება სამი მიდგომა: (ა) ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამა სომხურენოვანთათვის და აზერბაიჯანულენოვანთათვის ხორციელდება სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ და ამ პროგრამაში აქვთ ინტეგრირებული და ამავე პროგრამით ასწავლიან უცხოელ სტუდენტებს, თუმცა იქ ჩარიცხვის სხვა მექანიზმები მუშაობს; (ბ) სახელმწიფო უნივერსიტეტების ნაწილს ცალკე, ენის ცენტრების ფარგლებში, აქვთ ქართული ენის შემსწავლელი კურსები უცხოელთათვის; (გ) კერძო უნივერსიტეტები ქართულ ენაში მომზადების პროგრამებს ახორციელებენ უცხოელთათვის, რადგან არ მონაწილეობენ ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის (სომხურენოვანთათვის და აზერბაიჯანულენოვანთათვის) განხორციელებაში, თუმცა სტრატეგიულ დოკუმენტებში ეს მიმართულება საერთოდ არ აქვთ ასახული. მაგალითად, ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხოელი სტუდენტებისათვის ცალკე პროგრამა არ არსებობს: საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, ქართულენოვან პროგრამებზე სწავლების მიზნით, უცხოელები გადიან „ქართულ ენაში მომზადების პროგრამას“, თუმცა, სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში ეს ასახული არ არის.

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს ქართულ ენაში მომზადების პროგრამა (სტრატეგიულ დოკუმენტში 3-ჯერ არის ნახსენები ეს პროგრამა). პროგრამით შეუძლიათ ისარგებლონ როგორც არაქართულენოვანმა საქართველოს მოქალაქეებმა, ასევე – უცხოელმა სტუდენტებმა (გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგია)...

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი აქვს ერთწლიანი პროგრამის „ქართული ენა უცხოელთათვის“ დანერგვა, ასევე, დოკუმენტში ერთ-ერთ ამოცანად აქვს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ენა და ლიტერატურა“ აკრედიტაციის მიღება (თელავის უნივერსიტეტის სტრატეგია).

განსხვავებული მიდგომა აქვს ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც ახორციელებს ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან პროგრამას ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის ბაზაზე და, ამავე დროს, უცხოელ სტუდენტთათვის ენის სწავლებას ახორციელებს ენების ცენტრის მეშვეობით. სტრატეგიულ დოკუმენტში 4-ჯერ არის ნახსენები ენების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს უცხოელი სტუდენტებისთვის ქართული ენის სწავლებას (სავალდებულო კურსია სამედიცინო, იურიდიული, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების უცხოელი სტუდენტებისთვის; სხვა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის – ნებაყოფლობითია).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც განკუთვნილია საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მოქალაქეებისთვის; ამავე პროგრამით სწავლობენ ქართულს უცხოეთის მოქალაქეები. სტრატეგიაში 3-ჯერ არის მოხსენიებული აღნიშნული პროგრამა (თსუ სტრატეგია).

დ) საერთაშორისო სტუდენტები ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

საერთაშორისო სტუდენტების მკვეთრი ზრდა ფიქსირდება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბოლო 17 წლის განმავლობაში. 144 უცხოელი სტუდენტიდან 25 069-მდე გაიზარდა უცხოელი სტუდენტების რიცხვი. განსაკუთრებით გაიზარდა მათი წილი კერძო უნივერსიტეტებში და 21 სტუდენტიდან 2005 წელს 18 714 სტუდენტს მიაღწია 2022-2023 წლების აკადემიური წლისთვის:

ცხრილი # 4.11. უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა კერძო და საჯარო უნივერსიტეტებში 2005-2023 წლებში

წელი	სახელმწიფო	კერძო	სულ
2005-2006	123	21	144
2006-2007	282	146	428
2007-2008	409	212	621
2008-2009	292	207	499
2009-2010	452	380	832
2010-2011	1036	227	1263
2011-2012	1158	512	1670
2012-2013	1802	1108	2910
2013-2014	2297	1123	3420
2014-2015	2 577	2 203	4780

2015-2016	3 049	3 594	6643
2016-2017	3 413	4 599	8012
2017-2018	3650	6424	10074
2018-2019	4236	7998	12234
2019-2020	4429	8898	13327
2020-2021	4 656	9 961	14617
2021-2022	5 347	12 154	17501
2022-2023	6 355	18 714	25069

2022-2023 აკადემიური წლებისთვის სტუდენტთა ყველაზე დიდი ნაკადი შემოდის ისეთი ქვეყნებიდან როგორცაა ინდოეთი (52%-ზე მეტი), იორდანია, ეგვიპტე, ისრაელი, გაერთიანებული სამეფო, აზერბაიჯანი (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში):

ცხრილი # 4.12. უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებში ქვეყნების მიხედვით

	სახელმწიფო	კერძო	სულ
სულ	6 355	18 714	25 069
ინდოეთი	3 404	9 650	13 054
სხვადასხვა	577	1 348	1 925
ეგვიპტე	512	492	1 004
რუსეთი	347	112	459
იორდანია	310	1 872	2 182
აზერბაიჯანი	304	425	729
შრი-ლანკა	298	11	309
პაკისტანი	179	168	347

სუდან	112	473	585
ირანი	101	472	573
ლიბანი	65	407	472
ნიგერია	55	917	972
ისრაელი	32	1 344	1 376
გაერთიანებული სამეფო	31	724	755
თურქეთი	28	129	157
ნიგერი	-	170	170

როგორც ზემოთ აღინიშნა, უცხოელ სტუდენტთა ზრდა განსაკუთრებით მაღალია კერძო უნივერსიტეტებში. აღსანიშნავია, რომ კერძო უნივერსიტეტებში სულ 63 292 სტუდენტი ირიცხება და აქედან 18 714 უცხოელი სტუდენტია (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023), რაც კერძო უნივერსიტეტებში სტუდენტთა რაოდენობის 23%-ს შეადგენს. აღნიშნული პროპორციით სტუდენტთა რაოდენობა, რა თქმა უნდა, შესაბამისი ადმინისტრირების, ისევე, როგორც ენის სწავლების და უცხოენოვან პროგრამებზე პროფესორთა ენობრივი მომზადების შესაბამის პოლიტიკას საჭიროებს, თუმცა, მსგავსი ენობრივი პოლიტიკის მიმართულებები ნაკლებად არის წარმოდგენილი კერძო უნივერსიტეტების სტრატეგიებში. ცალკე აღებული ენობრივი პოლიტიკის დოკუმენტი, როგორც ითქვა, არცერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ გააჩნია, ხოლო არსებულ სტრატეგიებში სტრატეგიული ხედვა ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით ნაკლებადაა ასახული და მხოლოდ ზოგადად ენის სწავლების მიმართულებებზეა საუბარი.

ენობრივი პოლიტიკა მართვის/ადმინისტრირების მიმართულებით

ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით, მართვაში სამი ქვემიმართულება გამოიკვეთა: (1) ორენოვანი საკომუნიკაციო არხების შექმნა; (2) უცხოურ სააკრედიტაციო სააგენტოებთან თანამშრომლობა; (3) ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარება.

პირველი მიმართულება, ანუ ორენოვანი საკომუნიკაციო არხების შექმნა ყველა უნივერსიტეტისთვის დამახასიათებელი ტენდენციაა და ყველა უნივერსიტეტს აქვს და სამომავლოდაც სტრატეგიულ დოკუმენტებში აღნიშნავენ ორენოვანი ვებგვერდებისა და სხვა საკომუნიკაციო არხების განვითარების აუცილებლობას, თუმცა უნივერსიტეტების უმრავლესობა ადმინისტრირების ნაწილში სწორედ ორენოვანი ვებგვერდების და საკომუნიკაციო ინსტრუმენტების შექმნით შემოიფარგლება.

მეორე მიმართულება - ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია უცხოეთის აღიარებული სააკრედიტაციო სააგენტოების მიერ - ასევე წარმოადგენს ზოგიერთი უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიმართულებას. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტში ეს მიმართულება მკვეთრად ხაზგასმულია.

მესამე მიმართულება კი, რომელიც ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებას შეეხება, ხაზგასმულია მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტში. მაგალითად, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას. ინგლისური ენის სწავლების გაუმჯობესების მიზნით, ტარდება პერიოდული ტრენინგები და სასწავლო კურსები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის (სოხუმის უნივერსიტეტის სტრატეგია). ასევე, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცდილობს, კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახადოს უცხოური ენ(ებ)ის კურსები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის: უწყვეტი განათლების პროგრამის ფარგლებში. ინერგება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობის აქტივობები. მნიშვნელოვანია ადგილობრივი სტუდენტების, პროფესურისა და ადმინისტრაციის მომზადება/გადამზადება ინტერკულტურული კომუნიკაციისა და საპროექტო განაცხადების შემუშავების საკითხებზე. მათ შორის - კონსულტირება საერთაშორისო პროგრამებში ჩართვისათვის (აწსუ სტრატეგია).

სახელმწიფო უნივერსიტეტების გარდა, ეს მიმართულება აქტიურად არის წარმოჩენილი კერძო უნივერსიტეტების ნაწილშიც, მაგალითად, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა) პოლიტიკა ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაჭრას: ინგლისურენოვანი პროგრამების საერთაშორისო მარკეტინგი; უცხოელი სტუდენტებისთვის გზამკვლევის მომზადება; უცხოელ სტუდენტებთან მომუშავე ადმინისტრაციული პოზიციის შექმნა; უცხოელი მოწვეული ლექტორების რაოდენობის გაზრდა; აკადემიური პერსონალის საზღვარგარეთ სწავლების მხარდაჭერა (ჯიპა სტრატეგია).

მიგნებები

უნივერსიტეტების სტრატეგიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ენობრივი პოლიტიკის ერთგვარი ჩარჩო უმაღლეს სასწავლებლებში, რომლის გამოყენებაც სამომავლოდ იქნება შესაძლებელი ენობრივი პოლიტიკის გასაანალიზებლად როგორც საქართველოში აგრეთვე სხვა ქვეყნებში

4.13. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ენობრივი პოლიტიკის ჩარჩო

ენობრივი პოლიტიკა კვლევის მიმართულებით	ენობრივი პოლიტიკა სწავლების მიმართულებით	ენობრივი პოლიტიკა მართვოს მიმართულებით
1) გამოქვეყნება უცხოენოვან ჟურნალებში 2) თანამშრომლობა უცხოენოვან (საერთაშორისო) საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან კვლევებისთვის	1) უცხოური ენის სწავლება 2) უცხოენოვანი პროგრამების განხორციელება; 3) ქართული ენის სწავლება; 4) საერთაშორისო სტუდენტები	(1) ორენოვანი საკომუნიკაციო არხების შექმნა; (2) უცხოურ სააკრედიტაციო სააგენტოებთან თანამშრომლობა;

<p>3) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების საზღვარგარეთ გამლიერება და/ან საზღვარგარეთ ფილიალების დაარსება/პროგრამების განხორციელება</p> <p>4) უცხოური ენებზე ან ორენოვანი ჟურნალების გამოცემა</p> <p>5) სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა უცხოური ენიდან და პირუკუ;</p> <p>6) ქართული ენის, როგორც სამეცნიერო ენის განვითარება</p>		<p>(3) ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარება.</p>
--	--	---

ამასთანავე, საინტერესოა, რომ ენობრივი პოლიტიკის ამ ჩარჩოს კვალდაკვალ, გამოკვეთილი მიმართულებების განხორციელებების პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელსაც ვერ მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრატეგიული დოკუმენტები ან მხოლოდ ერთეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიულ ხედვაშია წარმოდგენილი, კერძოდ:

- უნივერსიტეტებს აქვთ ინტერნაციონალიზაციის მიზანი, მაგრამ არ გააჩნიათ მისი განხორციელების ხედვა;
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია არ არის გააზრებული შესაბამის ენობრივ პოლიტიკაში;
- საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ძირითადად ქართულენოვან პროგრამებს ახორციელებენ, წარმოდგენილია ინგლისურენოვანი პროგრამები ქართველი სტუდენტებისთვის (დაახლოებით ადგილების 5%-ის ალოკაციით და მხოლოდ 22 რუსულენოვანი პროგრამაა. სხვა ენებზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამები არ ხორციელდება). უნივერსიტეტები აგრეთვე ახორციელებენ ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან პროგრამას სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი სტუდენტებისთვის, თუმცა სომხურ, აზერბაიჯანულ. აფხაზურ ან ოსურ ენებზე არ გვხვდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები;
- კვლევების, სწავლების და ადმინისტრირების ნაწილში ენობრივი პოლიტიკის გარეშე ხორციელდება პროექტები და პროგრამები და განპირობებულია ძირითადად გარე ზემოქმედების და ანგარიშვალდებულებების ინსტრუმენტები

(ეროვნული ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საერთაშორისო რეიტინგები, საერთაშორისო პროგრამები (ერაზმუსი, დაადი და ა.შ.);

- უნივერსიტეტებს არ გააჩნიათ ენობრივი პოლიტიკის ოფიციალური დოკუმენტები სტრატეგიულ დოკუმენტებში ენობრივი პოლიტიკის გარკვეული მიმართულებები ჩანს, თუმცა მწყობრი მიდგომა ნაკლებადაა წარმოჩენილი;
- კერძო უნივერსიტეტებმა მკვეთრად გაზარდეს საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა და მათი რაოდენობის თითქმის მეოთხედს საერთაშორისო სტუდენტები წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, არ გააჩნიათ არც ენობრივი პოლიტიკის სტრატეგია და არც სხვა დოკუმენტებშია გაწერილი ენობრივი პოლიტიკის ასპექტები;
- თავისუფალი უნივერსიტეტი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად ინტერნაციონალურ უნივერსიტეტს, თუმცა, ამავე დროს, სწორედ მათ სტრატეგიულ დოკუმენტებშია გაწერილი ქართულთან, როგორც სწავლების, მეცნიერების და ტექნოლოგიების ენასთან დაკავშირებული მიდგომები, აგრეთვე სტუდენტების მიერ ინგლისურის ენის დაუფლების პოლიტიკა;
- ქართული ენის, როგორც მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ენის გაძლიერების ასპექტები ნაკლებადაა ასახული უნივერსიტეტების სტრატეგიულ დოკუმენტებში;
- გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური ასპექტები არ არის ასახული უნივერსიტეტების სტრატეგიების ენობრივ პოლიტიკაში (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის უნივერსიტეტი; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
- სპეციალობების სპეციფიკა არ არის ასახული ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით სტრატეგიულ დოკუმენტებში (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).

რეკომენდაციები

დოკუმენტის სარეკომენდაციო ნაწილი გამომდინარეობს იმ მიგნებებიდან, რაც იყო წარმოდგენილი უმაღლესი განათლების თავში;

ენობრივი პოლიტიკა კვლევებში

1. ლექტორების მხარდაჭერა საერთაშორისო კვლევებისა და პუბლიკაციების მიმართულებით მათ შორის მათი ენობრივი კომპეტენციების გაზრდის, მათი ნაშრომების თარგმნის, რედაქტირების და სხვა მიმართულებებით;
2. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ან კვლევითი ორგანიზაციების მიერ გამოცემული ჟურნალების მხარდაჭერა მათი ხარისხის განვითარების თვალსაზრისით და მათი ხელშეწყობა სკოპუსისა და ვებ ოფ საინსის ბაზებში ინტეგრირებისთვის;
3. ორენოვანი ჟურნალების შექმნის მხარდაჭერა;
4. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზების მხარდაჭერა და საკონფერენციო მასალების ინდექსირების ხელშეწყობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ;
5. ინგლისურენოვანი თანამედროვე სამეცნიერო ფუნდამენტური ლიტერატურის

- ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა
6. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით ქართული ენის გაძლიერებისა და განვითარების მიმართულებით კონკრეტული სტრატეგიის შექმნა და განვითარება;
 7. აფხაზური ენის, როგორც სახელმწიფო ენის, კვლევის განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
 8. მეგრული, ლაზური და სვანური ენების კვლევების განვითარების ხელშეწყობა;
 9. მცირე ეთნიკური ჯგუფების , ამიერკავკასიის და ჩრდილო კავკასიის ენების კვლევის ხელშეწყობა და ამ მიმართულებით მძლავრი კვლევითი მიმართულების შექმნა/მხარდაჭერა.
 10. რეგიონალური თანამშრომლობის კვლევითი პროექტების მხარდაჭერა და განვითარება (შავი ზღვის, კავკასიის და ცენტრალური აზიის, აღმოსავლეთ ევროპის, ამიერკავკასიის, პოსტ-საბჭოთა სივრცის);
 11. გარე ზემოქმედების და ანგარიშვალდებულებების ინსტრუმენტების მიღმა, საკუთარი პოლიტიკის შემუშავება კვლევითი თანამშრომლობის მიმართულებით და პროაქტიური პოლიტიკის წარმოება და შესაბამისი ენობრივი პოლიტიკის განხორციელება;
 12. ქართული ენის, როგორც მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ენის გაძლიერების და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება როგორც ეროვნულ, აგრეთვე საუნივერსიტეტო დონეზე;

ენობრივი პოლიტიკა სწავლებაში

1. მნიშვნელოვანია ინგლისურენოვანი პროგრამების ხვედრითი წილის ზრდა;
2. ინგლისურენოვანი პროგრამებისთვის ინგლისური ენის მაღალი კომპეტენციის დაწესება აბიტურიენტებისთვის, რათა არ შეექმნათ უმაღლესი განათლების მიღების პრობლემები
3. მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა და პროგრამების დივერსიფიკაცია. მხოლოდ სამედიცინო მიმართულებებზე არსებული პოზიტიური გამოცდილების გადატანა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის - საინჟინრო, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სტემის მიმართულებებში, რომელშიც საკმაოდ მაღალია ქართველ მეცნიერთა პოტენციალი;
4. საინჟინრო, ტექნოლოგიებისა და სტემის მიმართულებით პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების გაძლიერება კვლევისა და სწავლების ინტერნაციონალიზაციის მიზნით და შესაბამისი ენობრივი პოლიტიკის წარმოება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებებიდან გამომდინარე;
5. ინგლისური ენის სწავლების გაუმჯობესება სტუდენტთათვის, ისევე, როგორც მიღების სისტემაში ინგლისური ენის მაღალი კვალიფიკაციის მოთხოვნა;
6. ინგლისური ენის გამოყენება მირების სისტემაში სწავლისათვის აუცილებელი მინიმალური ზღვრის განსაზღვრის პირობებში და ამ გამოცდის გამოყენება სტუდენტთა სერტიფიცირებისთვის და არა სელექციისა და გადარჩევისთვის;
7. აფხაზური ენის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლების განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
8. სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე კვლევების და მასწავლებელთა განათლების პროგრამების შექმნა და განხორციელება.

9. რეგიონალური, გეოპოლიტიკური, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის, ეკონომიკური, აკადემიური, კულტურული და პოლიტიკური რაციონალის გათვალისწინებით, შესაბამისი უცხოენოვანი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება და ამ მიმართულებების დივერსიფიცირება (რუსულენოვანი, თურქულენოვანი, ქართულენოვანი პროგრამების დამატება და განხორციელება უცხოელთათვის);
10. ქართული ენის სწავლების მიმართულების გაძლიერება უცხოელ სტუდენტთა ქართულენოვან ან ორენოვან პროგრამებზე მოსამზადებლად;
11. მულტილინგვალური პროფესორ-მასწავლებლების წახალისება მათი საერთაშორისო და უცხოენოვანი პროგრამებში ჩართვის წასახალისებლად;

ენობრივი პოლიტიკა მართვაში

1. ენობრივი პოლიტიკის ასახვა უმაღლესი განათლების საკანონმდებლო, პოლიტიკისა და სტრატეგიულ დოკუმენტებში;
2. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინტერნაციონალიზაციის და მრავალფეროვნების მართვის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება შესაბამისი ენობრივი პოლიტიკის მიმართულებებით;
3. ენობრივი პოლიტიკის შემუშავებაში უნივერსიტეტების დარგობრივი თუ რეგიონალური სპეციფიკის ასახვა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
4. მრავალენოვანი საკომუნიკაციო არხების შექმნა უნივერსიტეტებში (ვებგვერდები, სასწავლო პლატფორმები და ა.შ.);
5. უცხოურ სააკრედიტაციო სააგენტოებთან თანამშრომლობა და საერთაშორისო ხარისხის მართვის ინსტრუმენტების ამუშავება ეროვნული ინსტრუმენტების მიღმა საერთაშორისო პროგრამების განსახორციელებლად და უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად მედიცინი მიღმა სხვა სამეცნიერო დისციპლინებშიც;
6. ადმინისტრაციული პერსონალის მომზადება და განვითარება მრავალენოვანი, საერთაშორისო და გლობალური უნივერსიტეტების ადმინისტრირებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

- აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგია - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა: http://agruni.edu.ge/sites/default/files/u113/AUG_S.pdf
- აწსუ სტრატეგია - აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა: https://www.atsu.edu.ge/ge/strategic_plan
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტრატეგია - სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის განვითარების სტრატეგიული გეგმა: <https://bsma.edu.ge/media/files/de97fdb0-9b34-4a92-b040-b3be9733aea9.pdf>
- ბსუ სტრატეგია - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტრატეგიული განვითარების გეგმა: https://bsu.ge/text_files/ge_file_8361_1.pdf
- ბალი, 2012 - Bull, T. (2012). Against the mainstream: Universities with an alternative language policy. *International Journal of the Sociology of Language*, 216, 55–73.
- განათლების მინისტრის ბრძანება #127 - საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის #127 ბრძანება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულოების დამტკიცების შესახებ.
- გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგია - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის დოკუმენტი: <https://eqe.ge/res/NewFolder%207/NewFolder/NewFolder/NewFolder/NewFolder/%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%202021-2025%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf>
- დოიზი და სხვ., 2013 - Doiz, A., Lasagabaster, D., & Sierra, J. M. (Eds.). (2013). *English-medium instruction at universities: Global challenges*. Bristol: Multilingual Matters.
- თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგია - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა: <https://freeuni.edu.ge/sites/default/files/FUTST20.pdf>
- თელავის უნივერსიტეტის სტრატეგია - სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტრატეგიული განვითარების გეგმა: <http://tesau.edu.ge/files/1/gegma/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%20%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%207%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90%202018-2025%20%E1%83%AC%E1%83%AC%20%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf>
- ოსსუ სტრატეგია - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; სტრატეგიული გეგმა: https://tsmu.edu/old/images/stories/pdf/2011_17_STR_GEGMA.pdf

ოსუ სტრატეგია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სტრატეგიული განვითარების გეგმა:

<https://www.tsu.ge/assets/media/files/1/%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf>

ილიას უნივერსიტეტი სტრატეგია - ილიაუნის განვითარების სტრატეგია:

<https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/history/developmentstrategy2024>

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგია - კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა:

<https://cu.edu.ge/files/gallery/2021/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf>

კოტსი და სხვ., 2014 - - Cots, J. M., Lasagabaster, D., & Garrett, P. (2012). Multilingual policies and

practices of universities in three bilingual regions in Europe. *International Journal of the Sociology of Language*, 216, 7–32.

პენიკუკი, 2006 – Pennycook, A. (2006). *Global Englishes and Transcultural Flows* (1st ed.). Routledge.

<https://doi.org/10.4324/9780203088807>

საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგია - საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული

გეგმა: <https://www.ug.edu.ge/ge/strategy>

სოლერი და სხვ., 2018 - Soler, J., & Vihman, V. A. (2018). Language ideology and language planning in

Estonian higher education: Nationalising and globalising discourses. *Current Issues in Language Planning*, 19(1), 22–41.

სოხუმის უნივერსიტეტის სტრატეგია - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების გეგმა: https://www.sou.edu.ge/images/file/1539072931--strategiuli%20ganviTarebis%20gegma_2018-2025.pdf

სტუ სტრატეგია - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული

გეგმა: <https://gtu.ge/AboutStu/strategic-plan.php>

სჯსუ სტრატეგია - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული

გეგმა: <https://www.sjuni.edu.ge/wp->

content/uploads/2018/mnishvnelovanidoc/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%AF%E1%83%A1%E1%83%A3.pdf

უმაღლესი განათლების შესახებ კანონი, 2004 - საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=101>)

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგია - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა: https://ibsu.edu.ge/wp-content/uploads/2023/03/IBSU_PL02_G_Strategic_Plan_2018-2025.pdf

ჩაჩხიანი და ტაბატაძე, 2023 - Chachkhiani, K., & Tabatadze, S. (2023). Internationalization of research in Georgia: why to engage and with whom to engage?. *Journal of Science and Technology Policy Management*.

ჯიპას სტრატეგია - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმა: <https://gipa.ge/res/docs/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%982019.pdf>

ჰალტგრენი და სხვ., 2014 - Hultgren et al. - English language use at the internationalised universities of Northern Europe: Is there a correlation between Englishisation and world rank?: *Multilingua - Journal of Cross-Cultural and Interlanguage Communication*: <https://doi.org/10.1515/multi-2014-0018>